

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
სასარტველოს ეროვნული თავმდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



ფსიქოლოგია და თანამედროვე გამოწვევები

PSYCHOLOGY AND MODERN CHALLENGES



სამეცნიერო-პრაკტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMAŞENEBELİ
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



ფილოსოფია და თანამედროვე გამოწვები

PSYCHOLOGY AND MODERN CHALLENGES

სარჩევი

ორგანიზაციული კლიმატი, რომელიც საბრძოლო სიძლიერის ელემენტი ლაშა დავითაძე	6
იუნაიტებული მოსწრებაზე მოქმედი მასოფილი რეგიონები ფაქტორები პანდემიის პერიოდში თინათინ კოორდინაცია	14
არის ფსიქოლოგია მეცნიერება? ბაკალავრების დამოკიდებულებები ნინო ჩავახიშვილი / სოფიო ყირიმელი	21
პოსტრავული სტრესული აპლილორაბის, დაპლევის სტრატეგიების და პოსტრავული ზრდის ურთიერთკავშირი ეპიტოკელ დაწრილ-დაჭავებულ სამხედრო მოსამსახურებში ნაზ გაბაზილი / ესტატი ლელავალი / ეთევან სოსელია ეთევან ლომასაძე / თათია ონიანი	26
დაზინებულობის როლი საცყისი საბრძოლო მომზადების კურსის დაპლევის პონევესტში ნიკა გაბლივილი	33
პროექტიული მეთოდიკაბის მასოფენება შერჩევის პროცესში ნათია ობეგაძე	38
სამხედრო ფსიქოლოგია და მისი მნიშველობა ეკატერინე სულუხია	43
ფსიქო-სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა დავით მანერონიძების პროცესში ნინო ქითოვაძილი / ეკატერინე ფირცხალავა	48
პიროვნების ქვევის თვითეფერთურობის მანსაზღვრა პოვიდ-პანდემიის პირობებში ნანა გოგიჩავილი	54
წახალისების როლი პოლიტიკური მარდაემნების და პრესოლიტაციების დროს ნიკოლოზ ესითაშვილი	63
თავისუფლების რისკები სალომე ხიზანიშვილი	71
შურისძიებით ჩადენილი მავლელობის სისხლისსამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები რამაზ კვარაცხელია	75
რუსეთის საინფორმაციო კოლეგია „რბილი ქალის“ კონფეფციის პონევესტში რამაზ ჩიჩუა	85

ISBN 978-9941-8-3489-9

CONTENT

ORGANIZATIONAL CLIMATE AS AN ELEMENT OF COMBAT POWER LASHA DAVITADZE	6
MOTIVATING FACTORS AFFECTING JUNKERS' ACADEMIC PERFORMANCE DURING THE PANDEMIC TINATIN KROPADZE	14
IS PSYCHOLOGY A SCIENCE? ATTITUDES OF UNDERGRADUATE STUDENTS NINO JAVAKHISHVILI / SOPHIO KIRIMELI	21
THE RELATIONSHIP BETWEEN POSTTRAUMATIC STRESS DISORDER SYMPTOMS, COPING STRATEGIES AND POSTTRAUMATIC GROWTH AMONG GEORGIAN WOUNDED SOLDIERS NAZI TCHABASHVILI / ESTATE LELASHVILI / KETEVAN SOSELIA KETEVAN LOMSADZE / TATIA ONIANI	26
THE ROLE OF PERSEVERANCE IN THE CONTEXT OF OVERCOMING THE BASIC COMBAT TRAINING COURSE NIKA GABLISHVILI	33
USE OF PROJECTION METHODS IN THE SELECTION PROCESS NATIA OBGAIIDZE	38
MILITARY PSYCHOLOGY AND ITS MEANING EKATERINE SULUKHIA	43
ACCESS TO PSYCHOSOCIAL SERVICES DURING THE DIVORCE ARBITRATION PROCESS NINO KITOSHVILI / EKATERINE PIRTSKHALAVA	48
DETERMINING THE DEGREE OF SELF-EFFICIENCY OF INDIVIDUAL BEHAVIOR IN THE CONTEXT OF THE COVID-PANDEMIC CONDITIONS NANA GOGICHSASHVILI	54
THE ROLE OF INCENTIVES IN TIMES OF POLITICAL TRANSITIONS AND CONSOLIDATIONS NIKOLOZ ESITASHVILI	63
RISKS OF FREEDOM SALOME KHIZANISHVILI	71
CRIMINAL AND PSYCHOLOGICAL ASPECTS OF REVENGE MURDER RAMAZ KVARATSKHELIA	75
RUSSIA'S INFORMATION POLICY "SOFT POWER" IN THE CONTEXT OF THE CONCEPT RAMAZ CHICHUA	85

ორგანიზაციული კლიმატი, როგორც საბრძოლო სიძლიერეს ელემენტი

ეპარტანი და გამარჯვება

ი. ჟავახელვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა დოკტორანტი,
ორგანიზაციული და პიროვნეული განვითარების პროგრამა.
საქართველოს თავდაცვის ძალების, გენერალური შტაბის, ასე
სორითობის დამამაცის დეპარტამენტის, სამხედრო სორითობისა
და ძალთა დამამაცის სამართველოს უფროსი, ვიზე-კოლეგიუმი

ନାରୀଶ୍ଵର

თანამედროვე მსოფლიოში არსებული უსაფრთხოების გარემო მნიშვნელოვანი გამორცვევების წინაშე აყენებს საქართველოს სახელმწიფოს, როგორც გლობალური, ასევე რეგიონალური მასშტაბით. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს თავდაცვის ძალები გახდავთ ჩვენი სახელმწიფოს სიძლიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტი. ამ უმნიშვნელოვანესი ფუნქციის წარმატებით შესრულების მიზნით საქართველოს თავდაცვის ძალები მუდმივად რეფორმირებისა და ახლის ძიების პროცესშია. უწყვეტად ხორციელდება საბრძოლო შესაძლებლობების განახლება და მოდერნიზება, რათა გაიზარდოს საბრძოლო ქვედანაყოფების მზადყოფნის დონე. ასევე, ხორციელდება ბრძოლის ახალი, თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების დადგენა და დანერგვა, რათა გაიზარდოს თავდაცვის ძალების განახლებული საბრძოლო შესაძლებლობების გამოყენების ეფექტიანობა.

განახლებული საბრძოლო შესაძლებლობებისა და ბრძოლის წარმოების ინოვაციური მეთოდების დანერგვის კვალდაკვალ აუცილებელია მართვის ახალი და თანამედროვე მიდგომების დანერგვაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრძოლის ინოვაციური ტაქტიკა და თანამედროვე შეიარაღების სისტემები მოძველებული ორგანიზაციული კლიმატითა და ვადაგასული მართვის პროცედურებით ვერ უზრუნველყოფს თავდაცვის ძალების, როგორც საბრძოლო ორგანიზაციის, ეფექტურობის ამაღლებას. ყოველი ორგანიზაციის უმთავრესი საბრძოლო ძალა ხომ ადამიანია?! სამხედრო მოსამსახურე, ინდივიდი, რომლის ხელშიც ყოველი იარაღი თუ ბრძოლის წარმოების მეთოდი მეტ ეფექტურობას იძენს. შესაბამისად, ამ ინდივიდების მაღალ მოტივაციასა და საბრძოლო შემართებას უნდა უზრუნველყოფდეს ეფექტური ტაქტიკით, რომელიც 21-ე საუკუნის ორგანიზაციული თუ თაობრივი გამოწვევებისა და ტენდეციების კვალდაკვალ უნდა ტრანსფორმირდეს.

მიმართია, რომ ორგანიზაციული კლიმატის, როგორც ქვედანაყოფების საბრძოლო სიძლიერის უმნიშვნელოვანესი ელემენტის, კვლევასა და მუდმივ განახლებას საქართველოს თავდაცვის ძალებში ნაკლები ყურადღება ექცევა. შესაბამისად, მიმდინარე ტექნოლოგიური და ოპერატორული კონცეფციის ტრანსფორმაციის კვალდაკვალ აუცილებელია განხორციელდეს ორგანიზაციული ტრანსფორმაციაც. საჭიროა განხორციელდეს თავდაცვის ძალები არსებული ორგანიზაციული კლიმატის ძირეული კვლევა, ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოვლენის მიზნით. შეუძლებელია მოძველებული, ხშირად დემოტივატორული მიდგომებითა და მართვის პროცედურებით ახალი თაობის წარმომადგენლების, სამხედრო პერსონალის ისპირირება. უნდა გავითვალისწინოთ თავდაცვის ძალები მიმდინარე თაობათა ცვლა და ამ ფაქტის მხედველობაში მიღებით ორგანიზაციული კლიმატისა და მართვის პროცედურების შესაბამისად ტრანსფორმირება.

საპრენდო სისტემა:

ორგანიზაციული კლიმატი, საქართველოს თავდაცვის ძალები, თანამედროვე მართვის პროცედურები, ორგანიზაციული ტრანსფორმაცია.

ORGANIZATIONAL CLIMATE AS AN ELEMENT OF COMBAT POWER

LASHA DAVITADZE

I.JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY, PHD STUDENT OF SOCIAL SCIENCE, ORGANIZATIONAL AND PERSONAL DEVELOPMENT PROGRAM.
GENERAL STAFF OF GEORGIAN DEFENCE FORCES, J5 STRATEGIC PLANNING DEPARTMENT, HEAD OF THE MILITARY STRATEGY AND FORCE PLANNING DIVISION, LEUTENENT COLONEL

ABSTRACT

Existing security environment of the modern world creates tangible challenges for Georgia on the global scale, as well as on the regional level. As you already know, Georgian Defence Forces (GDF) represents one of the most important element of National Power and the guarantor for ensuring the security of the state. In order to successfully fulfill this, very important function, GDF is undergoing constant process of reforms and transformation. Specifically, GDF is conducting the procurement of the new combat capabilities in order to increase the level of readiness of the maneuver units. Additionally, modern and innovative approach of warfare is defined and is in the process of implementation to reach the maximum effectiveness of the new combat capabilities.

Besides the renewed combat capabilities and the implementation of innovative methods of warfare, it is crucial to define and implement the new approach of troop leading procedures as well. In other words, the innovative approach of warfare and the modern combat capabilities led with the old fashioned way of troop leading procedures and the outdated organizational climate cannot ensure the reach of maximum effectiveness of the GDF as an effective war-fighting organization. The real strength of any organization is a human being. An individual soldier, whose motivation and dedication makes every weapon system or tactics more effective as it is planned to be. Thus, steps must be taken to create an effective organizational climate that will take into the consideration challenges of 21st century and the differences between generations.

From my point of view, effective organizational climate is the most important element of combat power. Unfortunately, less attention is given to the research of this topic and to the creation of modern, efficient organizational climate in the GDF. In fact, it is crucial to transform organizational climate simultaneously with the updated combat capabilities and innovative operating concept. Moreover, researches should be conducted in order to define gaps and shortfalls within the existing organizational climate in the GDF. To be more specific, it is impossible to motivate and inspire personnel of the new generation using outdated and often demotivational approaches. We should take into the consideration new challenges and trend of the new generation and should transform organizational climate accordingly.

KEYWORDS:

Organizational Climate, Georgian Defence Forces, Modern Troop Leading Procedures, Organizational Transformation.

კომპლექსური უსაფრთხოების გარემო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოს სახელმწიფოს, როგორც რეგიონალური ასევე გლობალური მატებით. საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების ჰიბრიდული ბუნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოხდეს მათი დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება. სწორედ მსგავს გამოწვევებზე დროულად და ეფექტუანად რეაგირების მიზნით საქართველოს სახელმწიფოს ჰყავს თავდაცვის ძალები, როგორც მისი სიძლიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტი. ამ უმნიშვნელოვანესი ფუნქციის წარმატებით შესრულების მიზნით, საქართველოს თავდაცვის ძალები მუდმივად რეფორმირებისა და ახლის ძიების პროცესშია, რათა ცვალებად უსაფრთხოების გარემოში მოახდინოს დროული და ადექვატური რეაგირება.

სწრაფად ცვალებადი და კომპლექსური უსაფრთხოების გარემოდან მომდინარე გამოწვევების ფონზე,

სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციის პროცესის უწყვეტობა. შესაბამისად, პერმანენტულად ხორციელდება საბრძოლო შესაძლებლობების განახლება და მოდერნიზება, რათა გაიზარდოს საბრძოლო ქვედანაყოფების მზადყოფნის დონე. ასევე, ხორციელდება ბრძოლის ახალი, თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების დადგენა და დანერგვა, რათა გაიზარდოს თავდაცვის ძალების განახლებული საბრძოლო შესაძლებლობების გამოყენების ეფექტიანობა. თუმცა, მნიშვნელოვანია კრიტიკულად გავაანალიზოთ აღნიშნული საკითხი და დავსვათ კითხვა: რამდენად საკმარისად უბრუნველყოფს მხოლოდ აღნიშნული რეფორმების იმპლემენტაცია საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებასა და ჩვენი სახელმწიფოს წინაშე არსებულ საფრთხეებზე ეფექტიან რეაგირებას?

თავდაცვის ძალების სამეთაურო რგოლის მიერ განხორციელებული ანალიზის შედეგად წარმოჩნდა, რომ მოძველებული ორგანიზაციული კლიმატი და ვადაგასული მართვის პროცედურები ვერ უბრუნველყოფს თავდაცვის ძალების, როგორც საბრძოლო ორგანიზაციის, ეფექტიანობის ამაღლებას. განახლებული საბრძოლო შესაძლებლობებისა და ბრძოლის წარმოების ინოვაციური მეთოდების დანერგვის კვალდაკვალ, აუცილებელია მართვის ახალი და თანამედროვე მიდგომების დანერგვაც. შეუძლებელია მოძველებული, ხშირად დემოტივაციური მიდგომებითა და მართვის პროცედურებით ახალი თაობის წარმომადგენლების, სამხედრო პერსონალის ინსპირირება. უნდა გავითვალისწინოთ თავდაცვის ძალებში მიმდინარე თაობათა ცვლის პროცესი და ამ ფაქტის მხედველობაში მიღებით უნდა განხორციელდეს ორგანიზაციული კლიმატის ტრანსფორმაცია.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში არსებული ორგანიზაციული კლიმატი ტრანსფორმირდეს „ამოცანით მართვის“ პრინციპების შესაბამისად. მეტი აქცენტი უნდა გავეთდეს ისეთი ორგანიზაციული კლიმატის ჩამოყალიბებაზე, სადაც ქვედანაყოფებში არსებული გარემო ხელს შეუწყობს სამხედრო მოსამსახურების სულისკვეთების ამაღლებას, მაღალი მოტივაციის შექმნასა და ამით ქვედანაყოფის საბრძოლო ეფექტიანობის გაზრდას. ყოველი ორგანიზაციის უმთავრესი საბრძოლო ძალა ხომ ადამიანია? სამხედრო მოსამსახურე, ინდივიდი, რომლის ხელშიც ყოველი იარაღი თუ ბრძოლის წარმოების მეთოდი მეტ ლეტალობას იძენს. შესაბამისად, ამ ინდივიდების მაღალ მოტივაციასა და საბრძოლო შემართებას უნდა უბრუნველყოფდეს ეფექტიანი ორგანიზაციული კლიმატი, რომელიც 21-ე საუკუნის ორგანიზაციული თუ თაობრივი გამოწვევებისა და ტენდეციების კვალდაკვალ უნდა ტრანსფორმირდეს.

კანსაღი ორგანიზაციული კლიმატი თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების წარმატებული ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, რომელიც უფრო მეტ აქტუალურობას იძენს გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების პირობებში. ამერიკული არმიის წესდების განმარტებით, ორგანიზაციული კლიმატი ამ ორგანიზაციის წევრების მიერ აღქმული გარემოა, რომელშიც მათ უწევთ ოპერირება. კლიმატი იქმნება ორგანიზაციის წევრების მიერ აღიარებული საერთო ღირებულებებით, აღქმებითა და დამოკიდებულებებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ ღირებულებებზე დაყრდნობით რომლებისაც მათ სჭრათ და სწამო, რომ ამ ღირებულებების ქვეშ არიან გაერთიანებულები კონკრეტულ ორგანიზაციაში. ორგანიზაციული კლიმატის მსგავს აღქმას ააქვს უდიდესი მნიშვნელობა მისი წევრების მოტივაციაზე, პროდუქტიულობასა და ნდობაზე, როგორც ერთმანეთისადმი, ასევე მათი ლიდერებისადმი [1.4-59].

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თავის მხრივ ორგანიზაციული კლიმატი უფრო მაშტაბური ფენომენის, ორგანიზაციული კულტურის ნაწილია. ამერიკული არმიის „ლიდერის სახელმძღვანელო“ აღწერს ორგანიზაციულ კულტურას, როგორც მთლიანად არმიაში არსებულ ინსტუციურ გარემოს, რომელზეც უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენენ სტრატეგიული ლიდერები. ხოლო, ორგანიზაციული კლიმატი კი წარმოადგენს ამ დიდ ინსტიტუციაში შემავალ დაქვემდებარებულ სტრუქტურებსა და ქვედანაყოფები არსებულ გარემოს. აღსანიშნავია, რომ არმიის ყოველი სტრუქტურული ერთეულის მეთაური და ლიდერი თავად ახდენს გავლენას ორგანიზაციული კლიმატის ჩამოყალიბებაში [1.4-50]. ნაშრომის ფარგლებში განვიხილავთ მხოლოდ ორგანიზაციულ კლიმატს, საქართველოს თავდაცვის ძალებთან მიმართებაში. გავაანალიზებთ თუ რა ტენდეციებსა და ღირებულებებზე დამყარებული ორგანიზაციული კლიმატი შეუწყობს ხელს საქართველოს თავდაცვის ძალების ცალკეული ქვედანაყოფების ეფექტიანობის ამაღლებას. ასევე, განვიხილავთ თუ რა ელემენტები ახდენენ გავლენას ეფექტიანი ორგანიზაციული კლიმატის ჩამოყალიბებაში და რა ნაბიჯების გადადგმა გვჭირდება, რათა მივაღწიოთ სასურველ შედეგს, თავდაცვის ძალებში არსებული რეალობის გათვალისწინებით.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ლიდერის როლი არის გადამწყვეტი კანსაღი ორგანიზაციული კლიმატის ჩამოყალიბებაში. სწორედ ორგანიზაციის ლიდერები, ხელმძღვანელები, მეთაურები ქმნიან დისციპლინირებულ, ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე დაფუძნებულ, შეკრულ გუნდს. ისინი ამას ახერხებენ

პირადი მაგალითით, საკუთარი ღირებულებებისა და ფასეულობების დემონსტრირებით. ფაქტიურად, მეთაურის პიროვნება და მისი საქციელი გახლავთ ის უმთავრესი ქვაკუთხედი რომელიც უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ჰანსალი ორგანიზაციული კლიმატის ჩამოყალიბებაზე [2.9-1]. მეთაური პირადი საქციელით, საკუთარი ღირებულებების დემონსტრირებითა და თანამშრომლებისადმი ღირსეული დამოკიდებულებით გასცემს მკაფიო სიგნალს, ორგანიზაციის ყველა წევრისადმი, თუ როგორ მიდგომას მოითხოვს ის ყველა თანამშრომლისგან და რომ ნაკლები ქცევის სტანდარტი არ იქნება მისაღები. შესაბამისად, მეთაურის და ორგანიზაციის ყველა ლიდერის მხრიდან მსგავსი მიდგომა უმთავრესი ფაქტორია ორგანიზაციაში ჰანსალი კლიმატის ჩამოსაყალიბებლად.

მამასადამე, ქვედანაყოფის მეთაური და მის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა რანგის ლიდერი (ე.წ. სამეთაურო ჰანტვი), არის მთავარი განმსაზღვრელი ქვედანაყოფში ჰანსალი გარემოს ფორმირების პრიცესში. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია ქვედანაყოფის სამეთაურო რგოლი შედგებოდეს ღირსეული, კომპეტენტური და მაღალი მორალური სტანდარტების მქონე ლიდერებისგან. მანც, რა ღირებულებებისა და ქცევის მატარებლები უნდა იყვნენ საქართველოს თავდაცვის ძალებში შემავალი ქვედანაყოფების მეთაურები და ქვედანაყოფები არსებული ყელა ლიდერი? თადარიგის პოლკოვნიკი მ. მელონი თავის წიგნში „მცირე ქვედანაყოფების ლიდერობა“ აღწერს იმ ძირითად ღირებულებებს, რასაც უნდა წარმოაჩენდეს ორგანიზაციის ყველა დონის ლიდერი, რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ ჰანსალი ორგანიზაციული კლიმატის ფორმირებაში. მენტალურად მდგრადი, ძლიერი ნებისყოფის, მტკიცე თვით-დისციპლინისა და ემპატიის მქონე ლიდერები, რომლებიც განუწყვეტლივ მუშაობენ საკუთარი ემოციური ინტელექტის სრულყოფისკენ, ააქვთ უნარი განტვრიტონ მომავლის ოპერატიული გარემო და არასოდეს ეგუებიან არსებულ სტატუს ქვოს. სწორედ ასეთი ლიდერები ქმიან ისეთ ორგანიზაციულ კლიმატს, სადაც ყველა წინაპირობა შექმნილი ქვედანაყოფის განვითარებისა და წარმატებისთვის [3.37].

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს თავდაცვის ძალებში მართვა ხორციელდება სამეთაურო ჰანტვის საშუალებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა ქვედანაყოფს მართავს მეთაური, მის დაქვემდებარებაში მყოფი სხვა ლიდერების საშუალებით (ე.წ. „სამეთაურო ჰანტვი“). ყველა დონის ლიდერი სამეთაურო იერარქიაში მყოფი, სხვა უფრო მაღალი რანგის ლიდერის დაქვემდებარებული პირია. ამ ფაქტის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ქვედანაყოფის მეთაური მართავს არა მარტო რიგით თანამშრომლებს, არამედ სხვა ლიდერებსაც. მაშასადამე, ქვედანაყოფის მეთაური ამავდროულად არის ლიდერების ლიდერიც. როგორი ლიდერობის სტილი შესაბამება საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურების ღირსეულ წინამდღოლობას? როგორ უნდა მოვახერხოთ მათი მოტივირება, ინსპირირება და ჰანსალი ორგანიზაციული კლიმატის ჩამოყალიბებაში ინტეგრირება?

„ამოცანით მართვის“ პრინციპების დანერგვა და ქვედანაყოფების ამ მიდგომით წინამდღოლობა უალტერნატივო მართვის სტილია საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის. „ამოცანით მართვა“ ყველაზე ეფექტურიანი მიდგომაა სწრაფად ცავალებად და არაპროგნოზირებად უსაფრთხოების გარემოში წარმატებით ოპერირებისთვის. ამერიკული არმიის „ლიდერის სახელმძღვანელო“ განმარტავს „ამოცანით მართვას“, როგორც დეცენტრალიზებულ მართვის სტილს. ამ მიდგომის დროს მეთაურები აწვდიან სრულ ინფორმაციას მათ დაქვემდებარებულ ლიდერებს შესასრულებელი ამოცანის შესახებ. აცნობენ მათ ამოცანის მიზანს და ამ ამოცანის აღსრულებასთან დაკავშირებულ ზემდგომი მეთაურის ჩანაფიქრს. ინფორმირებულობა წარმოადგენს „ამოცანით მართვის“ მიდგომის მთავარ ქვაკუთხედს. ამავდროულად, დაქვემდებარებულ ლიდერებს ეძლევათ ინიციატივის აღებისა და დამოუკიდებლად მოქმედების უფლება, ამოცანის მიზნიდან და ზემდგომი მეთაურის ჩანაფიქრიდან გამომდინარე. უფლებამოსილების დელეგირება და საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში მოქმედების თავისუფლება გახლავთ უმთავრესი ფაქტორი „ამოცანით მართვის“ მიდგომის დროს [1.4-3].

დეცენტრალიზებული მიდგომით ოპერირების დროს ყველა რანგის მეთაური ვითარდება. კონკრეტულად, ისინი ანვითარებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ დაეხმარებათ დისციპლინირებული ინიციატივის გამოჩენაში და ამოცანის მიზნიდან გამომდინარე დამოუკიდებელი მოქმედებების წარმართვაში. ასეთი ორგანიზაციული კლიმატისა და მართვის სტილის პირობებში, მცირე ზომის ქვედანაყოფის ლიდერები გააგრძელებენ ამოცანის შესრულებას მაშინაც კი, როდესაც საომარი მოქმედებების შედეგად გაწყდება კავშირი ზემდგომ მეთაურთან და არ იარსებებს მკაფიო მითითებები. ასევე მაშინაც, როდესაც ბრძოლის ველზე სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება იქნება საჭირო და ზემდგომ მეთაურთან სამოქმედო გეგმის შეთანხმების დრო არ იარსებებს. სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებები გახლავთ „ამოცანით მართვის“ მიდგომისა და ლიდერების მხრიდან დისციპლინირებული ინიციატივის გამოჩენის შედეგი. სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თანამედროვე ოპერატიულ გარემოში

წარმატების მისაღწევად. ორგორც ხედავთ, „ამოცანით მართვის“ პრინციპების დანერგვის შედეგად მიღებული ორგანიზაციული კლიმატი გახლავთ საბრძოლო სიძლიერის ელემენტი, რაც თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებს მოაპოვებინებს უმნიშვნელოვანეს უპირატესობას დინამიურ ბრძოლის ველზე.

რთულ ვითარებებში ინიციატივის აღება და სწორი გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ორგანიზაციის ყველა რანგის ლიდერში შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებას. მსგავსი უნარები თავისით არ ჩნდება. სწორედ ქვედანაყოფის მეთაურის მოვალეობას წარმოადგენს დაქვემდებარებულ ლიდერებში განავითაროს ის უნარები და კომპეტენციები რაც დეცენტრალიზებული მართვის დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დაქვემდებარებული ლიდერების კომპეტენციების ამღლებაში უმთავრესი იარაღი, ქვედანაყოფის მეთაურის ხელში, გახლავთ მისი ლიდერობის სტილი და განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციული კლიმატი. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ქვედანაყოფის მეთაურმა უნდა მისცეს დაქვემდებარებულ ლიდერების მოქმედების თავისუფლება და გაგებით მოევიდოს მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს. შეცდომა ხომ საუკეთესო შესაძლებლობაა სწავლისა და განვითარებისთვის. შესაბამისად, ქვედანაყოფების მეთაურებმა საკუთარ თავში უნდა იპოვონ გამბედაობა და გადალახონ მანკიერი პრაქტიკა, „საბჭოთა კარის გადმონაშთი“, შეცდომების დაშვების ნულოვან ტოლერანტობასთან დაკავშირებით.

ქვედანაყოფების მეთაურებმა უნდა შექმნან გამოცდილებაზე ორიენტირებული სწავლისა და განვითარების გარემო. ეს თავისთვად გულისხმობს არა მარტი დაშვებული შეცდომებისადმი ტოლერანტულ დამოკიდებულებას, არამედ მათ გამოყენებას დაქვემდებარებლი ლიდერების შედგომი განვითარების მიზნით. ამერიკული არმიის „ლიდერის სახელმძღვანელო“ დეტალურად განმარტავს ამ მიდგომის პროცესსა და მასთან ასოცირებულ დადებით მხარეებს. აღნიშნული სახელმძღვანელოს მიხედვით, ბრწყინვალე მეთაურები დაქვემდებარებულ ლიდერებს აძლევენ მოქმედების თავისუფლებას და ამავდროულად უფლებას დაუშვან შეცდომები. მსგავსი ორგანიზაციული კლიმატის პირობებში დაქვემდებარებული ლიდერები უფრო გაბედულად მოქმედებენ და არ ააქვთ შიში იმისა, რომ დაშვებული შეცდომების გამო უმკაცრესად აგებენ პასუხს. უფრო მეტიც, მათ ააქვთ ნდობა მათი მეთაურების, რომ მენტორული და აღმზრდელობითი მიდგომით მათ დაეხმარებინა შეცდომების აღმოფხვრასა და წარმატების მიღწევაში [1.46].

როგორც საიმონ სიკენი, ლიდერშიპის გურუდ წოდებული მეცნიერი, ამბობს: „ჭეშმარიტი ლიდერები გვაძლევენ შესაძლებლობას ვცადოთ და შეგვეშალოს. შემდეგ ტაქტიანად მიგვითითებენ დაშვებულ შეცდომებზე, გვასწავლიან და კვლავ გვაძლევენ დამატებით შესაძლებლობას, რომ ისევ ვცადოთ სანამ არ მივაღწევთ წარმატებას“ [4.29]. მსგავსი მიდგომით მეთაურები უზრუნველყოფენ დაქვემდებარებული ლიდერების წარმატებას. კარგი მეთაური ნაბიჯ-ნაბიჯ, მენტორული მიდგომითა და შეცდომებზე სწავლის გზით ანვითარებს დაქვემდებარებულ ლიდერებს. ის ასწავლის მათ გამარჯვებას. დაქვემდებარებული ლიდერების წარმატება ხომ მთლიანი ორგანიზაციის და შესაბამისად ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის წარმატებაა? თავის წიგნში „ლიდერის 21 შეუცვლელი თვისება“, ჭონ მაქსველი ადასტურებს ამ მიდგომის ეფექტიანობას და განმარტავს, რომ მენტორული და აღმზრდელობითი დამოკიდებულებით იზრდება დაქვემდებარებულების ნდობა მათი ლიდერებისადმი. თავის მხრივ ლიდერებსაც უჩნდებათ მეტი ნდობა მათ დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალისადმი, ხოლო ეს პროცესი ხელს უწყობს ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ყველა თავს უსაფრთხოდ გრძნობს და განწყობილია თანამშრომლობისათვის [5.120].

ნდობაზე დამყარებული კლიმატი ზრდის ორგანიზაციის ლიდერებისა და რიგითი წევრების პროდუქტიულობას. შესაბამისად, ეფექტიანი ლიდერები იღწვიან ჩამოყალიბონ ნდობასა და პატივისცემაზე დამყარებული გარემო, სადაც რიგითი თანამშრომლებიც ვი თავს მხნედ და დაცულად გრძნობენ. მხნედ იმისთვის, რომ აიღონ ინიციატივა და იმოქმედონ დამოუკიდებლად, ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. ხოლო დაცულად, რათა არ ქონდეთ შიში მათი ლიდერებისა, რომ შეცდომის დაშვების შემთხვევაში საკუთარი ლიდერები მათ „გასწირავენ“. საიმონ სინეკი თავის წიგნში „Leaders Eat Last“, მოვითხოვოს საინტერესო ფენომენზე, რომელსაც ის „უსაფრთხოების წრეს“ უწოდებს. მისი განმარტებით თანამედროვე სამყარო საქვეა საფრთხეებითა და გამოწვევებით. ყველა საფრთხე, რომელსაც ორგანიზაცია უპირასპირდება, მიმართულია ამ ორგანიზაციის განადგურებისკენ. თუ ორგანიზაციაში პერსონალი ენდობა საკუთარ ლიდერებს, ისინი თავს დაცულად გრძნობენ, გარედან მომდინარე სააფრთხეებით მიმართებაში. სწორედ ეს დაცული გარემო წარმოადგენს „უსაფრთხოების წრეს“. დაცულობა და უსაფრთხოების განცდა ვი მათ ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობისკენ უბიძგებს. წარმოიდგინეთ, როგორი კლიმატი იქნებოდა ორგანიზაციაში სადაც რიგითი წევრები თავს დაცულად არ გრძნობენ და საკუთარ ლიდერებს არ ენდობიან? ეშინიათ, რომ ლიდერები მათ ვერ გაუგებენ. ამ დროს ორგანიზაციის თითოეული წევრი თავის თავში იკვეტება. არ იღებს ინიციატივას იმის შიშით, რომ „არაფერი შემეშალოს“ და ცდილობს როგორმე დღის ბოლომდე გააღწიოს თავი. მსგავსი კლიმატის მქონე ორგანიზაცია უდაოდ განწყირულია წარუმატებლობისკენ [4.53]. მაშასადამე, ლიდერების

მხრიდან დაქვემდებარებულ პერსონალზე ზრუნვა ხელს უწყობს ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს ფორმირებას, რაც თავის მხრივ უბრუნველყოფს ორგანიზაციის წევრების პროდუქტიულობას, მაღალ შემართებასა და თავდადებას, ორგანიზაციის საერთო მიზნების მისაღწევად.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციული დონის ხელმძღვანელები აღარ არიან პირდაპირი ლიდერები. შესაბამისად მათ უნდა გაიაზრონ, რომ ლიდერობის სტილი, რომელიც ეფექტიანი იყო პირდაპირი ლიდერობის პოზიციაზე ყოფილი დროს, ვეღარ იქნება ეფექტიანი ორგანიზაციული ლიდერობის პერიოდში. მათ უნდა გაუძლონ ცდუნებას, არ აირჩიონ ადვილი გზა, არ ჩარჩიონ დაქვემდებარებული ლიდერების კომპეტენციებში, არამედ მართონ ქვედანაყოფი დაქვემდებარებული ლიდერების მეშვეობით და არა მათი უგულვებელყოფით. არ მიღინ გადაწყვეტილებები დაქვემდებარებული ლიდერების მაგივრად, არამედ დაუტოვონ მათ მოქმედების თავისუფლება, მისცენ დაქვემდებარებულ ლიდერებს საშუალება მეთაურობისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამეთაურო იერარქიის დაცვა უმნიშვნელოვანესია ქვედანაყოფების მეთაურების მხრიდან. ამ მიღვინ წარმატებით იმპლემენტაციის მიზნით, ქვედანაყოფის მეთაურებმა ინდივიდუალურად უნდა იმუშაონ დაქვემდებარებულ ლიდერებთან. მათ უნდა მოარგონ თავიანთი ლიდერობის სტილი დაქვემდებარებული ლიდერების ინდივიდუალურობას. ეფექტიანი მეთაური უნდა იყოს მოხერხებული, რათა მოარგოს მისი ლიდერობის სტილი იმ გარემოსა და პერსონალს რომელსაც ის ხელმძღვანელობს და არა პირიქით.

როდესაც ვსაუბრობთ ლიდერობის სტილის ინდივიდუალურ მიღვინმაზე უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სტილი მხოლოდ მაშინ არის ეფექტიანი თუ ლიდერი არის დემოკრატი. დიახ, დემოკრატი. ლიდერი უნდა ცდილობდეს დაქვემდებარებულების აზრი გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ჩართოს ისინი გადაწყვეტილებების მიღებისა და ქვედანაყოფის მართვის პროცედურებში. ამ დროს დაქვემდებარებულები თავს რეალიზებულად და ორგანიზაციის სრულფასოვან წევრებად გრძნობენ, რაც ზრდის მათ მოტივაციას. ასევე უჩნდებათ განცდა, რომ მათი კონტრიბუცია ორგანიზაციის საქმიანობაში უმნიშვნელოვანესია და მეთაურები მათ აზრს ითვალისწინებენ. ფაქტიურად, დაქვემდებარებული პერსონალი არა მხოლოდ ასრულებს ბრძანებებს, არამედ ჩართული არიან ამ ბრძანებების შექმნის პროცესშიც. ამავდროულად, დაქვემდებარებულ ლიდერებს რეალურად ააქვთ განცდა, რომ ისინი ნამდვილად არიან სრულყოფილი წევრები ორგანიზაციის სამეთაურო ჰაჭვისა. სხვადასხვა აზრისა და განსხვავებული პერსპექტივის არსებობა და ამ შეხედულებების ქვედანაყოფის მართვის პროცესში გათვალისწინება, უფრო სრულყოფილს ხდის სამოქმედო გეგმებს. ამერიკული არმიის „ლიდერის სახელმძღვანელოც“ ადასტურებს ამ თეზისის მართებულობას. აღნიშნული სახელმძღვანელოს მიხედვით, ქვედანაყოფის მეთაურმა უნდა გაიაზროს, რომ ყველა დაქვემდებარებული პირი ერთნაირი არ არის და ყველა ინდივიდის აქვს სხვადასხვა შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე. ამ სხვაობების გათვალისწინება და თითოეული დაქვემდებარებული ლიდერის პერსპექტივის ასახვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აძლიერებს ამ ორგანიზაციას და უფრო სრულყოფილს ქმნის სამოქმედო გეგმებს [1.4-18].

თუ ქვედანაყოფის მეთაურს ყველა დაქვემდებარებულ ლიდერთან ერთნაირი მიღვინმა და მართვის სტილი აქვს, მაშინ სავარაუდო ის არ ექცევა მათ სამართლიანად [1.4-49]. ყველა დაქვემდებარებული ინდივიდია. შესაბამისად, მეთაურებს მათთან ინდივიდუალური მიღვინმა და ლიდერობის სტილის მორგება სჭირდებათ. ჩეპმენისა და ვაითის მტკიცებით კვლევებმა ცხადყო რომ, მთლიანი ორგანიზაციის ერთი მიღვინმითა და მართვის სტილით ხელმძღვანელობის მცდელობა არაეფექტიანი გამოდგა. ყველა დაქვემდებარებულს ააქვს სურვილი, მათი დამსახურება წარმოჩენილ იქნას ინდივიდუალურად და არა კოლექტიურად [6.23]. უმნიშვნელოვანესია ინდივიდუალური მიღვინმითა და ლიდერობის სტილით წავახალისოთ ორგანიზაციის ყველა ლიდერი თუ რიგითი თანამშრომელი და დავარწმუნოთ, რომ მათი ჩართულობა უმნიშვნელოვანესი კონრიბუციაა ორგანიზაციის საერთო წარმატების საქმეში. ამერიკული არმიის თადარიგის გენერალი, სტენლი მაკ. კრისტალი, თავის წიგნში „Team of Teams“ განმარტავს, რომ გუნდის ყველა ინდივიდის ჩართულობა საერთო პრობლემის მოგვარების საქმეში იმდენად მრავალფეროვან და ეფექტიან სამოქმედო გეგმებს აყალიბებს, რომლის მოფიქრებასაც ვერცერთი მეთაური ინდივიდუალურად ვერ შეძლებდა. ეს იდეები კი ყოველთვის იერარქიულად ქვემოდან ზემოთ მოდის და არა პირიქით [7.114]. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქვედანაყოფების მეთაურების უნარ-ჩვევების არსენალში მოიპოვებოდეს დაქვემდებარებული პერონალისადმი ინდივიდუალური მიღვინმა და ლიდერობის სტილის განვითარებაც, რათა არ დაიკარგოს ორგანიზაციის არცერთი წევრის ბრწყინვალე იდეა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ თავდაცვის ძალებში არსებული, მოძველებული შეფასების სისტემა. არსებული შეფასების სისტემის მიხედვით, ნებისმიერი ლიდერი, თურიგითითანამშრომელი, ფასდება მხოლოდ მისი უშალო მეთაურის, ხელმძღვანელის მხრიდან. ქვედანაყოფის მეთაურის ეფექტიანობის განმაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი გახლავთ, მისი დაქვემდებარებული პერონალისადმი

დამოვიდებულება და ქვედანაყოფში ეფექტიანი ორგანიზაციული კლიმატის ჩამოყალიბება. მიმართია, რომ შეფასების სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურის მომავალ კარიერულ განვითარებას, აუცილებლად უნდა მოიცავდეს არა მარტო მეთაურების მხრიდან დახასიათებას, არამედ დახასიათებას თანასწორი კოლეგებისა და დაქვემდებარებული პერსონალის მხრიდანაც. აღნიშნული ცვლილების შედეგად სულ სხვა რეალობაში აღმოჩნდება ყველა რანგის მეთაური და ლიდერი. უფრო კონკრეტულად, მეთაურები იძულებულიც ვი გახდებიან მეტი ყურადღებითა და შემართებით მოვკიდონ თითოეულ დაქვემდებარებულ პირთან ურთიერთობასა და ორგანიზაშიაში ჰანსაღი კლიმატის ჩამოყალიბებას. პიპოტეტურად წარმოიდგინეთ, რომ ქვედანაყოფის მეთაურობა არჩევითია. ანუ ქვედანაყოფის პერსონალი ყოველდღიურად ირჩევს მეთაურს მეორე დღისთვის. ამ შემთხვევაში, იქნებოდით ვი თქვენ ის პიროვნება რომელსაც ორგანიზაციის პერსონალი მეორე დღესაც აირჩევდა? იქნებოდით ვი ის ლიდერი, რომელსაც ენდობოდა და ლიდერად აღიარებდა ორგანიზაცია? ხართ ვი აღიარებული ლიდერი? თუ მხოლოდ დანიშნული მეთაურის როლს ასრულებთ? გახსოვდეთ ეს კითხვები და პიპოტეტური ექსპერიმენტი, როდესაც თქვენ დაქვემდებარებულებთან გენებათ ურთიერთობა და შედეგად მეტ ემპათიას გამოიჩენთ მათ მიმართ. მეტი პატივისცემითა და აღიარებით მოვიდებით მათ როლს თქვენს ორგანიზაციაში, ხოლო საბოლოოდ ვი მივიღებთ ჰანსაღ და ეფექტიან ორგანიზაციულ კლიმატს.

საზოგადოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ყოველი ცვლილება რთული მისაღებია. რთულია უარი თქვა უკვე არსებულ სისტემაზე, გამომუშავებულ შესაბამის უნარ-ჩვევებზე და აიძულო საკუთარი თავი გამოხვიდე კომფორტის ზონიდან. არსებული პარადიგმის ცვლილება ყოველთვის უკავშირდება სირთულეებს. განსაკუთრებით ვი ორგანიზაციული დონის ცვლილებები, ისეთი როგორიცაა ორგანიზაციული კლიმატის ცვლილება. ზოგადად ცვლილებები გარდაუვალია და ამ ფაქტის უგულვებელყოფა ფატალურ შედეგებამდე მიგვიყვანს. აღექსა კორტინისა და ჟეს ვილიამსის მტკიცებით ნებისმიერი ორგანიზაციის სტატუს ქვო ყოველთვის იქნება შენარჩუნებული, სანამ მის ცვლილებასთან დაკავშირებული სარგებელი არ გადაწონის ამ ცვლილებისგან გამოწვეულ სირთულეებს. ეს მაშინ ხდება როდესაც არსებული სისტემა სრულ კოლაფს განიცდის, ან როდესაც არსებული სისტემით ვეღარ ვარწევთ დასახულ მიზნებს [8.7]. საქართველოს თავდაცვის ძალები არაერთხელ წარმატებით გაუმკლავდა ძირეულ ცვლილებებთან ასოცირებულ სირთულეებს. უფრო მეტიც, გლობალიზაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, მუდმივი ტრანსფორმაცია ორგანიზაციის განვითარების აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს. მტკიცე დისცილინითა და საქმისადმი პროფესიონალური დამოკიდებულებით, საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების მეთაურებმა უნდა უზრუნველყონ აღნიშნული ცვლილებების წარმატებით განხორციელება. კერძოდ, თავდაცვის ძალების მიმდინარე თაობათა ცვლის პროცესის გათვალისწინებით, აუცილებელია თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები განხორციელდეს ორგანიზაციული კლიმატის ტრანსფორმაცია, მომავლის საფრთხეებზე და გამოწვევებზე ეფექტიანად რეაგირების მიზნით.

ამრიგად, სწრაფად ცვალებადიდა კომპლექსური უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე, სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვის ძალების მუდმივი ტრანსფორმირება და საფრთხეებზე ადაფტირება. განახლებული საბრძოლო შესაძლებლობებისა და ბრძოლის წარმოების ინოვაციური მეთოდების დანერგვის კვალდაკვალ აუცილებელია მართვის ახალი და თანამედროვე მიდგომების დანერგვაც. კერძოდ, თავდაცვის ძალებში მიმდინარე თაობათა ცვლის პროცესის გათვალისწინებით, აუცილებელია თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები განხორციელდეს ორგანიზაციული კლიმატის ტრანსფორმაცია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების მეთაურები გახდავთ ის მამოძრავებელი ძალა, რომლებმაც პირადი მაგალითით და მაღალი მორალური ღირებულებების დემონსტრირებით უნდა უზრუნველყონ ეფექტიანი ორგანიზაციული კლიმატის ჩამოყალიბება. მეთაურებს უნდა ესმოდეთ, რომ სწორედ მათი სამაგალითო მოქმედებებით, საჭირო უნარ-ჩვევებითა და დაქვემდებული პერონალისადმი ღირსეული დამოკიდებულებით, ისინი ახდენენ უმნიშვნელოვანეს გავლენას, ეფექტიანი ორგანიზაციული კლიმატის ფორმირების პროცესში. ორგანიზაციულ ლიდერებს ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ ერთიანი გუნდის იდენტობა ყალიბდება ურთიერთპატივისცემითა და ერთმანეთისადმი ნდობის დემონსტრირებით.

შექამების სახით კვლავუნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიური განვითარების მიუხედავად, ინდივიდუალური ჟარის ვაცი, მისი მოტივაცია და სულისკვეთება წარმოადგენს საბრძოლო სიძლიერის უმთავრეს ელემენტს. ქვედანაყოფის ჰანსაღი ორგანიზაციული კლიმატი წარმოშობს წინაპირობას, დინამიურ ბრძოლის ველზე წარმატების პოსაპოვებლად. ჰანსაღი ორგანიზაციული კლიმატის სარგებელი ვერ აისახება დაუყოვნებლივ და შეიძლება წლების მანძილზეც ვერ გახდეს ხელშესახები. თუმცა ეს გარემოება არ უნდა აღმოჩნდეს შემაფერხებელი ფაქტორი ორგანიზაციის ლიდერებისთვის, რათა განავითარონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი ინდივიდები და საკუთარი წვლილი შეიტანონ ქვედანაყოფებში ჰანსაღი ორგანიზაციული კლიმატის

ჩამოყალიბების პროცესში. თუ რამდენად ბრძოლისუნარიანი იქნება საქართველოს თავდაცვის ძალები ხვალ, დამოვიდებულია დღევანდელი ლიდერების ძალისხმევაზე. ლიდერების, რომელთა უმნიშვნელოვანესი პასუხიმგებლობაა არასოდეს შეეგუონ არსებულ სტატუს ქვოს და მუდმივად იღწვოდნენ თავდაცვის ძალების განვითარებისთვის.

REFERENCES:

1. Wade M., Norman. *The Leader's Smartbook*, Lakeland, The Lighting Press, 2003.
2. Department of the Army. *Army Leadership and the Profession*, Washington DC, Department of the Army, 2019.
3. Malone M., Dandridge. *Small Unit Leadership*, New York, Ballantine Books, 1983.
4. Sinek, Simon. *Leaders Eat Last: Why Some Teams Pull Together and Others Don't*, New York, Portfolio, 2014.
5. Maxwell c., John. *The 21 Indispensable Qualities of a Leader*. Nashville, Thomas Nelson Inc, 1999.
6. Chapman, Gray. White, Paul. *The 5 Languages of Appreciation in the Workplace*, Chicago, Northfield Publishing, 2012.
7. McChrystal, Stanley. *Team of Teams: New Rules of Engagement for a Complex World*, Great Britain, Clays Ltd, 2015.
8. Courtney, Alexa. Williams, Jess. *How [Culture] Change Happens: Build a Roadmap for Implementation Based on What Works*, New York, Frontier design, 2021.

იუნკერთა აკადემიურ მოსწრებაზე მოქმედი მამოტივირებელი ფაქტორები პანდემიის პერიოდში

**თბილის კროპაძე
სოციალური მეცნიერებების დოკტორი,
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია,
იუნკერთა სასწავლო ბათაშიონი, ფსიქოლოგი.**

პრესტიჟი

პანდემიიდან გამომდინარე, სწავლების ფორმატის შეცვლამ, სპეციალისტების წინაშე ბუნებრივად დააყენა სავითხი აკადემიური მოსწრების შედეგებზე მისი გავლენის შესახებ. გახანგრძლივებულმა იზოლაციამ და სტრესულმა მდგომარეობამ, გარკვეული კვალი დატოვა პიროვნების ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ეს გავლენა თვალსაჩინოდ აისახება ადამიანის კოგნიტურ პროცესებზე, ემოციებსა და ქცევაზე. ამასთან, აღსანიშნავია რომ სტრესული სიტუაცია განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა ადამიანზე. სავარაუდოდ, ამ განსხვავებულობას ფსიქიკის სიჯანმრთელე და სტრესის მართვის ინდივიდუალური მიგნებები განაპირობებს.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერებმა, პანდემიის შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით, გასული 2020 წლის I სემესტრი დაამთავრეს ჩვეულ, სააუდიტორიო სწავლების რეჟიმში, ხოლო II სემესტრიდან გადავიდნენ დისტანციურ სწავლებაზე. შეცვლილ ფორმატს მათ აკადემიურ მოსწრებაზე ცალსახა გავლენა არ მოუხდენია, თუმცა ისეთი ფაქტორების ზემოქმედება, როგორიცაა: სტრესის მართვა, ძილის დარღვევები, ემოციური მდგომარეობის და მოტივაციის ცვლილება და ა.შ., გარკვეულ კანონზომიერებას დაუქვემდებარა.

წინამდებარე ნაშრომი ეხება განათლების ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოების დახმარებით, იუნკერთა სასწავლო ბატალიონში ჩატარებული კვლევის შედეგებსა და შესაძლო რეკომენდაციებს.

სამზანებო სიტყვები:

სწავლის შედეგები, დასწავლა, მოტივაცია, სტრესი, პანდემია.

MOTIVATING FACTORS AFFECTING JUNKERS' ACADEMIC PERFORMANCE DURING THE PANDEMIC

**TINATIN KROPADZE
DOCTOR OF SOCIAL SCIENCES,
NATIONAL DEFENSE ACADEMY OF GEORGIA,
PSYCHOLOGIST AT THE JUNKER'S TRAINING BATTALION**

ABSTRACT

Due to the pandemic, the change in the format of teaching naturally raised the question for specialists about its impact on the results of academic achievement. Prolonged isolation and stress have left some traces on a person's mental state. This influence is clearly reflected in human cognitive processes, emotions and behavior. However, it should be noted that stressful situations have different effects on different people. Presumably, this difference is due to individual findings of mental health and stress management.

The Junkers of the National Defense Academy, in accordance with the relevant requirements of the pandemic, completed the first semester of 2020 in the usual, auditory training mode, and from the second semester moved on to distance learning. The changed format of teaching did not have a definite effect on their aca-

demic achievement, although the influence of factors such as stress management, sleep disorders, changes in emotional state and motivation, etc., was subject to certain patterns.

The present paper deals with the results of research conducted in the Junkers' Training Battalion with the help of educational psychology textbooks.

KEYWORDS:

Learning Outcomes, Learning, Motivation, Stress, Pandemic.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 14 მარტის ბრძანება N16-ით განსაზღვრული აკადემიის მისია „ქვეყნისა და სამინისტროსთვის ღირსეული, მაღალი ეთივის, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების, აკადემიური უმაღლესი და სამხედრო განათლების მქონე ოფიცერთა კორპუსის მომზადება, მაღალი აკადემიური და სამეცნიერო მიღწევებზე დაუყრდნობული ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად”¹. იუნკერები ოფიცრად ჩამოყალიბების პროცესში გარკვეულ ტრანფორმაციას განიცდიან. აკადემიური მოსწრება მათი წარმატების ერთ-ერთი მყარი გარანტია.

იუნკერთა სწავლების და წვრთნის პროცესში ჩართული ძირითადი ფსიქოლოგიური ფაქტორებია: მოტივაცია(მიღწევის მოტივაცია), სტრესული ფაქტორები(ძილის დარღვევები), ლიდერული უნარები, ემოციების რეგულაცია და ა.შ. იუნკერებს დროის ნებისმიერ მონაცევთში აქვთ შესაძლებლობა, მოტივირებული იყვნენ როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი ფაქტორებით. გამოცდილებით შეძენილი შინაგანი მოტივაცია საკმაოდ მოწყვლადია გარემოს მიმართ და პერმანენტულ განმტკიცებას საჭიროებს გარეგანი წამახალისებელი ფორმებით. აკადემიის ხელმძღვანელობა მედმივად ზრუნავს გარეგანი მოტივაციის შექმნაზე. შესაბამისად, პედაგოგების წინაშე უფრო აქტიურად იკვეთება ზრუნვა შინაგანი მოტივაციის გაჩენასა და შენარჩუნებაზე, მათგა მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით.

მიმდინარე ცვლილებებიდან გამომდინარე, პანდემიის მდგომარეობამ შეცვალა იუნკერთა სწავლების ფორმატი, რასაც ბუნებრივად მოყვა აკადემიურ პროცესშე მოქმედი შინაგანი თუ გარემო ფაქტორების ცვლილება. შეცვალა სოციალური ურთიერთობები, ღირებულებები და ფასეულობები, მოტივაციური ფაქტორები, ფსიქოკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.

წარმატების მიღწევის მოტივაციის მქონე იუნკერები, განსაკუთრებით დისტანციური სწავლების რეჟიმში, უნდა იყვნენ ე.წ. „თვითრეგულირებული შემსწავლელები“. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ „ერთდროულად უნდა ჰქონდეთ ცოდნა, სწავლის მოტივაცია და ნებისყოფა, რაც დამოუკიდებლად და ეფექტურად სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევებსა და ძალას უზრუნველყოფს. ცოდნა მოიცავს მე-ს, დავალების, ამოცანის, სასწავლო სტრატეგიისა და მისი გამოყენების კონტექსტის გაგებას. სწავლის მოტივაცია უზრუნველყოფს დავალების შესრულების ვალდებულებას, ხოლო ნებისყოფა ებრძვის ხელის შემშლელ ფაქტორებს და ხელს უწყობს შეუპოვრობას“².

წინამდებარე კვლევა სწორედ იუნკერთა სწავლების ფორმატის და მასში ჩართული ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლის საჭიროებამ განაპირობა. ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერებმა, 2020 წლის პირველ სემესტრი დაამთავრეს ჩვეულ, საუდიტორიო სწავლების რეჟიმში, ხოლო მეორე სემესტრიდან დისტანციურ სწავლებაზე გადავიდნენ. ფსიქოლოგიური ფაქტორების საკვლევად, ჩატარდა შემდეგი სამუშაო:


• გამოიყო დაბალრეიტინგული და მაღალრეიტინგული იუნკერების ჰაუფი, მიმდინარე 2020-2021(დისტანციური) და გასული 2019-2020(საუდიტორიო სწავლება)სასწავლო წლების სედეგების გათვალისწინებით;

- შედარდა აკადემიურ მონაცემები რეიტინგებში;
- შეიქმნა ფოკუს-ჯგუფები კურსების მიხედვით და შედგა მათთან შეხვედრები;
- განისაზღვრა აკადემიური პროცესში ჩართული ფსიქოლოგიური ფაქტორები;
- გაანალიზდა კვლევის შედეგები და შემუშავდა რეკომენდაციები.

აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით, 2019-20 წლის პირველ სემესტრში, იუნკერთა ბატალიონის I კურსზე ირიცხებოდა 85 იუნკერი, მათგან 20 კავებდა მაღალ ადგილს რეიტინგში, ხოლო-8 დაბალს. ცხრილებში ნაჩვენები ციფრები გამოსახავს პროცენტებს. მონაცემთა შედარებამ ასეთი სურათი მოგვცა:


1 საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება 16, 2017 წლის 14 მარტი, თბილისი.

2 კულტოლოგი ა.(2009). განათლების ფსიქოლოგია, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ.447.




როგორც გრაფიკიდან ჩანს, მაღალრეიტინგული იუნკერების გამომხატველი მონაცემი დაახლოებით 4,5-ჯერ არის გაზრდილი, რაც შესაძლოა აიხსნას რამდენიმე ფაქტორით(გამოცდილების შეძენა, შეგუების პროცესი, სწავლების ფორმატის შეცვლა და ა.შ.). რაც შეეხება, დაბალრეიტინგული იუნკერების რიცხვს, მათი რაოდენობა თითქმის 2-ჯერ არის გაზრდილი.

მსგავსი სურათი გვაქვს III კურსთან, სადაც მაღალრეიტინგული იუნკერების რიცხვი 4,3-ჯერ არის გაზრდილი, თუმცა ისევ მაღალია(ცოტა გაზრდილიც) დაბალრეიტინგულების რიცხვი.



რაც შეეხება მეოთხე კურსს, მათთან მდგომარეობა ასეთია: მაღალრეიტინგულების რიცხვმა 2,2-ჯერ მოიმატა, ხოლო დაბალრეიტინგულების რიცხვი თითქმის 5-ჯერ(4,8-ჯერ) შემცირდა.



სურათი კურსების მიხედვით საგრძნობლად განსხვავდება, თუმცა იკვეთება გარკვეული კანონზომიერება. სწორედ ამ მიზნით, იუნკერთა სასწავლო ბატალიონში შედგა ფოკუსური ჯგუფები,

ფოკუს-ჰიუთებთან შეხვედრა. თვისებრივი კვლევის მეთოდებს შორის, ფოკუს-ჰიუთებთან მუშაობის დროს წარმოქმნილი დისკუსიებში „უკეთ ვლინდება რესპონდენტების დამოვიდებულება გარკვეული სოციალური პრობლემებისადმი, მათი ფსიქოლოგიური განწყობები და ემოციური შეფასებები, რომლებიც ხშირად არც არის შეგნებულად გათვითცნობიერებული რესპონდენტების მიერ“³. ამ მიზეზით დავგეგმეთ ფოკუს-ჰიუთებთან შეხვედრა, კურსების მიხედვით.

იუნკვერთა სასწავლო ბატალიონის 2019-2020 და 2020-2021 წლების აკადემიური შედეგების გათვალისწინებით, გამოიყო დაბალტრეიტინგული და მაღალრეიტინგული იუნკვერების 7(მაღალრეიტინგული, რეიტინგში მკვეთრად გაუმჯობესებული ან/და გაუარესებული და დაბალრეიტინგული) ჯგუფი.

მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ, რომ კვლევაში ჩართული ყოფილიყვნენ ის იუნკვერებიც, რომელთა აკადემიური შედეგებიც პანდემიის პერიოდში შეიცვალა. მონაწილეებთან შეთანხმებით გაკეთდა შეხვედრების ჩანაწერები.

ფოკუს-ჰიუთებთან შეხვედრის „ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირსებას წარმოადგენს ამ მეთოდის უნარი, აღმოაჩინოს ახალი თემები და წამოჭრას ახალი ჰიპოთეზები“⁴. კვლევის მიზანი იყო გამოგვეკვეთა:

- სასწავლო პროცესზე მოქმედი ფსიქოლოგიური ფაქტორები;
- დამოვიდებულებები არსებული პანდემიური ვითარებების მიმართ;
- იუნკვერების მოლოდინები;
- სამომავლო გეგმები;
- მათი რეკომენდაციები სწავლაში არსებული ხარვეზების გამოსწორების და გაუმჯობესების შესახებ.

კვლევის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: სასწავლო პროცესში ჩართული მოტივაციური ფაქტორები ცვლილებას განიცდის არსებული სტრესის(პანდემიის) გავლენით. ცვლილების ხარისხი საფარაუდოდ, პავშირში უნდა იყოს პიროვნულ მახასიათებლებთან, კერძოდ კი, აკადემიურ უნარებთან.

ფოკუს-ჰიუთების ანგარიში

1. როგორ ფიქრობთ, რა ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები განსაზღვრავს აკადემიურ რეიტინგს?

იუნკრებისათვის აკადემიური მოსწრების ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები სააუდიტორიო და დისტანციური სწავლების დროს არაერთგვაროვანია. ნაწილი თვლის, რომ აკადემიაში ყოფნის დროს უფრო მეტად არიან ორიენტირებული სასწავლო პროცესზე და ნაკლებად არიან ჩართულები ოჯახურ პრობლემები. მათი ნაწილის აზრით, ოჯახური მდგომარეობა ხშირ შემთხვევაში, ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც, ხელის შემშლელად აღიქმება. თუმცა, ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ სახლში ყოფნა და დისტანციური მუშაობა უკეთესია დროის განაწილების და კომპიუტერის მოხმარების ხარისხის მხრივ, განსაკუთრებით IT პროგრამაზე. მიმდინარე რეაქტივი ანგარიში სწავლებისას ინტერნეტ მასალის მოძიების ბევრად უკეთესი საშუალებაა.

„თავდაცვის და უსაფრთხოების“ პროგრამის იუნკვერები საუბრობენ მასალის დიდ რაოდენობაზე, რომლის მეცადინეობის საკმარისი დრო აკადემიაში არ ჰქონდათ. ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილავენ სახლში სახელმძღვანელოების არარსებობას ან არასაკმარის რაოდენობას, რის გამოც უწევთ ელექტრონული(PDF) მასალიდან კითხვა. ასეთი აქტივობები კი, მხედველობის პრობლემას ან თვალის დაძაბულობას ინვევს.

2. მიაწერდით თუ არა თქვენი სწავლის შედეგებს დისტანციურ ფორმაზე გადასცლას?

სამიზნე ჰიუთებში მოხვდნენ ის იუნკვერებიც, ვინც გააუმჯობესეს ან გააუარესეს აკადემიური შედეგები. იუნკვერები საკუთარი წარმატების გასაღებად ასახელებენ ლექციაზე დასწრების სავალდებულო ხასიათს (სხვა უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით), ლექციაზე მომზადებული გამოცხადება, როგორც უხერხელობის თავიდან აცილების საშუალება, საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების და უნარების გათვალისწინებით, მეცადინეობისთვის უფრო დიდი დროის დათმობას „აკადემიაში მიმდინარე „დამღლერი“ აქტივობებისაგან თავის დაღწევა“, გარკვეული გეგმის შედგენას და ჰიუთებულ მუშაობას, ინტერნეტის ხარისხს (თუმცა, გამონაკლისს წარმოადგენენ ის იუნკრები, ვინც მაღალმითიან რეგიონში ცხოვრობს), თავისუფალი დროის გამონახვა და პირადი მოთხოვნილებისამებრ გამოყენება (რასაც ხშირ შემთხვევაში კარგი სარელაქსაციო დანიშნულება აქვს).

ნაკლებად წარმატებული იუნკვერების მხრიდან, არასახარბიელო აკადემიური მოსწრების მიზეზად საკუთარი დროის (რომელიც კარგი განაწილების შემთხვევაში ძალიან საკმარისია) არამიზნობრივად

³ ბურაბიძვილი თ.(2006) თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ კვლევაში. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.გვ.28.

⁴ Morgan David L. (1997). Focus Groups as Qualitative Research. Second Edition. Thousand Oaks, Calif.: Sage Publications.

განაწილება, ასერტულობის უქონლობა სახელდება.

3. თუ არა სწავლების ფორმატის შეცვლა, მაშინ რას უკავშირებთ რეიტინგში ცვლილებას?

მაღალრეიტინგული იუნკერები გამოთვამენ მოსაზრებას ინდივიდუალური მიღებობის საჭიროებაზე, იუნკერთა შედეგების გათვალისწინებით. ის ვინც აკადემიაში აძარებს, დიდი აღბათობით უნდა ჰქონდეს გააზრებული ცოდნის მიღების და კარგი ფიზიკური და პრაქტიკული უნარების აუცილებლობა და საჭიროება... „ეფექტურია, როდესაც მეთაური გეტუვის რომ ეს შედეგი უნდა დამიღო, სელ რომ არ გეძინოს, ის შედეგი უნდა დადო. ეს ყველაფერზე კარგია, რომ შენ ის გზები მოიფიქრო, რომ შედეგზე გახვიდე. შედეგს რომ ვერ დადებ, მეორე დღეს გეტუვის, რომ მე შანსი მოგეცი და რატომ ვერ გამოიყენო”. ამიტომ, თვითდისციპლინა, საკუთარ თავშე პასუხისმგებლობის აღება, დამოუკიდებლობა საკუთარი დროის განვარგვაში და გადანაწილებაში, მათი აზრით სწავლების ორივე ფორმატში შესაძლებელია, განსაკუთრებით მაღალკურსელებისათვის: „მეორეუკურსელს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, ის ფიზო და აკადემიური მოსწრება რაში ჭირდება. მე თუ 300 ქულიანი ვარ, და ჩემი შედეგი ნორმატივებში მაღალია, მე იმ ფიზოს დროს დავჯდები და აკადემიურ მოსწრებას ავიმაღლებ”.

4. თვლით თუ არა, რომ გახანგრძლივებული სტრესი თავის კვალს დატოვებს თქვენზე? იუნკერები აღნიშნავენ, რომ გახანგრძლივებული სტრესი აისახება მათზე მოტივაციის დაკარგვის, ძილის დარღვევის სახით, თუმცა ფიქრობენ რომ აკადემიაში დაბრუნება ხელს შეუწყობს ამ პრობლემების აღმოფხვრას.

5. თუ იყენებთ სტრესის დაძლევის სტრატეგიებს და რა საშუალებებით ცდილობთ სტრესისაგან თავის დაღწევას?

იუნკერები ცდილობენ სტრესისაგან თავის დაღწევას ისეთი აპრობირებული მეთოდებით, როგორიცაა: ფიზიკური ვარჯიში, პოზიტიური აზროვნება, ჟანსაღ კვებაზე აქცენტის გაკეთება, ძილის მოწესრიგება (ძირითად შემთხვევაში მათ 7-9 საათი ძინავთ), თანატოლებთან და მეგობრებთან ურთიერთობა, დღის განრიგის მიხედვით მოქმედება, სიციალური მხარდაჭერის მიღება/გაცემა. თუმცა, ეს აქტივობები მაღალრეიტინგულ იუნკერებთან უფრო მეტად შეინიშნება, ვიდრე საკუთარი აკადემიური მოსწრებით უკმაყოფილო იუნკრებთან.

იუნკერებმა აკადემიურ პროცესზე სტრესული სიტუაციის გავლენის თავიდან აცილების და მოტივაციის გაზრდის მიზნით, შექმნეს ონლაინ ჰავუფები (ე.წ. „კოოპერაციები“), სადაც ისინი უაზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ინარის დავალებებს და ნაკლები ძალის მიზნებით, ითვისებენ ინფორმაციას („ერთმანეთს ვაცებთ“). ისინი სიციალურ მხარდაჭერას იღებენ ან გასცემენ საჭიროებისამებრ. აღნიშნავენ, რომ „აკადემიაში ნაკლებად გვრჩებოდა დრო ერთმანეთისათვის“...

6. რა გეგმები/დაგეგმილი ნაბიჯები გაქვთ სამომავლოდ სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად?

ზოგადი, პანდემიიდან გამოწვეული სტრესის მართვის ხერხები იუნკერთა ნაწილს ჟერ შემუშავებული არ აქვთ: „მოლოდინის რეუიმში ვართ, იმედია დაუბრუნდებით ძველ ნორმალურ რეუიმს და მერე მივხედავთ“...

7. ხომ არ მისცემდით რაიმე რეკომენდაციას, რჩევას მეგობრებს/თანამებრძოლებს, როგორ სცადონ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება?

იუნკერები ასახელებენ საკუთარ თავშე სისტემატური მუშაობას; ინტერესის გაღვიძებას, შესასწავლი მასალის საჭიროებას (პროფესორ - მასწავლებლის მხრიდან, საკუთარი თავში გაღვივება) და დროის გამოყოფას.

ასევე ამახვილებენ ყურადღებას შფოთვის შემცირებაზე: „ქულების და რეიტინგების ყურება დიდ დისკომფორტს უქმნის ადამიანს. უფრო უხერხულია და ცუდი გრძნობაა, როცა რაღაცა არ იცი, იმ საქმეში, რომლებიც უნდა იყო პროფესიონალი. ბევრად კარგ მოტივატორად მოქმედებს ის, როცა სამსახური გაეცს და შენს საქმეში ძლიერი ხარ“.

წვრთნის და სწავლების პროცესში, თვითონ იუნკერებს მინშვნელოვნად მიაჩინიათ დამოუკიდებელი მუშაობის პარალელურად, ხელმძღვანელი და დამხმარე პირების(სერუანტები, ოფიცრები, პროფესორ-მასწავლებლები, დარგის სპეციალისტები) თანადგომა პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდაში. დახმარება შესაძლოა განიხილებოდეს: იუნკერთა მოტივაციის ამაღლების(ინტერესის აღძვრის და წახალისების), დროის მართვის, გადაწყვეტილების მიღების, სტრესის დაძლევის უნარების გაძლიერების და ა.შ. აქტივობების სახით.

კვლევის შედეგების ანალიზი. შესაძლო რეკომენდაციები

ფოკუსური ჰავუფების შექმნამ და შეხვედრებმა ცხადყო, რომ იუნკერები განსხვავებული სტატუსით, განსხვავებულ ინტერპრეტაციას აკეთებენ საკუთარ წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე. მათი ნაწილი, მიმდინარე სტრესულ მოვლენებში უფრო მეტი დადებითი მხარის მონახვას ცდილობს, რადგან განსხვავებულ დაცვით მექანიზმებს იყენებს სტრესული სიტუაციის სამართავად. შინაგანად მოტივირებული იუნკერები ცდილობენ გადალახონ გამოწვევები, რადგან ისინი მიყვებიან საკუთარ პიროვნულ ინტერესებს და ივითარებენ

შესაძლებლობებს. ისინი ამას აკეთებენ ძალდაუტანებლად. გარეგანი მოტივაციის მქონე იუნკერები კი, ჰერ კიდევ ვერ ართმევენ თავს სირთულეებს, რადგან ისინი რეალურად არ არიან დაინტერესებული იმ საქმიანობით, რასაც ეწევიან, უმეტესად მხოლოდ მიღებული შედეგით და სარგებელით ზომავენ საკუთარ აქტივობას. მათ შორის განსხვავება შეიძლება ვიპოვოთ მოქმედების პიროვნებისეულ მიზეზში. ქცევის კაუზალობის ინტერნალური თუ ექსტერნალური ლოკუსი მოტივაციის „ორი განცალკევებული ტენდენციაა, რომლებიც შეიძლება ერთდროულადაც მოქმედებდნენ“⁵. მიზნის მიღწევის მოტივაციას წარმატების მოლოდინი და ჩვენთვის მისი ღირებულება განაპირობებს. მათგან ერთ-ერთის არარსებობის შემთხვევაში პიროვნების მოტივაცია იკარგება.

იუნკერებმა სტრესული სიტუაციის თავიდან აცილების და მოტივაციის გაზრდის მიზნით, შექმნეს ონლაინ ჰგუფები, ე. წ. „კონპერაციები“, რაც ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში (არონსონი, 2000) ცნობილია, როგორც „ჰიგსოუს კონპერაციული სტრუქტურა, როგორც აუცილებლობა ფეთქებადი სიტუაციის მოსაგვარებლად“⁶. ამ მეთოდის გამოყენებით, იუნკერები დიდი და რთული მასალის ასათვისებლად, ინარილებენ დავალებებს და ნაკლები ძალისხმევით, ეფექტური სწავლების მეთოდების საშუალებით, ითვისებენ ინფორმაციას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ასევე, იყენებენ ონლაინ ჩანაწერებს, როგორც მასალის ხელმეორედ გადახედვის საშუალებას. იუნკერები სტრესულ სიტუაციაში, წარმატებით იყენებენ პრობლემაზე ფროკუსირებულ სტრატეგიას - სოციალურ მხარდაჭერის მიღებას ან/და გაცემას. ვთქიქობთ, ეს კარგი მაგალითია სხვა იუნკერებისათვის პრობლემის გადასაჭრელად და ჰგუფური მუშაობის ასათვისებლად, რადგან ისეთ კონკურენტულ გარემოში, როგორიც აკადემიაა, შესაძლოა იმ იუნკერების გაუცხოება გამოიწვიოს, რომლებიც თანატოლებივით წარმატებულები არ არიან.

ფსიქოლოგიური დაცვითი მექანიზმების მიმართულებით ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ „სტუდენტები ინტელექტუალიზაციის დაცვითი მექანიზმის გამოყენებით არ ცდილობენ პრობლემის გადაჭრას, არამედ მათი ძალისხმევა მიმართულია შინაგანი შფოთვის შემცირებისკენ“⁷.

შფოთვა, რომელიც ნებისმიერი გამოცდის თანმხელები ემოცია და ზოგადად, სტრესული გარემოს ერთ-ერთი მახასიათებელია, შესაძლოა ყურადღების დეფიციტს და დასწავლის ან გახსენების შეფერხებას იწვევდეს. ამრიგად, გამოცდის ჩაბარების ან სხვა სტრესული სიტუაციის დროს, სასურველია იუნკერების დახმარება ეფექტური სტრატეგიების შემუშავების მხრივ.

წარმატებული იუნკერები, არსებული პანდებში, შესაძლოა ვერ ჭრიდნენ პრობლემას ბოლომდე, თუმცა ინტელექტუალიზაციის დაცვითი მექანიზმი, რომელსაც ისინი საფარაუდოდ, მიმართავენ, შფოთვითი მდგომარეობის დაძლევაში მაინც ეხმარება. ეს საკითხია შესაძლოა შემდგომი კვლევის საგნადაც იქცეს.

აკადემიურ პროცესში აღნერილი ამ და სხვა პრობლემის დასაძლევად, განსხვავებული ტიპის დავალებების შესრულებისას, სასურველია იუნკერთა დაწყვილება მაღალი მოტივაციის მქონე იუნკერებთან.

ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების გატარება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური, ასევე ჰგუფური მუშაობის სახით, ტრენინგ-მოდულების შემუშავების და შემდგომში მათი შედეგების გაზომვის გზით.

საკითხის კომპლექსურმა შესაწავლამ გამოკვეთა შემდგომი კვლევების ჩატარება: 1.იუნკერთა აკადემიური მოსწრებისა და სოციომეტრული მეთოდით კვლევების შედეგების შედარება; 2.იუნკერთა სტრესის დაძლევის მექანიზმებისა და დაცვითი მექანიზმების ურთიერთობის დადგენა.

დასკვნა

ამრიგად, ადამიანის ქცევის საფუძვლად მდებარე მოტივაციისადმი განსხვავებული მიდგომების(ბიპევიორისტული, ჰემანისტური, კოგნიტური და სოციო-კულტურული) გათვალისწინებით, ინდივიდი გამოირჩევა: შემეცნების და კომპეტენტურობის მოპოვების, ჰილდოს(სარგებლივის) მიღების(გარეგანი), პიროვნების ზრდის და თვითრეალიზაციის მოხსოვნილებების(შინაგანი) დავამაყოფილების, ჰავაფთან იდენტობის განმტკიცების და ინტერპერსონალური ურთიერთობების ტენდენციებით. იუნკერის მოტივაცია და წარმატების ფორმულა ორი ფაქტორის პროდუქტია. ესენია: ოფიციად გახდომის მიზნის მიღწევის მოლოდინი და ამ მიზნის ღირებულება. იუნკერთა აკადემიური სწავლების პროცესში ჩართული მამოტივირებელი ფაქტორები, პანდემიით გამოწვეული სტრესის ფონზე, მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის, რაც

⁵ ველფოლკი ა.(2009) განათლების ფსიქოლოგია. ილას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ.563.

⁶ Aronson, E. (2000). Nobody left to hate: Teaching compassion after Columbine. New York: W. H. Freeman.გვ.137.

⁷ კოპალიანი კ.(2018-2019), სტრესის დაძლევის სტრატეგიები და ფსიქოლოგიური დაცვითი მექანიზმები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრამები XVIII(ჰემანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა..გვ.405.

გარკვეულწილად, განპირობებულია მათი ჰიროვნული მახასითებლებით და უნარებით. ისეთ კონკურენტულ გარემოში, როგორშიც იუნკერებს უწევთ ყოფნა, მნიშვნელოვანია მათი წარმატებისას მზარდ კომპეტენციებზე აქცენტის გაკეთება. მათვის, ვისაც საკმარისი უნარები გააჩნიათ ღირსეული კონკურენტობის გასაწევად, სასწავლო პროცესი კომპეტენტურობის მიღწევის კარგი ასპარეზია. შედარებით დაბალი შესაძლებლობების იუნკერი ვი, აქცენტს გაგებასა და დასწავლაზე ვი არა, სამუშაოს შესრულებაზე აკეთებს. ამასთან, რთული სამუშაოს შესრულების დროს მისი მოტივაცია დროებითი და გარეგანი ხასიათისაა. ამიტომ, ჰედაგოგების და სამხედრო ინსტრუქტორების მხრიდან, სასურველია მათი შინაგანი მოტივაციის შექმნა და მასალის სირთულის სათანადოდ შეფასება.

მაროყენებული ლიტერატურა

1. კულტოლეი ა.(2009), განათლების ფსიქოლოგია, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ზურაბიშვილი თ.(2006), თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ კვლევაში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
3. კოპალიანი კ.(2018-2019), სტრესის დაძლევის სტრატეგიები და ფსიქოლოგიური დაცვითი მექანიზმები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები XVIII(პუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. წელაძე ლ.(2013), სოციალური მედიის გავლენების ტენდენციები საქართველოში, თსუ მეცნიერება(TSU Science) N5, გვ.30-35.
5. წელაძე ლ.(2008). რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
6. Aronson, E.(2000). Nobody left to hate: Teaching compassion after Columbine. New York: W. H. Freeman, p.179.
7. Goodwin C. James (2009). Western Carolina University, Research in Psychology, Methods and Design, Sixth Edition.p.624.
8. Morgan David L.(1997). Focus Groups as Qualitative Research. Second Edition. Thousand Oaks, Calif.: Sage Publications. Pp. 31-65.
9. <https://eta.edu.ge/ge/page/21/erovnuli-tavdacvis-akademia>

არის ფსიქოლოგია მეცნიერება? ბაკალავრების დამოკიდებულებები

ნინო ჯავახიშვილი

პროფესორი, ფსიქოლოგიის დოკტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოფიო ყირიმელი

სოციალური ფსიქოლოგიის მამისთრი

აბსტრაქტი

ნაშრომში გამოკვლეულია ქართველი ბაკალავრი სტუდენტების (129 მონაწილე) ცოდნა ფსიქოლოგიის შესახებ და დამოკიდებულება ფსიქოლოგიის მეცნიერების მიმართ. ფსიქოლოგიის ცოდნა შემოწმდა გავრცელებული ფსიქოლოგიური მითების გაზიარების მაჩვენებლით. შესაბამისი კითხვარი შეიცავდა 12 მცდარ ფსიქოლოგიურ შეხედულებას; ფსიქოლოგიის, როგორც არამეცნიერების შესახებ კითხვარი მოიცავდა 14 კითხვას, ორივე კითხვარის დებულებებზე თანხმობას მონაწილეები 5 ქულიანი ლიკერტის ტიპის სკალაზე აღნიშნავდნენ. აღმოჩნდა, რომ მცდარ შეხედულებებს სტუდენტები, შესაძლო მაქსიმალური 60 ქულიდან, საშუალოდ ეთანხმებიან $M=30.75$; $SD=6.12$, რაც ემთხვევა საერთაშორისო მონაცემებს (Gardner, Brown, 2012). ხოლო ფსიქოლოგიის, როგორც არამეცნიერების შესახებ გაგებას მონაწილეები, შესაძლო მაქსიმალური 70 ქულიდან, საშუალოზე მეტად $M=48.18$; $SD=7.56$ ეთანხმებიან. აგრეთვე, პირველი და მეორე კურსის სტუდენტები (49 მონაწილე, ჰგუთი 1) შევადარეთ მეორე და მესამე კურსის სტუდენტებს (80 მონაწილე, ჰგუთი 2). აღმოჩნდა, რომ ჰგუთი 1 მეტად მიიჩნევს ფსიქოლოგიას არამეცნიერებად $M=50.29$; $SD=5.22$, ვიდრე ჰგუთი 2 - $M=46.93$, $SD=8.44$. ასევე, ჰგუთ 1-ს მეტად სკერა ფსიქოლოგიაზე გავრცელებული მითების $M=32.47$, $SD=4.84$, ვიდრე ჰგუთ 2-ს: $M=29.70$, $SD=6.59$. ეს შედეგი მოსალოდნელი იყო და ემთხვევა სხვა კვლევის მონაცემებს (Amsel, Baird, & Ashley, 2011), თუმცა, კვლევების ნაწილი აჩვენებს, რომ დამწყებ და გამოცდილ სტუდენტებს შორის ამ მაჩვენებლებით განსხვავდა არ არის (Vaughan, 1977; Taylor & Kowalski, 2004). სტუდენტები ასევე პასუხობდნენ ღია კითხვას იმის შესახებ, რა ნარმოდგენა ჰქონდათ ფსიქოლოგიაზე და თუ შეიცვალა ის სწავლის პროცესში. თვისებრივმა მონაცემებმა დაადასტურა ის, რომ რაც მეტ საგანს გადის სტუდენტი, მით უფრო ეცვლება მას ნარმოდგენა სპეციალობის შესახებ და მით უფრო უახლოვდება ეს ნარმოდგენა რეალობას.

სამართლებულები:

ფსიქოლოგია, მეცნიერება, ბაკალავრი სტუდენტები.

IS PSYCHOLOGY A SCIENCE? ATTITUDES OF UNDERGRADUATE STUDENTS

NINO JAVAKHISHVILI

PROFESSOR, DOCTOR OF PSYCHOLOGY

ILIA STATE UNIVERSITY

SOPHIO KIRIMELI

MASTER OF SOCIAL PSYCHOLOGY

ABSTRACT

The study investigates Georgian undergraduate students' (129 participants) knowledge and attitudes towards psychology as a science. Knowledge about psychology was examined by level of agreement to wide-

spread psychological myths. The corresponding questionnaire consisted of 12 wrong psychological views; another questionnaire measured views of psychology as a non-science and consisted of 14 items. The answers were provided on a 5 score Likert-type scale. Students share wrong psychological views at an average level - M=30.75; SD=6.12, out of maximum possible 60 scores and this result coincides with the international data (Gardner, Brown, 2012). Participants view psychology as a non-science to a higher than average degree M=48.18; SD=7.56, (maximum score 70). We have also compared freshmen and sophomore students (49 participants, group1) to the junior and senior students (80 participants, group 2). Group 1 considers psychology as a non-science M=50.29; SD=5.22 more, than group 2 M=46.93, SD=8.44. Also, group 1 believes in psychology myths more M=32.47, SD=4.84, than group 2: M=29.70, SD=6.59. This result was expected and coincides with the other studies (Amsel, Baird, & Ashley, 2011), however, part of studies shows that there is not much difference between beginner and experienced students (Vaughan, 1977; Taylor & Kowalski, 2004). Participants have also answered an open question about their initial views on psychology and whether these have changed in the course of study. Qualitative data confirmed that the more students study, the larger is the change in their views about psychology and more real these become.

KEYWORDS:

Psychology, Science, Undergraduate Students.

მეცნიერებს, გარდა დისციპლინის შესაბამისი სფეროს კვლევის და არსებული კითხვებისათვის პასუხის გაცემისა, აინტერესებით, როგორ აღიქვამენ ჩვეულებრივი ადამიანები სხვადასხვა მეცნიერებას. ფსიქოლოგები დაინტერესებულნი იყვნენ საკუთარი საზოგადოებრივი იმიჯით ჰქონ კიდევ მაშინ, როდესაც ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია ყალიბდებოდა (Wood, Jones & Benjamin, 1986). უურნალში „American Psychologist“ ჰქონ კიდევ 1948 წელს გამოქვეყნდა კვლევა, რომელიც ამ საკითხს ეხებოდა (Guest, 1948). რესპონდენტებს უნდა აერჩიათ პასუხი კითხვაზე, ვისგან ისურვებდნენ დახმარებას სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად ხუთი ჩამოთვლილი პროფესიიდან - ფსიქოლოგი, არქიტექტორი, ქიმიკოსი, ეკონომისტი და ინჟინერი. ყველაზე ხშირად მონაბილეები ინჟინერებს და ეკონომისტებს ირჩევდნენ, თუმცა, ფსიქოლოგებს ყველაზე ხშირად ირჩევდნენ, როცა საქმე დამოკიდებულებების კვლევას და პროფესიის არჩევას ეხებოდა. გარდა ამისა, რესპონდენტები თითქმის ვერ ხედავდნენ სხვაობას ფსიქოლოგებსა და ფსიქიატრებს შორის. ამ კვლევის გამოქვეყნებიდან თითქმის საუკუნე გავიდა და ფსიქოლოგების მიმართ არსებული დამოკიდებულებები კვლავაც აქტუალურია.

ამ და სხვა კვლევების მიხედვით, ამა თუ იმ მეცნიერებაზე, მათ შორის, ფისქოლოგიაზე, სტერეოტიპული შეხედულებებია გავრცელებული (Cacioppo, 2007). სტერეოტიპები მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და პროფესიული სელექციის პროცესში, განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის, ვინც პროფესიის დაუფლებას პირებს (Arquero & Tejero, 2009). ფსიქოლოგიას უნივალური ადგილი უკავია, როგორც დისციპლინას, რომელიც ყურადღებას ადამიანისთვის მნიშვნელოვან ღირებულებებსა და წარმოდგენებზე ამახვილებს, მაგრამ ამავდროულად ქცევისა და შეხედულებების კვლევას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდოლოგიური პერსპექტივიდან უდგება (Fishman & Neigher, 1982; Kimble, 1984; Korn, 1985).

შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა არსებული ფსიქოლოგიური მითები, ანუ მცდარი ცოდნა ამა თუ იმ ფსიქოლოგიურ მოვლენაზე და სტერეოტიპები: „ფსიქოლოგიაზე სწავლა ადვილია,“ „გიუ ადამიანებთან მუშაობა შენც გაგაგიუძნს,“ „თუ ფსიქოლოგია შენი ძირითადი სპეციალობაა, კონსულტირებისა და სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებულის გარდა ვერაფერს გააკეთებ“ (Brinthaupt, Counts, & Hurst, 2012). ამავე ავტორების მიერ ჩატარებული მომდევნო კვლევით გამოვლინდა, რომ ფსიქოლოგიის ძირითადი/დამხმარე (major/minor) სპეციალობისა და არასპეციალობის სტუდენტებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა სტერეოტიპულ შეხედულებებში, არასპეციალისტი სტუდენტები უფრო მეტად ეთანხმებოდნენ ზემოთ აღნიშნულ დებულებებს (Brinthaupt, Hurst & Johnson, 2016). Furnham და Hughes-ის (2014) კვლევამ აჩვენა, რომ ფსიქოლოგის სტუდენტებმა უკეთ ამოიცნეს მცდარი წარმოდგენები ფსიქოლოგიაზე, ვიდრე სხვებმა, თუმცა, განსხვავება ფსიქოლოგის სტუდენტებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის მითების ამოცნობაში საკმაოდ მცირე იყო.

Taylor და Kowalski-მ (2004) აღმოაჩინეს, რომ მრავალ სტუდენტს არც ვი ახსოვდა, როგორ და საიდან დაისწავლეს სტერეოტიპები, ზოგიერთი კი მიუთითებდა, რომ პირადი გამოცდილება, მედია საშუალებები, განვლილი კურსის მასალა თუ საკითხავი ლიტერატურა გახდა მათი მცდარი წარმოდგენების წყარო. ერთ-

ერთი კლევეის თანახმად კი, სტუდენტების 38% აცხადებდა, რომ მცდარი შეხედულებები ფსიქოლოგის კურსიდან ან მასწავლებლისგან შეითვისეს (Landau, Bavaria, 2003).

განხილული ლიტერატურა აჩვენებს, რომ არსებული ცრუ წარმოდგენების აღმოფხვრა სტუდენტებში საკმაოდ რთულია და განსაკუთრებულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს მოითხოვს (Hughes, Lyddy & Lambe, 2013). წინამდებარე კვლევა მსგავს საკითხებს ქართველ სტუდენტებთან იკვლევს და მიზნად ისახავს პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

- რამდენად აღიქვამენ ქართველი ბაკალავრი ფსიქოლოგი სტუდენტები ფსიქოლოგიას, როგორც მეცნიერებას?
- რამდენად სკერათ ქართველ ბაკალავრ ფსიქოლოგ სტუდენტებს ფსიქოლოგიის შესახებ არსებული ცრუ წარმოდგენების/მითების?
- არის თუ არა განსხვავება დამწყებ და გამოცდილ სტუდენტებს შორის?

მეთოდი შერჩევა

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 129 სტუდენტმა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, კერძოდ კი, იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის და ივანე ჭავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. კვლევის მონაწილეთა საშუალო ასაკი – 20.82, SD – 1.72. მდედრობითი სქესის წარმომადგენლები შეადგენდნენ 89.9 %, ხოლო მამრობითი – 10.1%-ს. გამოკითხულებიდან, 49 მონაწილე პირველი და მეორე კურსის სტუდენტები (ჯგუფი 1), ხოლო 80 მონაწილე მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები (ჯგუფი 2) იყვნენ.

საზომი ინსტრუმენტი და პროცედურა

საზომი ინსტრუმენტი სამი ნაწილისგან შედგებოდა. გამოვიყენეთ ორი კითხვარი და ერთი ღია კითხვა. ფსიქოლოგიის ცოდნა გავრცელებული ფსიქოლოგიური მითების გაზიარების მაჩვენებლით შემონმდა. შესაბამისი კითხვარი შეიცავდა 12 მცდარ ფსიქოლოგიურ შეხედულებას (Furnham, Hughes, 2014), მაგალითად: „უკიდურესმა შიშმა შეიძლება თმა გავვითეთროს“, „ადამიანთა უმეტესობა ტვინის მხოლოდ 10%-ს იყენებს“. ფსიქოლოგიის, როგორც არამეცნიერების შესახებ კითხვარი მოიცავდა 14 კითხვას (Friedrich, 1990), ნიმუშისათვის: „ფსიქოლოგია მეცნიერება არ არის“, „ფსიქოლოგიის პროგრამა ზედმეტ აქცენტს აკეთებს კვლევის მეთოდების სწავლებაზე“.

ორივე კითხვარის დებულებებზე თანხმობას მონაწილეები 5 ქულიანი ლიკერტის ტიპის სკალაზე აღნიშნავდნენ. სტუდენტები ასევე პასუხობდნენ ღია კითხვას იმის შესახებ, რა წარმოდგენა ჰქონდათ ფსიქოლოგიაზე და შეიცვალა თუ არა ის სწავლის პროცესში.

კითხვარების ნაწილი მონაწილეებმა ელექტრონულად შეავსეს, ნაწილი კი ამობეჭდილი სახით. კითხვარს თან ერთვოდა ინფორმაცია მონაცემების ანონიმურობისა და მონაწილეთა კონფიდენციალობის დაცვის შესახებ.

შედეგები

ფსიქოლოგიის შესახებ მცდარ შეხედულებებს სტუდენტები, შესაძლო მაქსიმალური 60 ქულიდან, საშუალოდ ეთანხმებიან $M=30.75$; $SD=6.12$, ხოლო ფსიქოლოგიის, როგორც არამეცნიერების შესახებ გაგებას მონაწილეები, შესაძლო მაქსიმალური 70 ქულიდან, საშუალოზე მეტად $M=48.18$; $SD=7.56$ ეთანხმებიან.

ჯგუფი 1 მეტად მიიჩნევს ფსიქოლოგიას არამეცნიერებად $M=50.29$; $SD=5.22$, ვიდრე ჯგუფი 2-ს $M=46.93$, $SD=8.44$, $t(198)=2.620$, $p < .01$. ასევე, ჯგუფ 1-ს მეტად საჭრა ფსიქოლოგიაზე გავრცელებული მითების $M=32.47$, $SD=4.84$, ვიდრე ჯგუფ 2-ს: $M=29.70$, $SD=6.59$. $t(198)=2.701$, $p < .01$.

საკმაოდ მრავალფეროვანი და ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი წარმოდგენები გამოვლინდა ფსიქოლოგიის სპეციალობაზე ღია შეკითხვის მეშვეობით. მონაწილეების 52.7% – მა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ფსიქოლოგიის მიმართულებით დაიწყეს სწავლა, მათი შეხედულებები შეიცვალა: უკეთ ერკვევიან ადამიანის პიროვნულ თვისებებში, ფსიქოლოგია უფრო საინტერესო სპეციალობა აღმოჩნდა, საკმაოდ რთული და მრავალ მიმართულებიანი ყოფილა, ვიდრე წარმოიდგენდნენ, აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი ყოფილა ფსიქოლოგიის სხვადასხვა სფეროში გამოყენება, უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ფსიქოლოგიის როლი ადამიანის ცხოვრებაში, ვიდრე ეგონათ, ფსიქოლოგიას მეცნიერების სხვა დარგებთან ჰქონია მჭიდრო კავშირი და ის სხვა მეცნიერებების გარკვეულ დონეზე ფლობასაც მოითხოვს. ასევე,

სტუდენტებს ეგონათ, რომ ფსიქოლოგია მხოლოდ ფსიქოლოგიური მითების გაზიარების მიღებული შედეგი მოსალოდნელი იყო და ემთხვევა სხვა კვლევების მონაცემებს (Amsel, Baird, & Ashley, 2011; Brinthaupt, Counts, & Hurst, 2012; Cacioppo, 2013; Vaughan, 1977). სტუდენტების ორი ჰავუფის შედარებამ აჩვენა, რომ გამოცდილ სტუდენტებს უფრო სწორი ნარმოდგენები აქვთ ფსიქოლოგიაზე და მეტად ესმით, რომ ეს მეცნიერებაა, ვიდრე დამწყებ სტუდენტებს, რაც ემთხვევა საერთამორისო მონაცემებს (Gardner, Brown, 2012), თუმცა, არსებული კვლევების ნაწილი აჩვენებს, რომ დამწყებ და გამოცდილ სტუდენტებს შორის ამ მაჩვენებლებით განსხვავება პრაქტიკულად არ არის. არაერთი ავტორი აღნიშნავს, რომ სტუდენტები არა მხოლოდ ცრუ ნარმოდგენებით საცხენი მოდიან სასწავლო კურსებზე, არამედ, მცდარი შეხედულებებით ტოვებენ სასწავლებელს (Vaughan, 1977; Griggs & Ransdell, 1987; Tylor & Kowalski, 2004).

თვისებრივმა მონაცემებმა გაამყარა რაოდენობრივი შედეგი იმის შესახებ, რომ გამოცდილი სტუდენტები (3-ე და 4-ე კურსელები) უკეთ ერკვევიან ფსიქოლოგიაში, როგორც მეცნიერებაში, ვიდრე დამწყები სტუდენტები (1 და 2-ე კურსელები). დამწყები სტუდენტების ჰავუფის ნარმომადგენლების ნარატივში მეტი მცდარი შეხედულება იკვეთება: „ფსიქოლოგია არის ჰუმანიტარული მეცნიერება“, „.....უფრო აბსტრაქტული მეგონა, ვიდრე ემპირიული“, „ფსიქოლოგი უფრო ექიმი მეგონა, როგორც ფსიქიატრი“. გამოცდილი სტუდენტების ჰავუფის ნარმომადგენლების კი ეგონათ, რომ „.....ფსიქოლოგობა ადვილია, ახლა ასე აღარ მგონია“, „..... მხოლოდ ფსიქოლოგიაში შემოიფარგლებოდა ეს მეცნიერება“, ან, რომ „მისი როლი უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა ადამიანის ცხოვრებაში, ვიდრე მანამდე ნარმომედგინა.“

ნინამდებარე კვლევას გარკვეული შეზღუდვები აქვს, სამომავლოდ, სასურველია, შერჩევა უფრო დიდი ზომის და უფრო მრავალფეროვანი იყოს, მითუმეტეს, რომ საქართველოში მრავალ უნივერსიტეტში ისწავლება ფსიქოლოგია. კვლევის მიგნებები საყურადღებოა პროფესიონალი, მოქმედი ფსიქოლოგებისათვის და ყველა იმ სასწავლო დაწესებულებისათვის, სადაც ფსიქოლოგია ისწავლება.

არასწორი ნარმოდგენა ფსიქოლოგიაზე და ფსიქოლოგებზე მრავალ სირთულეს იწვევს. მათ, ვისაც ფსიქოლოგია არამეცნიერებად მიაჩნიათ, ხშირად არ სურთ ფსიქოლოგისგან კონსულტაციის და რჩევის მიღება, ფსიქოლოგიური კითხვარის შევსება, რადგან სიფრთხილით და ხანდახან შიშით ეკიდებიან მას. სხვებს, პირიქით, ფსიქოლოგია ყოვლისშემძლე მეცნიერებად მიაჩნიათ და ფსიქოლოგებისგან ხშირად ბევრად მეტს მოელიან, ვიდრე მათ შეუძლიათ შეთავაზონ. მკვლევრები მიუთითებენ, რომ პრობლემა შესაძლოა სწავლების სტრატეგიებსა და კრიტიკული აზროვნების უნარს უკავშირდებოდეს (Hughes, Lyddy, Lambe, 2013). ისინი რეკომენდაციებსაც იძლევიან მცდარი ნარმოდგენების გამოსასწორებლად. ერთ—ერთი ასეთია სწავლების „უარმყოფელი მიღომა“ (Guzzetti, 2000), რომლის მიხედვითაც, სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება კონკრეტული ცრუ ნარმოდგენის დეტექტივაზე და შემდეგ სწორი ინფორმაციის მიწოდებაზე. ფსიქოლოგიის შესახებ მცდარი ნარმოდგენები სასურველია შეიცვალოს და რეალობას დაუახლოვდეს, რისთვისაც პროფესიონალი ფსიქოლოგების ერთიანი ძლისხმევაა საჭირო.

გამოყენებული ლიტერატურა

- Amsel, E., Baird, T. & Ashley A. 2011. Misconceptions and Conceptual Change in Undergraduate Students' Understanding of Psychology as a Science. *Psychology Learning and Teaching*, 10 (1).
- Arqueró, J.L., Tejero, C. 2009. Ambiguity tolerance levels in Spanish accounting students: A comparative study. *Revista de contabilidad*, 12 (1), 95-115.
- Brinthaupt, T. M., Counts, V. E., & Hurst, J. R. 2012. Stereotypes about the psychology degree: Student sources and beliefs. *Journal of Instructional Psychology*, 39, 229-242.
- Brinthaupt, T. M., Hurst, J. R., and Johnson. Q. R. 2016. Psychology Degree Beliefs and Stereotypes: Differences in the Perceptions of Majors and Non-Majors. *Psychology Learning & Teaching*, 15(1) 77–93.
- Cacioppo, J. T. 2013. Psychological science in the 21st century. *Teaching of Psychology*, 40 (4), 304-309.
- Fishman U. R. & Neigher, W. D. 1982. American in the eighties: Who will buy? *American Psychologist*, 37, 533-546.
- Friedrich. J. 1990. Learning to view psychology as a science: Self-persuasion through writing. *Teaching of Psychology*, 17, 23-27.
- Furnham, A. & Hughes D. J. 2014. Myths and misconceptions in popular psychology comparing psychology students and the general public. *Teaching of Psychology*, 41 (3), 256-261.
- Gardner, R. M. & Brown D.L. 2013. A test of contemporary misconceptions in psychology. *Learning and Individual Differences*, 24, 211-215.
- Griggs, R. A. & Ransdell, S. E. 1987. Misconception tests or misconceived tests? *Teaching of Psychology*, 14, 210-214.
- Guest, L. 1948. The public's attitudes toward psychologists. *American Psychologist*, 3, 135-139.
- Guzzetti, B. J. 2000. Learning counter-intuitive science concepts: What have we learned from over a decade of research? *Reading and Writing Quarterly*, 16, 89-98.

- Hughes, S., Lyddy , F. & Lambe, S. 2013. Misconceptions about psychological science: A review. *Psychology Learning and Teaching*, 12(1), 20-31.
- Kimble. G. A. 1984. Psychology's two cultures. *American Psychologist*, 39, 833-839.
- Korn. J. H. 1985. Psychology as a humanity. *Teaching of Psychology*, 12, 188-193.
- Landau, J. D., & Bavaria, A. J. 2003. Does deliberate source monitoring reduce students' misconceptions about psychology? *Teaching of Psychology*, 30, 153-159.
- Taylor, A. K., & Kowalski, P. 2004. Naïve psychological science: The prevalence, strength and sources of misconceptions. *Psychological Record*, 54, 15-25.
- Vaughan, E. D. 1977. Misconceptions about psychology among introductory college students. *Teaching of Psychology*, 4, 138-141.
- Wood, W., Jones, M. & Benjamin L. T. Jr. 1986. Surveying psychology's public image. *American Psychologist*, 41, 947-953.

პოსტმორმული სფრისული აჭლილობის, დაძლევის სფრატეგიაბის და პოსტმორმული ზრდის ურთიერთკავშირი ქართველ დაწრილ- დაჭავებულ სამხედრო მოსამსახურისამდები

ნაზი ქაბაშვილი, ესთათე ლელაშვილი, ქათევან სოსელია,
გთავან ლომაშვილი, თათია ონიანი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხა და
ფინანსურულ სამსახურების მართვის დეპარტამენტი, ფინანსურულ
მსარდაშვილის სამმართველო

პირული

კვლევის წინაპირობა: მიმდინარე კვლევა მიზნად ისახავდა პოსტმორმული სტრესული აშლილობის (ჰესა), დაძლევის სტრატეგიების და პოსტმორმული ზრდის (ჰებ) ურთიერთკავშირის შესწავლას ქართველ დაწრილ-დაშავებულ სამხედრო მოსამსახურების მართვის მინისტრის სამხედრო მოსამსახურები, (N = 96, ასაკი M = 37.8) რომლებიც დაშავდნენ 2008 წლის აგვისტოს ომსა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიების მიმდინარეობისას.

მეთოდოლოგია: კვლევის მონაწილეების გამოკითხვა განხორციელდა შემდეგი თვითადმინისტრირებადი ინსტრუმენტებით: პოსტმორმული სტრესის სიმპტომების კითხვარი DSM-5-ის მიხედვით (PCL-5), პოსტმორმული ზრდის საზომი კითხვარი (PTGI) და სტრესის დაძლევის სტრატეგიების კითხვარი (WOC).

მონაცემების ანალიზი: მონაცემები დამუშავდა პროგრამა SPSS-ში. გამოვიყენეთ ერთფაქტორული ANOVA მოქმედი და გრძელვადიან სამკურნალო შვებულებაში მყოფი დაწრილ-დაშავებული სამხედრო მოსამსახურების ურთიერთშესაბარებლად ჰესა-ს სიმპტომების სიმწვავის მიხედვით. ჰესა-ს ჰებ-ზე წრფივი და კვადრატული ეფექტის განსასაზღვრად განვახორციელეთ იერარქიული რეგრესიული ანალიზი. დადგებითი გადაფასების გაშუალებით ჰესა-ს სიმპტომების ჰებ-ზე არაპირაპირი ეფექტის განსასაზღვრად გამოვიყენეთ SPSS PROCESS macro-ს მედიაციის მე-4 მოდელი.

შედეგები: ერთფაქტორული ANOVA -ს ($F(2, 75) = 11.706, p = 0.000$) მიხედვით გრძელვადიან სამკურნალო შვებულებაში მყოფ სამხედროებს სტატისტიკურად სანდო, უფრო მაღალი ქულები აქვთ ($M = 20.9$). პოსტმორმული სტრესული აშლლობის სკალაზე ვიდრე მოქმედ სამხედრო მოსამსახურებს ($M = 7.59$). იერარქიული რეგრესიული ანალიზი აჩვენებს სტატისტიკურად სანდო როგორც წრფივ ($F = 14.486, p < .001$, Adj. R² = 0.149) ასევე კვადრატულ ($F = 498.679, p < .001$, Adj. R² = 0.928) კავშირს ჰესას სიმპტომებსა და ჰებ-ს შორის. წრფი და კვადრატული ეფექტი ხსნის ჰებ-ს ვარიაციულურის 9.28%-ს. SPSS PROCESS macro-ს მედიაციის მე-4 მოდელმა აჩვენა სანდო ჰესა-ს სიმპტომების ჰებ-ზე როგორც პირდაპირი ($b = 0.1091, 95\% CI [0.0021; 0.0088]$), ასევე ირიბი ეფექტი ($b = 0.0728, 95\% CI [0.0021; 0.0088]$) დადგებითი გადაფასების გაშუალებით. ირიბი ეფექტის თანაფარდობა საერთო ეფექტოან შეადგენს 0.40-ს (40%).

დასკვნა: კვლევის შედეგები მიუთითებს რომ აქტიური სამსახური შესაძლოა ჰესა-ს სიმპტომების მნიშვნელოვანი ზრევნციული ფაქტორი აღმოჩნდეს. არანრთული კავშირი ჰესა-ს სიმპტომებსა და ჰებ-ს შორის მოიაზრებს იმას, რომ ჰესტრატმული ზრდის ყველას მაღალი მაჩვენებლები აქვთ საშუალო სიმძიმის ჰესა-ს სიმპტომების მქონე პირებს, შესაბამისად აღრეულმა თერაპიულმა ჩარევამ მწვავე ჰესა-ს სიმპტომების შესამცირებლად შესაძლოა ხელი შეუწყოს ჰებ-ს. დადებითი გადაფასებას შეაქვს მნიშვნელოვანი (40%) წვლილი ჰებ-ს ჰესა-ზე ზემოქმედებაში, რაც მეტყველებს ამ კონკრეტული დაძლევის სტატეგიის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ჰებ-ში.

საკვანძო სისყვები:

პოსტმორმული ზრდა, პოსტმორმული სტრესული აშლილობა, დაძლევის სტრატეგიები, დაწრილ-დაშავებულ სამხედრო მოსამსახურები

THE RELATIONSHIP BETWEEN POSTTRAUMATIC STRESS DISORDER SYMPTOMS, COPING STRATEGIES AND POSTTRAUMATIC GROWTH AMONG GEORGIAN WOUNDED SOLDIERS

NAZI TCHABASHVILI, ESTATE LELASHVILI, KETEVAN SOSELIA,
KETEVAN LOMSADZE, TATIA ONIANI

SOCIAL ISSUES AND PSYCHOLOGICAL SUPPORT DEPARTMENT,
PSYCHOLOGICAL SUPPORT DIVISION MINISTRY OF DEFENCE OF GEORGIA

ABSTRACT

Background: The following study investigates relationship between posttraumatic stress disorder (PTSD) symptoms, coping strategies and posttraumatic growth (PTG) in Georgian wounded soldiers. Research was conducted on male military service members ($N = 96$, age $M = 37.8$) injured during International Peacekeeping Operations and August War of 2008. Methods: Research participants were investigated using self-administered questionnaires of PTSD Checklist for DSM-5 (PCL-5), Posttraumatic Growth Inventory (PTGI) and Ways of Coping Inventory (WOC).

Analysis: Data was analyzed using IBM SPSS software, version 22. One-way ANOVA was used to test difference by PTSD symptoms between wounded soldiers on prolonged convalescent leave and injured military service members who returned to active duty. In order to explore the nature of relationship between PTSD symptoms and PTG curvilinear regression was applied; Linear and quadratic effects of PTSD symptoms on PTG were assessed. To test indirect effect of PTG on PTSD symptoms through positive reappraisal mediation model 4 of SPSS PROCESS macro was used.

Results: One-way ANOVA ($F(2, 75) = 11.706, p = 0.000$) showed that PTSD symptoms are significantly higher ($M = 20.9$) in wounded soldier who are on prolonged convalescent leave compared to injured military service members who returned to active duty ($M = 7.59$). Hierarchical regression analysis relationship demonstrated significant linear ($F = 14.486, p < .001$, Adj. $R^2 = 0.149$) and quadratic ($F = 498.679, p < .001$, Adj. $R^2 = 0.928$) effects between PTSD symptoms and PTG scores. Both linear and quadratic effects explain 9.28% of variance in PTG scores. Mediation model 4 of SPSS PROCESS macro revealed significant direct ($b = 0.1091, 95\% CI [0.0021; 0.0088]$) and indirect ($b = 0.0728, 95\% CI [0.0021; 0.0088]$) effect of PTG on PTSD symptoms through positive reappraisal. The ratio of indirect effect to total effect was 0.40 (40%).

Discussion: Findings suggest that being on active duty might be a preventive factor against PTSD symptoms. Curvilinear relationship shows that ones with moderate scores on PTSD symptoms have the highest PTG scores, thus early therapeutic intervention with the aim to mitigate the severe PTSD symptoms could contribute to PTG. The significant amount (40%) of PTG influence on PTSD symptoms is attributed to positive reappraisal indicating on importance of this particular positive coping strategy in PTG.

KEYWORDS:

Posttraumatic Growth ,Posttraumatic Stress Disorder Symptoms, Coping Strategies, Wounded Soldiers.

რეზუმე: ნაშრომში განხილულია პოსტტრაუმული სტრესული აშლილობის (პტს), დაძლევის სტრატეგიებისა და პოსტტრაუმული ზრდის (პტგ) ურთიერთკავშირი ქართველ დაჭრილ-დაბავებულ სამხედრო მოსამსახურეებში. კვლევაში მონაბილოება მიიღო 96 სამხედრო მოსამსახურმ, რომელთაც დაზიანებები მიიღეს 2008 წლის ავგისტოს ომში და საერთაშორისო სამშვიდობო მისიების მიმღინარეობისას. კვლევის მონაბილეების გამოკითხვა განხორციელდა შემდეგი თვითაღმინისტრირებადი ინსტრუმენტებით: პოსტტრაუმული სტრესის სიმპტომების კითხვარი DSM-5-ის მიხედვით (PCL-5), პაციენტის ისტორიის თვითაღწერითი ტიპის სკალა (PHQ), პოსტტრაუმული ზრდის საზომი კითხვარი (PTGI-Geo) და სტრესის დაძლევის სტრატეგიების კითხვარი (WOC). შედგებმა აჩვენეს, რომ აქტიური სამხედრო სამსახური შესაძლოა პტს-ს სიმპტომების მნიშვნელოვანი პრევენციული ფაქტორი აღმოჩნდეს, პტს-ს სიმპტომებსა და პტგ-ს შორის დადგინდა არანრიფირ კავშირი, რაც გულისხმობს იმას, რომ პოსტტრაუმული ზრდის ყველაზე მაღალი

მაჩვენებლები აქვთ საშუალო სიმძიმის პტსა-ს სიმპტომების მქონე პირებს, ამასთან დადგებით გადაფასებას შეაქვს მნიშვნელოვანი (40%) წვლილი პტბ-ის პტსა-ზე ზემოქმედებაში, რაც მეტყველებს ამ კონკრეტული დაძლევის სტატეგიის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე პტბ-ში.

საპანძო სითყვაბი:

პოსტტრავმული ზრდა, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, დაძლევის სტრატეგიები, დაჭრილ-დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეები

შესავალი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა არაერთი საომარი მოქმედება[1]; ხოლო საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი სამხედრო მოსამსახურეები აქტიურად მონაწილეობდნენ სხადასხვა სამშვიდობო მისიებში [2,3]. საომარი მოქმედებებიდან დაბრუნებულ სამხედრო პირებში მოსალოდნელია გარკვეული ცვლილებები მენტალურ სფეროში [4]. ამ ცვლილებებიდან აღსანიშნავია პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (პტსა), რომლის პრევალენტობა ქართულ სამშვიდობო ძალებსა და 2008 წლის აგვისტოს ოში მონაწილე ქართველ ვეტერანებში შეადგენს 2.7%-ს [5]. პოსტტრავმული სტრესი ყოველთვის არ გადაიზრდება აშლილობაში, ხოლო მისი მიმდინარეობა შეიძლება იყოს მწვავე ან ქრონიკული და მოსალოდნელია პერიოდები, სადაც შეიძლება გვხვდებოდეს მდგომარეობის შემსუბუქება, უცარი გამწვავება ან ლატენტური მიმდინარეობა[6][7]. პტსა-ს შესაძლოა თან სდევდეს პოსტტრავმული ზრდა (პტბ)[8][9], ფენომენი, რომელშიც მოიაზრება დადგებითი და მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ცვლილებების აღმოცენება ინდივიდში ტრავმატული და სტრესული ცხოვრებისეულ მოვლენის განცდის შედეგად [10]. მიუხედავად პტბ-ით ქართველი მკვლევარების დაინტერესებისა [11][12], სამხედრო სფეროში პოსტტრავმული ზრდა დღემდე არ ყოფილა შესწავლითი. ვინაიდან საომარ მოქმედებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეების გარკვეულ ნაწილს უწევთ ტრავმის თანმდევ გამოწვევებითან გამკლავება[13], მათთან მიმართებაში პოსტტრავმული ზრდის შესწავლა აქტუალური საკითხია მითუმეტს თუ გავითვალისწინებთ იმ დადგებით ასპექტებს, რომელიც ამ ფენომენს უკავშირდება: პტბ განიხილება როგორც დამცავი ფაქტორი, რომელიც ამსუბუქებს ინდივიდზე საბრძოლო გამოცდილები მატრავმირებელ ზემოქმედებას [14]; ასევე პტბ კავშირშია საბრძოლო გამოცდილების შემდგომ მედეგობის ზრდასთან [15]. პტსა-ს მქონე ვეტერანებში პოსტტრავმული ზრდის შეფასება ხშირად ხორციელდება პროგრესის მონიტორინგისთვის და თერაპიის ეფექტურობის დასადგენად [16]. კვლევებით დასტურდება ამ მოვლენის იმედისმომცემი და სასარგებლო წვლილი ტრამვის შემდგომ ინდივიდის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და თერაპიული ეფექტის მიღწევაში [17]. აქედან გამომდინარე პტბ-ს შესწავლას საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით კი დაჭრილ-დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებში, რომლებსაც სხეულებრივ დაზიანებებთან ერთად აღენიშნებათ სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობების სიმპტომები[5].

მიმდინარე კვლევა მიზნად ისახავს პოსტტრავმული სტრესული აშლილობის, დაძლევის სტრატეგიების და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთვავშირის შესწავლას ქართველ დაჭრილ-დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებში.

მეთოდი

მონაწილეები კვლევაში გამოიკითხნენ მამრობითი სქესის ქართველი სამხედრო მოსამსახურეები, ($N = 96$, ასაკი $M = 37.8$, იხ. ცხილი 1) რომლებიც დაშავდნენ 2008 წლის აგვისტოს ომსა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიების მიმდინარეობისას.

ცხ. 1.

კვლევის მონაცემები

მახასიათებლები	% / $M (SD)$	Range
<i>N</i>	96	
ასაკი	37.82 (7.092)	26 - 57
სამხედრო სამსახური (წლებში)	3.90 (9.08)	2 - 7
სიმპტომები		
პრა	13.64 (13.274)	0 - 51
სომატური ჩივილები	4.77 (3.942)	0 - 17
შფოთვა	2.75 (3.811)	0 - 15
დეპრესია	2.99 (4.186)	0 - 16
პტС	38.14 (28.934)	0 - 98
დადგენითი დამოუკა	33.78 (10.473)	0 - 58
უარყოფითი დამლუკა	28.39 (10.937)	0 - 55

ინსტრუმენტები

გამოსაკვლევი ჰირების გამოკითხვა განხორციელდა შემდეგი თვითაღმინისტრირებადი ინსტრუმენტებით:

პოსტრავმული სტრესის სიმპტომების კითხვარი DSM-5-ის მიხედვით (PCL-5)[18].

კითხვარი მოიცავს 20 სტრესთან დაკავშირებულ მოვლენათა ჩამონათვალს, თითოეული მათგანის შეფასება ხდება ხუთქულიან ლიკერტის სკალაზე, სადაც 0 = საერთოდ არა, 1 = ოდნავ; 2 = საშუალოდ, 3 = საკმაოდ ; 4= უკიდურესად.

პაციენტის ისტორიის თვითაღწერითი ტიპის სკალა (PHQ) [19], რომელიც შედგება რამდენიმე სუბსკალისგან და შესაძლებლობას ძლევა შევაფასოთ დეპრესიული, შფოთვითი მდგომარეობებისა სომატური ჩივილების გამოხატულება: დეპრესიის სუბსკალა (PHQ-9) 8ომავს დეპრესიის სიმპტომების სიმწვავეს. მასში გაერთიანებულია 9 დებულება, რომლებიც ფასდება ოთხქულიან ლიკერტის სკალაზე , სადაც 0 = საერთოდ არა, 1= რამდენიმე დღე; 2=დღეების ნახევარზე მეტი; 3= თითქმის ყოველდღე. შფოთვის სუბსკალა GAD -7, მოიცავს შვიდ დებულებას და PHQ-9-ის მსგავსად სიმპტომების სიმწვავე ფასდება ოთხქულიან ლიკერტის სკალაზე. ცდის ჰირები დებულებებს აფასებდნენ იმის მიხედვით, თუ რამდენად მწვავედ იყო გამოხატული აღნიშნული სიმპტომები ბოლო ორი კვირის განმავლობაში. სომატური ჩივილების სუბსკალა (PHQ-15) 8ომავს სომატური ჩივილების გამოხატვის სიმწვავეს. აღნიშნული სუბსკალა მოიცავს 15 დებულებას, თითოეული მათგანი ფასდება სამქულიან ლიკერტის სკალაზე, სადაც 0 = საერთოდ არ მაწუხებდა, 1= ოდნავ მაწუხებდა, ხოლო 2= ძალიან მაწუხებდა. ცდის ჰირები აფასებდნენ სომატური ჩივილების გამოვლინებას ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში.

პოსტრავმული ზრდის საზომი კითხვარი (PTGI-Geo) [12][20]შედგება 21 დებულებისგან, თითოეული მათგანი ფასდება ექვსქულიან ლიკერტის სკალაზე, სადაც 0 = არავითარი ცვლილება არ მომხდარა, 5= ძალზე მნიშვნელოვნად შეიცვალა. კითხვარი შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ პოსტრავმული ზრდა შემდეგი ოთხი ფასტორის მიხედვით: ახალი შესაძლებლობები, სხვებთან ურთიერთობა, ჰიროვნული სიძლიერე, სულიერი ცვლილება და ცხოვრების დაფასება.

დაძლევის სტრატეგიების სკალა (WOC) [21], რომელიც მოიცავს 66 დებულებას და თითოეული დებულება ფასდება ოთხქულიან ლიკერტის სკალაზე, სადაც 0=არასდროს და 3=ყოველთვის. აღნიშნული კითხვარი აფასებს, თუ რას განიცდის, რას ფიქრობს და როგორ იქცევა ინდივიდი სტრესულ სიტუაციასთან გამკლავებისას. საკვლევი ინტრუმენტი მოიცავს რვა სკალას: კონფრონტაციული დაძლევა, პრობლემებისგან დისტანცირება, თვით-კონტროლი, სოციალური მხარდაჭერის ძიება, პასუხისმგებლობის აღება, პოზიტიური გადაფასება, განრიდება, პრობლემის გადაწყვეტის დაგეგმვა. აღნიშნული დაძლევის სტრატეგიები იყოფა ორ ჯგუფად - ჰირიტიური დაძლევა და ნეგატიური დაძლევა.

მონაცემების ანალიზი

მონაცემები დამუშავდა პროგრამა SPSS-ში. მოქმედი და გრძელვადიან სამკურნალო შვებულებაში მყოფი დაჭრილ-დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ურთიერთშესადარებლად პტსა-ს სიმპტომების სიმრვავის მიხედვით გამოვიყენეთ ერთფაქტურული ANOVA. პტსა-ს პტზ-ზე წრფივი და კვადრატული ეფექტების განსასაზღვრად განვახორციელეთ იერარქიული რეგრესიული ანალიზი. დადებითი გადაფასების გაშუალებით პტსა-ს სიმპტომების პტზ-ზე არაპირაპირი ეფექტის განსასაზღვრად გამოვიყენეთ SPSS PROCESS macro-ს მედიაციის მე-4 მოდელი[22].

შედეგები

დადგინდა სტატისტიკურად სანდო ძლიერი კავშირი პტსა-ს და შფოთვას ($r = 0.778, p < 0.01$), დეპრესიას ($r = 0.692, p < 0.01$) და სომატურ ჩივილებს შორის ($r = 0.607, p < 0.01$), საშუალო კორელაცია პტსა-ს და უარყოფითი დაძლევას ($r = 0.526, p < 0.01$) და პტზ-ს შორის ($r = 0.4, p < 0.01$), ხოლო დადებითი დაძლევას და პტსა-ს ($r = 0.385, p < 0.01$) და პტზ-ს შორის ($r = 0.331, p < 0.01$) გამოვლინდა სუსტი დადებითი ურთიერთკავშირი (იხ. ცხილი 2).


ცხ. 2.

კორელაცია ცვლადებს შორის

ცვლადი	პტზ	დადებითი დაძლევა	უარყოფითი დაძლევა	პტსა	შფოთვა	დეპრესია	სომატური ჩივილები
პტზ	—	.331**	.356**	.400**	.376**	.236*	.271**
დადებითი დაძლევა	.331**	—	.725**	.385**	.226*	.207*	.189
უარყოფითი დაძლევა	.356**	.725**	—	.526**	.423**	.382**	.345**
პტსა	.400**	.385**	.526**	—	.778**	.692**	.607**
შფოთვა	.376**	.226*	.423**	.778**	—	.802**	.681**
დეპრესია	.236**	.207*	.382**	.692**	.802**	—	.784**
სომატური ჩივილები	.271**	.189	.345**	.607**	.681**	.784**	—


** $p < .01$.

ერთფაქტურული ANOVA -ს ($F (2, 75) = 11.706, p = 0.000$) მიხედვით გრძელვადიან სამკურნალო შვებულებაში მყოფ სამხედროებს სტატისტიკურად სანდო, უფრო მაღალი ქულები აქვთ ($M = 20.9$) პოსტ-ტრავმული სტრესული აშლლობის სკალაზე ვიდრე მოქმედ სამხედრო მოსამსახურეებს ($M = 7.59$). იერარქიული რეგრესიული ანალიზი აჩვენებს სტატისტიკურად სანდო როგორც წრფივ ($F = 14.486, p < .001$, Adj. R² = 0.149) ასევე მრუდ-წრფივ ($F = 498.679, p < .001$, Adj. R² = 0.928) კავშირს პტსას სიმპტომებსა და პტზ-ს შორის(იხ. სურათი 1). წრფივ ეფექტთან ერთად კვადრატული ფუნქცია ხსნის პტზ-ს ვარიაბელურობის 9.28%-ს.



სურ. 1. მრულ-წრთვივი კავშირი პტია-ს სიმპტომებისა და პრისტრაცენტულ ზრდას შორის

SPSS PROCESS macro-ს მედიაციის მე-4 მოდელმა აჩვენა სანდო პტია-ს სიმპტომების პტბ-ზე როგორც პირდაპირი ($b = 0.1091$, 95% CI [0.008; 0.21]), ასევე ირიბი ეფექტი ($b = 0.0728$, 95% CI [0.0251; 0.1246]) დადებითი დაძლევის გაშუალებით (იხ. სურათი 2). ირიბი ეფექტის თანაფარდობა საერთო ეფექტთან შეადგენს 0.40-ს.



სურ 2. მედიაციის დიაგრამა. ყველა კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია,
** $p < 0.01$.

დასკვნა

ვფლევას აქვს რამოდენიმე მიგნება: აქტიური სამხედრო სამსახური მნიშვნელოვანი პრევენციული ფაქტორია პოსტრავმული სტრესის წინააღმდეგ; არანრთვივი კავშირი პტია-ს სიმპტომებსა და პტბ-ს შორის მოიაზრებს იმას, რომ პოსტრავმული ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ საშუალო სიმძიმის პტია-ს სიმპტომების მქონე ინდივიდებს. მსგავსი შედეგი სხვა კვლევებშიც დასტურდება[23][24]. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე პტია-ს მძიმე სიმპტომების შემთხვევაში აუცილებელია ადრეული თერაპიული ინტერვენცია მდგომარეობის დასტაბილურებისათვის, რათა მოხერხდეს პოსტრავმული ზრდის ხელშეწყობა პიროვნებაში. კვლევის შედეგები ასევე მიუთითებენ დადებითი დაძლევის სტრატეგიების, კერძოდ კი დადებითი გადაფასების მნიშვნელობას პოსტრავმული ზრდისათვის რაც მეიძლება ყურადსაღებ რეკომენდაციად იქცეს ფსიქოონსულტანტებისა და ფსიქოთერაპევტებისათვის: დადებითი დაძლევის სტრატეგიების წახალისებას შეუძლია ხელი შეუწყოს პოსტრავმულ ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. შარაშენიძე, გ, გვახარია. (2009) საქართველოში მომზღვაურ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში.
2. Gotsadze. (2014). GEORGIA IN INTERNATIONAL PEACEKEEPING MISSIONS (techreport).
3. ნეკა ბერძენიშვილი (2020) საქართველოს როლი სამშვიდომ მისიებში, Georgian Strategic Analysis Center
4. Niles, B. L., Klunk-Gillis, J., Ryngala, D. J., Silberbogen, A. K., Paynick, A., & Wolf, E. J. (2012). Comparing mindfulness and psycho-education treatments for combat-related PTSD using a telehealth approach. *Psychological Trauma: Theory, Research, Practice, and Policy*, 4, 538– 547. <http://dx.doi.org/10.1037/a0026161>
5. S. Giorgi, T. Oniani, G. Nino, K. Giorgi, L. Estate. (2017). Prevalence study of mental disorders in Georgian military personnel participating in peace-keeping missions. *European Psychiatry*, Volume 41, Supplement, April 2017, Pages S723-S724 <http://dx.doi.org/10.1016/j.eurpsy.2017.01.1312>
6. American Psychiatric Association. (2013). Diagnostic and statistical manual of mental disorders (5th Ed.). Arlington, VA: American Psychiatric Publishing.
7. Kessler, R. C., Sonnega, A., Bromet, E., Hughes, M., & Nelson, C. B. (1995). Posttraumatic stress disorder in the National Comorbidity Survey. *Archives of General Psychiatry*, 52, 1048–1060. <http://dx.doi.org/10.1001/archpsyc.1995.03950240066012>
8. Benetato, B. B. (2011). Posttraumatic growth among operation enduring freedom and operation Iraqi freedom amputees. *Journal of Nursing Scholarship*, 43, 412–420. <http://dx.doi.org/10.1111/j.1547-5069.2011.01421.x>
9. Palmer E., Murphy, D., Spencer-Harper, L. (2017). Experience of post-traumatic growth in UK veterans with PTSD: a qualitative study. *Journal of Royal Army Medical Corps*. 2017 Jun; 163(3):171-176. <http://dx.doi.org/10.1136/jramc-2015-000607>
10. Zoellner T, Maercker A (2006). Posttraumatic growth in clinical psychology – a critical review and introduction of a two component model. *Clinical Psychology Review* 26, 626–653.
11. ფანჯიყიძე, მ. (2010) პოსტტრავმული ზრდის, ოჯახის ფუნქციონირების და ემოციური ინტელექტის ურთიერთობისართება. სადოქტორო დისერტაცია, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თსუ , თბილისი.
12. ხერუაშვილი, ლ.(2015) პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები. *GESJ: Education Science and Psychology*, 2015 | No.4 (36)
13. Tedeschi, R. G. (2011). Posttraumatic growth in combat veterans. *Journal of Clinical Psychology in Medical Settings*, 18, 137–144. <http://dx.doi.org/10.1007/s10880-011-9255-2>
14. Tedeschi, R. G., & McNally, R. J. (2011). Can we facilitate posttraumatic growth in combat veterans? *American Psychologist*, 66, 19–24. <http://dx.doi.org/10.1037/a0021896>
15. Bush, N. E., Skopp, N. A., McCann, R., & Luxton, D. D. (2011). Posttraumatic growth as protection against suicidal ideation after deployment and combat exposure. *Military Medicine*, 176, 1215–1222. <http://dx.doi.org/10.7205/MILMED-D-11-00018>
16. Palmer, G., A., Graca, J., J., & Occhietti, K., E. (2016). Posttraumatic Growth and Its Relationship to Depressive Symptomatology in Veterans With PTSD. *Traumatology In the public domain*, 2016, Vol. 22, No. 4, 299–306 1085-9373/16. <http://dx.doi.org/10.1037/trm0000101>
17. Tedeschi, R. G., & Calhoun, L. G. (1996). The Posttraumatic Growth Inventory: Measuring the positive legacy of trauma. *Journal of Traumatic Stress*, 9(3), 455-472. <https://doi.org/10.1002/jts.2490090305>
18. Weathers, F. W., Litz, B. T., Keane, T. M., Palmieri, P. A., Marx, B. P., & Schnurr, P. P. (2013).ThePTSD Checklist for DSM-5 (PCL-5). National Center for PTSD. misc. <http://doi.org/10.1037/t02622-000>
19. Spitzer, R. L., Kroenke, K., & Williams, J. B. W. (1999). Validation and utility of a self-report version of PRIME-MD: the PHQ primary care study. Primary Care Evaluation of Mental Disorders. Patient Health Questionnaire. *JAMA: The Journal of the American Medical Association*, 282(18), 1737–1744. <http://doi.org/10.1001/jama.282.18.1737>
20. Khechuashvili, L. (2014a). Cross Cultural Adaptation of Posttraumatic Growth Inventory and Psychological Well-Being ScaleInveles for Georgia Population. *GESJ:Education Sciences and Psychology //* 2014 | No.4(30), pp. 53-64
21. Martskvishvili, Kh. (2006). სტრუსის დაძლევის სტრატეგიები, *Caucasology*, 10, 90-110
22. Hayes, A. F. (2013). Methodology in the social sciences. Introduction to mediation, moderation, and conditional process analysis: A regression-based approach. Guilford Press.
23. El-Gabalawy , R., Sledge, W. H., Southwick, S., (2014) Post-traumatic growth among veterans in the USA: Results from the National Health and Resilience in Veterans Study Article in Psychological Medicine. DOI: 10.1017/S0033291714001202
24. Shakespeare-Finch J, Lurie-Beck J (2014). A meta-analytic clarification of the relationship between posttraumatic growth and symptoms of posttraumatic stress disorder. *Journal of Anxiety Disorders*, 28, 223–229.

დაუინებულობის როლი საცყვისი საბრძოლო მომზადების პურსის დაძლევის პონტიფიცი

ნიკა გაბლიუზილი
დოკომენტი ფსიქოლოგის მიმართულებით, აცაიკ -
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი იყო დაუინებულობის (Grit) როლის შესწავლა საწყისი საბრძოლო კურსის დაძლევის კონტექსტში. კვლევა ჩატარდა ეროვნული თავდაცვის აკადემიის 153 რევორუტზე, რომლებიც გადიოდნენ საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს. აღმოჩნდა, რომ იმ რევორუტებს, ვინც დარჩნენ კურსზე აქვთ ბევრად მაღალი ქულა დაუინებულობის სკალაზე (4.471698) ვიდრე მათ, ვინც წავიდნენ კურსიდან (3.923332) და ეს სხვაობა მნიშვნელოვანია. დაუინებულობა სტატისტიკურად მნიშვნელოვან, დადგით კორელაციაში აღმოჩნდა: მიღწევის მოტივაციასთან ($r=.348$), დისციპლინასთან ($r=.495$), ფსიქოლოგიურ სტაბილურობასთან ($r=.381$), პრეზენტაციელურობასთან ($r=.201$) - თითოეულ ამ შემთხვევაში $P<.000$ -ზე. რეგრესული ანალიზისას მიღებული მოდელის მიხედვით, სასწავლო კურსზე სწავლის გავრძელება/შეწყვეტის მაჩვენებელსა და დაუინებულობის მაჩვენებელს შორის არის საშუალო დონის დადგითი კავშირი $R=0.449$. ეს მოდელი შერჩევის პოპულაციისათვის ხსნის სასწავლო კურსის გაგრძელება/შეწყვეტის 20,2%-ს, $R^2=0.202$; $p<0.05$.

დაუინებულობის მაღალი მაჩვენებლის მქონე იუნკერების მხრიდან, უფრო სავარაუდოა, რომ ისინი გააგრძელებენ სასწავლო კურსზე სწავლას, ვიდრე დაუინებულობის დაბალი მაჩვენებლის მქონე კურსანტები.

საკვანძო სითყვაბი:

დაუინებულობა; სამხედრო ფსიქოლოგია; საწყისი საბრძოლო მომზადება.

THE ROLE OF PERSEVERANCE IN THE CONTEXT OF OVERCOMING THE BASIC COMBAT TRAINING COURSE

NIKA GABLISHVILI
NNLE - GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS
PHD STUDENT IN PSYCHOLOGY

ABSTRACT

The aim of the study was to examine the role of Grit in the context of finishing the Basic Combat Training (BCT) course. 153 recruits from the National Defense Academy who were undergoing BCT course participated in the study. It was found that, the recruits who stayed on the course have much higher score on the Grit scale (4.471698) than those who left the course (3.923332) and this difference is significant. Grit was found to be statistically significant and positively correlated with achievement motivation ($r = .348$), discipline ($r = .495$), psychological stability ($r = .381$), and presentability ($r = .201$) - in each case $P <.000$. According to the model obtained during the regression analysis, there is a positive average correlation between the continuation / termination rate and the persistence rate $R = 0.449$. This model explains 20.2% of course continuation / termination for the sample population, $R^2 = 0.202$; $p <0.05$.

Cadets with high rate of persistence, are more likely to continue their BCT course rather than cadets with a low rate of persistence.

KEYWORDS:

Grit; Military Psychology; Basic Combat Training (BCT).

შესავალი

სამხედრო ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიის დარგის სპეციფიური და ახალი მიმართულებაა. შესაბამისად მისი აღიარებული განმარტება ჰერ-ჰერობით არ არსებობს. ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად ჩანს, რომ სამხედრო ფსიქოლოგია შესაძლოა გავიგოთ, როგორც ფსიქოლოგიური პრინციპების კვლევისა და პრაქტიკის განხორციელება სამხედრო გარემოში.¹ სამხედრო ფსიქოლოგიას სხვა მიმართულებებისგან, ძირითადად, სპეციფიკური სამიზნე ჯგუფი განასახვავებს. სამხედრო და სამოქალაქო პირები არაერთ ფსიქოფიზიოლოგიურ განზომილებაში განსხვავდებიან ფსიქოფიზიოლოგიური კუთხით (Forbes, H. et al. 2013; Xue, C. et al. 2015; Katherine et al. 2012; Eaton, et. al 2006; Karstoft, et al. 2014; Waters, J. A., et al. 2015).

სამხედრო ფსიქოლოგიის გავება უფრო გამარტივდება მისი შესწავლის საგნის განმარტებით. მაგალითად განარჩევენ: განვევას, შეფასებას, ტრენინგს, სოციალიზაციას, ინტეგრაციას, კონსულტირებას სამხედრო მოსამსახურებისთვის.

სამხედრო ფსიქოლოგიაში ასევე მოიაზრება კვლევების ჩატარება: ადამიანის ქცევის წინასწარმეტყველებისთვის რთულ გარემოში, იარაღის შექმნაში, სამხედრო მეთაურობასა და მართვაში (Matthews, & Laurence, 2012; Gal & Mangelsdorff, 1991; Maheshwari, Nidhi & Kumar, Vineeth, 2016).

ზემოთჩამოთვლილი სეგმენტების უმნიშვნელოვანესი ნაწილია განვევა და შერჩევა. სწორად განხორციელებული შერჩევა იძლევა ფუნდამენტს, რაზე დაყრდნობთაც, ბევრად ეფექტურად და ნაკლები დანახარჯებით ხდება პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურის ჩამოყალიბება. ამ ეტაპზე შერჩევისას, სულ უფრო მზარდი ყურადღება ეთმობა პიროვნების ფსიქოლოგიას. ითანამედროვე სამხედრო ფსიქოლოგიის კვლევებში გაზრდილია სხვადასხვა არაკოგნიტური პიროვნული ნიშნების კვლევის საკითხი. აღნიშნულ კვლევებს აქტიურად ატარებენ შერჩევის ეტაპზე, რათა გაადვილდეს კანდიდატების რელევანტურობის დადგენა.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ არაკოგნიტურ ნიშანს წარმოადგენს დაუინებულობა (შეკოვრობა). როგორც აღმოჩნდა მას შესაძლოა ჰქონდეს პრედიქტორის როლი ფუნქცია საწყისი საბრძოლო მომზადების გავლისთვის. (Duckworth, Peterson, Matthews, & Kelly, 2007). დაუინებულობა განიმარტება როგორც მწველი სურვილისა (passion) და მდგრადობის გამოყენება გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, დაუინებულობის, როგორც არაკოგნიტური ნიშნის, კავშირების დადგენა, შერჩევის სხვა ფსიქოლოგიურ კრიტერიუმებთან და დაუინებულობის კორელაციის დადგენა საწყისი საბრძოლო კურსის დასრულებასთან მიმართებით.

კვლევა ჩატარდა 2019 წელს, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩაბარების მსურველთა სრულ შემადგენლობაზე. ეროვნული თვდაცვის აკადემია წარმოადგენს საქართველოში ერთადერთ სამხედრო სასწავლებელს. ჩაბარების მსურველები, შერჩევის ეტაპის შემდგომ ჩაირიცხნენ 10 კვირიან საწყისი საბრძოლო მომზადების კურსზე (BCT-კურსი). სწორედ კურსის დასაწყისში მოხდა კითხვარის აღმინისტრირება.

დაგეგმილ კვლევაში, გამოყენებული იყო თვითანგარიშის ტიპის კითხვარები. კითხვარი ზომავდა ისეთ პიროვნულ, არაკოგნიტურ ნიშანს, როგორიცაა დაუინებულობა (Grit). კვლევაში ასევე გამოყენებული იყო მომავალი ოფიცრების მიერ, მისაღები პროცედურების დროს დაფიქსირებული სხვადასხვა შედეგი (მაგ.: ფსიქოლოგიური გასაუბრების საშუალო ქულის მაჩვენებელი, კლინიკური გასაუბრების შედეგი და ტესტირების შედეგები, რომელსაც ატარებს თავდაცვის სამინისტრო).

მიზანდასახულობის საზომად გამოიყენება მიზანდასახულობის სკალა (grit scale) (Duckworth, Peterson, Matthews, & Kelly, 2007). საერთო ჭამი კითხვარი შედგება 12 დებულებისგან, საიდანაც თითოეული ფასდება 5 ქულიან სკალაზე. მაგალითისთვის არის შემდეგი დებულებები: „დამიძლევებია წინააღმდეგებები გამოწვევებთან გამკლავებისას“ ან „თვიდან თვემდე ინტერესის სფერო მეცვლება“. თითოეული დებულებას რესპონდენტი აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ახასიათებს ეს მოცემულობა (1=საერთოდ არ მახასიათებს, 5=ძალიან მახასიათებს).

¹ Military psychology may be viewed as the conduct of research or practice of psychological principles within a military environment.

აღწერითი სტატისტიკა და ანალიზი

კვლევის მონაცემები შეგროვებულია კამპი 153 რეკრუტზე. საიდანაც 56 აბარებდა საკანდიდატო კურსზე, ხოლო 97 ბაკალავრიატზე. საერთო კამპი 10 იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 143 მამრობითი.

საწყისი საბრძოლო მომზადების კურსი ვერ გაიარა კამპი 44-მა ადამიანმა, საიდანაც ქალბატონი იყო 1 და დანარჩენი 43 მამაკაცი. მიმართულებების მხრივ კი, საკანდიდატო კურსიდან წავიდა 18 ადამიანი, ხოლო საბაკალავრო პროგრამიდან 26.

ერთმანეთთან სანდო დადებით კორელაციაშია გასაუბრების შედეგად დაწერილი საშუალო ქულა, სამინისტროს მიერ ჩატარებული IQ ტესტის შედეგები ($r = .244$, $p < 0.05$) და გაზომილი დისციპლინა ($r = .231$, $p < 0.05$).

IQ - ასევე ავლენს სუსტ დადებით კორელაციას ფსიქოლოგიურ სტაბილურობასთან ($r = .176$, $p < 0.05$.)

საინტერესოა, რომ საკმაოდ ბევრ ცვლადთან აღმოჩნდა კორელაციაში დაუინებულობა (Grit). იგი სტატისტიკურად მნიშვნელოვან, დადებით კორელაციაშია: მიღწევის მოტივაციასთან ($r = .348$), დისციპლინასთან ($r = .495$), ფსიქოლოგიურ სტაბილურობასთან ($r = .381$), პრეზენტაბელურობასთან ($r = .201$) - თითოოლო ამ შემთხვევაში $P < .000$ -ზე.

	GRIT	IQ	გასაუბრების შეღება	მიღწევის მოტივაცია	დისციპლინა	ლიდერობა	ფსიქოლოგიურ სტაბილურობა	პრეზენტაბელურობა
GRIT								
Pearson Correlation	1	.024	.200	.348**	.495**	-.005	.381**	.201*
Sig. (2-tailed)								
N	131	126	70	126	126	126	126	126
IQ								
Pearson Correlation	.024	1	.244*	.113	.200*	.095	.176*	.115
Sig. (2-tailed)								
N	.791	.126	.146	.032	.175	.016	.256	.034
გასაუბრებისშედეგები								
Pearson Correlation	.200	.244*	1	.070	.231*	.094	.161	.097
Sig. (2-tailed)								
N	.097	.032	.77	.547	.043	.417	.163	.401
მიღწევისმოტივაცია								
Pearson Correlation	.248*	.113	.070	1	.707**	.294**	.710**	.371**
Sig. (2-tailed)								
N	.000	.175	.547	.77	.146	.000	.000	.000
დისციპლინა								
Pearson Correlation	.495**	.200*	.231*	.707**	1	.073	.687**	.462**
Sig. (2-tailed)								
N	.000	.016	.043	.000	.146	.383	.000	.000
ლიდერობა								
Pearson Correlation	-.005	.095	.094	.294**	.073	1	.333**	.481**
Sig. (2-tailed)								
N	.959	.256	.417	.000	.146	.383	.000	.000
ფსიქოლოგიური სტაბილურობა								
Pearson Correlation	.381**	.176*	.161	.710**	.687**	.333**	1	.264**
Sig. (2-tailed)								
N	.000	.034	.163	.000	.146	.000	.001	.146
პრეზენტაბელურობა								
Pearson Correlation	.201*	.115	.097	.371**	.481**	.481**	.264**	1
Sig. (2-tailed)								
N	.024	.165	.401	.000	.146	.000	.001	.146

**. Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed).

*. Correlation is significant at the 0.05 level (2-tailed).

გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი დაუინებულობის მაჩვენებელსა და სასწავლო კურსზე სწავლის გაგრძელება/შეწყვეტის მაჩვენებელს შორის $p < 0.05$. ხოლო სხვა დამოუკიდებელი ცვლადების გავლენა სწავლის გაგრძელება/შეწყვეტის მაჩვენებელთან არ გამოვლენილა, $p > 0.05$.

იმ ადამიანებს შორის ვინც ბოლომდე გადიან კურსს, მათ ბევრად მაღალი ქულა აქვთ მიღებული დაუინებულობაში (4.471698) ვიდრე მათ, ვინც წავიდნენ კურსიდან (3.923332) და ეს სხვაობა მნიშვნელოვანია

	კურსზე დარჩენილები/გარიცხულ ები	N	Mean	Std. Deviation	Std. Error Mean
GRIT	კურსზე დარჩენილი	106	4.471698	.3644022	.0353939
	კურსიდან გარიცხულები	25	3.923332	.6494839	.1298968

	Levene's Test for Equality of Variances		t-test for Equality of Means			
	F	Sig.	t	df	Sig. (2-tailed)	Mean Difference
GRIT	Equal variances assumed	22.455	.000	5.710	129	.000
	Equal variances not assumed			4.073	27.661	.000

ასევე საინტერესოა, რომ დაუინებულობა მათ უფრო მაღალი აქვთ, ვინც პასუხებში მონიშნა რომ აქვს სამხედრო გამოცდილება ვიდრე მათ ვისაც გამოცდილება არ აქვს:

	სამხედრო გამოცდილება	N	Mean	Std. Deviation	Std. Error Mean
GRIT	ვი	37	4.468469	.4093574	.0672979
	არა	91	4.322344	.5086004	.0533158
გასაუბრების შედეგები	ვი	8	31.376389	3.6504460	1.2906276
	არა	61	31.765639	3.0608795	.3919055

თუმცა ეს განსხვავება სტატისტიკურად არ დასტურდება

დისკუსია

აღმოჩნდა, რომ ამერიკელ სამხედროებზე ჩატარებული კვლევების შედევად მიღებული დასკვნები, ახლოს დგას ქართველ სამხედროებზე ჩატარებულ ანალოგიურ კვლევებთან. დაუინებულობა როგორც ფსიქოლოგიური ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იუნკერის მხრიდან საწყისი საბრძოლო მომზადების დასრულებაზე. მათი კურსის გადალახვის პროცენტული მაჩვენებელი, ვინც თავს მიიჩნევს შეუპოვარ ადამიანად ისევე მაღალია როგორც ამერიკაში.

სამომავლოდ, რადგან დაუინებულობის საკვლევი კითხვარი არის საკმაოდ კომპაქტური (12 შეკითხვა) და მაღალ კორელაციაშია შერჩევის ეტაპზე ჩართულ სხვა კომპონენტებთან, ეროვნულმა თვდაცვის აკადემიამ, შესაძლოა პრაქტიკაში გამოიყენოს მსგავსი კითხვარი. მას დაეხმარება რეკრუტების მიზნობრივ შერჩევაში.

სამომავლოდ საჭიროა დაუინებულობის, როგორც პრედიქტორის ფუნქციის კვლევა იუნკერის მხრიდან საწყისი საბრძოლო მომზადების დაძლევაში. კერძოდ, დაუინებულობის მაღალი მაჩვენებლის მქონე

იუნკერების მხრიდან, უფრო სავარაუდოა, რომ ისინი გააგრძელებენ სასწავლო კურსზე სწავლას, ვიდრე დაუნებულობის დაბალი მაჩვენებლის მქონე კურსანტები.

საინტერესო იქნება, დაუინებულობის კვლევის შედეგად მიღებული შედეგების განხილვა აკადემიური მოსწრების კონტექსტში.

მათოყვენებული ლითერატურა

1. Duckworth, A.L., Peterson, H.C., Matthews, M.D., & Kelly, D.R. (2007). Grit: perseverance and passion for long-term goals. *Journal of personality and social psychology*, 92 6, 1087-101.
2. Eaton, Karen M., Stephen C. Messer, Abigail L. Garvey Wilson, and Charles W. Hoge. "Strengthening the validity of population-based suicide rate comparisons: an illustration using US military and civilian data." *Suicide and Life-Threatening Behavior* 36, no. 2 (2006): 182-191.
3. Hoerster, Katherine D., Keren Lehavot, Tracy Simpson, Miles McFall, Gayle Reiber, and Karin M. Nelson. "Health and health behavior differences: US Military, veteran, and civilian men." *American journal of preventive medicine* 43, no. 5 (2012): 483-489.
4. Karstoft, Karen-Inge, Søren Bo Andersen, Mette Bertelsen, and Trine Madsen. "Diagnostic accuracy of the Posttraumatic Stress Disorder Checklist—Civilian Version in a representative military sample." *Psychological Assessment* 26, no. 1 (2014): 321.
5. Maheshwari, Nidhi, and Vineeth V. Kumar, eds. *Military Psychology: Concepts, Trends and Interventions*. SAGE Publications India, 2016.
6. Matthews, Michael D., and Janice H. Laurence. "Military psychology." In *The Oxford Handbook of Military Psychology*. 2012.
7. McCarroll, James E. "Handbook of military psychology. By Reuven Gal and A. David Mangelsdorf. New York, John Wiley & Sons, 1991,: 145-147.
8. Sohn, Linda, and Nancy D. Harada. "Effects of racial/ethnic discrimination on the health status of minority veterans." *Military medicine* 173, no. 4 (2008): 331-338.
9. Waters, J. Alan, Jonathan B. Lundy, James K. Aden, Christy R. Sine, Allison R. Buel, Jonathan L. Henderson, Ian J. Stewart et al. "A comparison of acute respiratory distress syndrome outcomes between military and civilian burn patients." *Military medicine* 180, no. suppl_3 (2015): 56-59.
10. Xue, Chen, Yang Ge, Bihang Tang, Yuan Liu, Peng Kang, Meng Wang, and Lulu Zhang. "A meta-analysis of risk factors for combat-related PTSD among military personnel and veterans." *PloS one* 10, no. 3 (2015): e0120270.

პროეციული მეთოდიკაზე გამოყენება შერჩევის პროცესში

ნათია ობგაიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თაბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ფსიქოლოგია

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება იმ სირთულეებს, რომლებიც თან ახლავს შერჩევის პროცესს პიროვნების საკვლევი ინსტრუმენტების გამოყენებისას. ერთის მხრივ კითხვარების მეთოდი, რომელიც გვაძლევს საშუალებას მონაცემები დამუშავდეს სტანდარტიზებული გზით და იყოს უფრო ობიექტური, მაგრამ ყოველთვის ვაწყდებით კვლევაში მონაწილე პირის მიერ მონაცემების გაყალბების რისკს და მეორეს მხრივ, პროექციული მეთოდივები, რომელიც თავისუფალია პიროვნების დაცვითი მექანიზმებისგან და იძლევა უფრო ღრმა, რეალურ სურათს, მაგრამ ძნელია მისი სტანდარტიზირება და შედეგები მთლიანად მკვლევარის გამოცდილებაზეა დამოკიდებული, ასევე არის სუბიექტურობის რისკიც.

კვლევის მიზანია შევამოწმოთ რამდენად თანხვედრაშია კითხვარის მეთოდი და პროექციული მეთოდი ერთმანეთთან. ამისათვის გამოყენებულია კეტელის 16 ფაქტორიანი კითხვარი და ავტოპორტრეტი. შედეგებმა აჩვენა, რომ იქ სადაც კითხვარი არ არის გაყალბებული და დაბალია სიცრუე, მონაცემები თანხვედრაშია ავტოპორტრეტის შედეგებთან, ხოლო იმ შემთხვევებში, სადაც კითხვარის შედეგები გააყალბა კვლევაში მონაწილე პირმა და კონკრეტული ფაქტორების მაჩვენებლები სოციალურად მისაღები ნორმების ფარგლებში დატვა, ავტოპორტრეტში მნიშვნელოვნად გამოკვეთილი და აქტუალურია სწორედ ეს ფაქტორები.

შედეგებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მონაცემების სიზუსტისა და დაცვითი მექანიზმების მინიმუმამდე დაყვანისათვის, ასევე ობიექტურობისათვის, სასურველია ორივე ტიპის ინსტრუმენტით ერთდროულად მუშაობა.

სამიზანო სითყვები:

შერჩევა, პროექციული მეთოდივა, კითხვარის მეთოდი.

USE OF PROJECTION METHODS IN THE SELECTION PROCESS

NATIA OBGAIDZE

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
SOCIAL, CULTURAL AND POLITICAL PSYCHOLOGY

ABSTRACT

The paper addresses the difficulties that exists in selection process using personality research tools. On one hand, the questionnaire method allows the data to be processed in a standardized way and be more objective. Though, there is always a risk of data falsification by the individual. On the other hand, projection methods are free from personal defence mechanisms, giving a deeper, more realistic picture. Nevertheless, there is no specific, standardized methods for data and results depending entirely on the researcher's experience and is a risk of subjectivity as well.

The aim of the research is to experiment upon how much the questionnaire method and the projection method coincides with each other. A 16-factor questionnaire and a self-portrait was utilized for this purpose.

The results showed that where the lie is low and the questionnaire is not falsified, it is consistent with the results of the self-portrait. Contrasting, in other cases, the results of the questionnaire were falsified, and left the indicators of specific factors within socially acceptable norms. Therefore, the self-portrait is significantly more pronounced and relevant.

From the results, we can speculate that in order to minimize data accuracy and protection mechanisms, as well as objectivity, it is desirable to work with both types of tools simultaneously.

KEYWORDS:

selection, projection method, questionnaire method.

შესავალი

ორგანიზაციის განვითარებისათვის გადამწყვეტია სწორად და მიზანმიმართულად მოხდეს კონკრეტულ სამუშაოსათვის ადამიანის შერჩევა, რა დროსაც მნიშვნელობა ენიჭება კოპეტენციას და გამოცდილებას, მის ღირებულებებს, ესადაგება თუ არა მისი შეხედულებები და დამოკიდებულებები ორგანიზაციის შეხედულებებს და მთავარი, პიროვნეული თვისებები, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ქცევას, გადაწყვეტილებებს და ხშირად როგორც საკუთარ, ასევე კომპანიის წარმატებასაც. ამიტომ მნიშვნელოვანი საკითხია ის თუ, რა მეთოდებით ხდება პიროვნების კვლევა. რამდენად თავისუფალია კონკრეტული ინსტრუმენტი სოციალური გავლენებისგან, როდესაც აპლიკანტი არჩევს სავარაუდო პასუხებიდან მისთვის ყველაზე მისაღებს და იცის რომ ეს პასუხები არის გადამწყვეტი აიყვანენ თუ არა მას შესაბამის ჰობიციაზე, ყოველთვის დგება საკითხი პასუხების გაყალბების. მიუხედავად იმისა, რომ ვალიდურობის კრიტერიუმი უნდა ახდენდეს გაყალბების პრევენციას, მეცნიერების დავის საგანი მაინც გახდა იგი. კითხვარების მეთოდის ამ პრობლემას ერთი შეხედვით ბოლომდე გვისნის პროექციული მეთოდიკები, რადგან რესპონდენტს ეძლევა ბუნდოვანი მასალა, ბუნდოვანი ინსტურეციით და სრულად თავისუფალია პასუხების შექმნისას, მაგრამ გამოწვევა პროექციული მეთოდიკების გამოყენებისას არის, მათი შემოდგომი ანალიზი, დამუშავება და გარკევულ ციფრებში გარდაქმნა. ამ პროცესში სუბიექტურობის გამოსარიცხად სპეციფიური ცოდნის მქონე მკვლევარების ჩართვა ხდება საჭირო (ხეჩუაშვილი 2013), (Kumar 2019).

შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ გადაიდგას გარკევული ნაბიჯები იმისათვის, რომ მეტ-ნაკლებად ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს პროექციულ მეთოდიკებთან მუშაობა და შერჩევის პროცესში მათი გამოყენება.

ჩვენი კვლევის ფარგლებში შევეცდებით აქცენტი გავაკეთოთ კვლევის ხერხებზე, კერძოდ პროექციულ მეთოდებზე, თუ რამდენად ეფექტურია მათი გამოყენება შერჩევის პროცესში.

პიროვნების საკვლევი ინსტრუმენტები შერჩევის პროცესში

შერჩევის პროცესში გამოყენებული ტესტირებების ისტორია შეგვიძლია დავყოთ ორ დიდ ვატეგორიად, საწყისი ეტაპი, როდესაც აქცენტი კეთდება მხოლოდ დარღვევებზე, ტესტები მიმართულია სხვადასხვა ფსიქოპათოლოგიების გამოვლენაზე. I მსოფლიო ომში სამხედროების შერჩევისათვის შექმნილი ტესტები (The Woodworth's Personal Data Sheet (WPDS)) ინაცვლებს უკვე ფართო, რეკრუტინგის სფეროში Colgate mental hygiene test, Bernreuter Personality Inventory (BPI) ; the Humm-Wadsworth Temperament Scale (HWTS), MMPI). გამომდინარე ამ ტესტების თავისებურებებისა, ხშირად ისინი გამოიყენებოდა ისეთ სფეროში ჰერსონალის შესარჩევად, სადაც მნიშვნელოვანი იყო ემოციური მდგრადობა - სახანძრო, პოლიციელი, მფრინავი და ა.შ. (Gibby, Zickar 2008). მიუხედავად ფართო გამოყენებისა, ადრეული ტესტები ვერ უზრუნველყოფდა შერჩევის პროცესში კანდიდატების გადარჩევას სამუშაოს სპეციფიკის მიხედვით, თუ რამდენად შეეფერებოდნენ ამა თუ იმ ჰობიციას, გარდა ამისა ვერ ხერხდებოდა გრძელვალიანი პროგნოზების სწორად გაკეთება. მაგალითად: ერთ-ერთ კვლევაში მონაწილე 405 თანამშრომელი, რომელიც მიიღეს კონკრეტულ კომპანიაში Woodworth Personal Data Sheet (WPDS) ტესტის მონაცემების მიხედვით, 10 წლის შემდეგ აღმოჩნდა რომ 405 თანამშრომლიდან, მხოლოდ 191 ადამიანიღა იყო დასაქმებული. იმათვან ვინც ჭრ კიდევ კომპანიაში მუშაობდა მხოლოდ 9,4% ჰქონდა სამსახურში აყვანის დროს ტესტირების კარგი შედეგები,

ხოლო სამსახურიდან გათავისუფლებული 75 ადამიანიდან 12% ჰქონდა 10 წლის წინ კარგი რეიტინგი. (Kumar 2019). ასევე, MMPI შემთხვევაში კვლევამ ვერ განასხვავა პრობლემური ქცევის მქონე პოლიციელები და საკონტროლო ჯგუფი ერთმანეთისაგან (Daniels, King 2002), (Scholte, Tiemens, etc. 2012).

და შემდგომი ეტაპი, როდესაც კვლევის ინტერესის სფერო ხდება ადამიანის ნიშან-თვისებები, რომელიც საშუალებას იძლევა ქცევის პროგნოზირებას.

რაიმონდ კეტელის თეორია და მეთოდიკა ეყრდნობა ფაქტორულ ანალიზს. მან ოლპორტისა და ოდბენტის მიერ ლექსიკონიდან პიროვნების თვისებების აღმნიშვნელი 18 ათასი სიტყვიდან მოახდინა გადარჩევა, ანუ ფაქტორული ანალიზის საშუალებით მან გამოყო ფუნდამენტური პიროვნელი ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანის ქცევას ამა თუ იმ სიტუაციაში და შესაძლებლობას იძლევა ვიწინასწარმეტყველოთ ინდივიდის რეაქციები სხვადასხვა გარემოში (Kumar 2019). ნიშნებში იგულისხმება ის, რომ ქცევა დროში მდგრადია და აქვს გარკვეული კანონზომიერება (ხეჩუაშვილი 2013).

ისევე, როგორც კეტელის 16 ფაქტორიანი, ასევე დიდი ხეთეული, რომელიც ფაქტორულ ანალიზსა და პიროვნების ნიშან - თვისებების თეორიას ეყრდნობა (Gibby, Robert, Zickar, Michael 2008), (Salgado 1997). აქტიურად გამოიყენება რეკრუტინგის სფეროში, რადგან წარმატებული აღმოჩნდა სხვადასხვა პროფესიების ადამიანების შერჩევისას, ასევე ხელმძღვანელების, ლიდერების ქცევის პროგნოზირების პროცესში, ვინაიდან ზომავს ისეთ პიროვნელ ნიშნებს, როგორებიცაა სოციალურობა, ლიდერული უნარები და ა.შ. გაყიდვების სფეროში და ასევე, ძალოვან სტრუქტურაშიც პრაქტიკული მნიშვნელობის მქონეა აღნიშნული კითხვარი (Boyle, Matthews, Saklofske 2008).

მიუხედავად იმისა, რომ შერჩევის პროცესი დროთა განმავლობაში ფსიქოპათოლოგიების ძიებიდან გადავიდა პიროვნების ნიშან - თვისებების კვლევაზე, ქცევის პროგნოზირებაზე ჰანმრთელ ადამიანებში და ასევე, მონაცემების დამუშავება სტანდარტიზირებული, ყველასათვის ხელმისაწვდომი გზით ხორციელდება და მაქსიმალურად ობიექტურია, რესპონდენტის კვლევის შედეგებზე, მაინც შეიძლება რამდენიმე ფაქტორმა მოახდინოს გავლენა და მთავარი არის რესპონდენტის მიერ შედეგების გაყალბება. შეიძლება მან დაბალი თვითცნობიერების გამო ადევქატურად და ზუსტად ვერ გასცეს პასუხი დებულებებს, ასევე კანდიდატმა შეიძლება განზრას შემთხვევითობის პრინციპით გააყალბოს პასუხები, სტაბილურად დადებით ან უარყოფითი პასუხები გასცეს და ამით გამოხატოს კვლევაში მონაწილეობაზე უარი, შრჩევის პროცესში ყველაზე „ლოგიკური“ გაყალბება იქნება მოტივაციური, როდესაც კანდიდატი სოციალურად მისაღებ ან უშეალოდ სამეშაო პოზიციისათვის მისაღებ პასუხებს არჩევს და რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც პასუხები არის არაბუსტი (Furnham 1990). კითხვარებში საკონტროლო სკალებისა და შემნიღბავი კითხვების არსებობის მიუხედავად, ის ფაქტი, რომ რესპონდენტებს შეუძლიათ განზრას წარმატებით გააყალბონ შედეგები კვლევებმაც დაადასტურა, სადაც კანდიდატს აძლევენ კონკრეტულ ინსტრუქციას, მიიღოს მაღალი ქცევები ამათუ იმ სკალაზე (Viswesvaran, Chockalingam, Deni 1999). ამიტომ ღია რჩება აღნიშნული საკითხი, რადგან არსებობს კვლევები, რომლის მიხედვითაც გაყალბებამ გავლენა იქონია მონაწილეობაზე რეიტინგზე (Hartman, Nathan, Grubb III, Walter 2011).

შერჩევის პროცესში პიროვნების საკვლევი ტესტების ამ მთავარი პრობლემის კომპენსირებას შეიძლება წარმატებით ახდენდეს პროექციული მეთოდიკები, რომელსაც არ აქვს წინასწარ მოცემული პასუხების ვარიანტები, სტიმული არის ბუნდოვანი, რაც საშუალებას იძლევა კვლევაში მონაწილე პირი თავისუფალი იყოს სოციალური გავლენებისგან.

პროექცია, როგორც ცნება გვხვდება ფრონტიდის ნაშრომებში, ეს არის დაცვის მექანიზმი, როდესაც ადამიანი საკუთარ თვისებებს, თუ იმპულსებს სხვა ადამიანს მიაწერს. პროექციულ მეთოდიკებს ფსიქოანალიტიკოსები იყენებდნენ თავდაპირველად, კლინიკურ პრაქტიკაში ფსიქოპათოლოგიების გამოსავლენად, სხვადასხვა ამლილოების დიაგნოსტიკურისათვის (ხეჩუაშვილი 2013). პროექციული მეთოდიკების კლასიფიკაცია შეგვიძლია მათ სპეციფიკურობიდან გამომდინარე გავაკეთოთ, საერთო ყველას აქვს ის, რომ რესპონდენტს ეძლევა არასტრუქტურირებული, ბუნდოვანი მასალა და ამ სტიმულებზე პასუხის გაცემის პროცესში საკუთარ პიროვნელ ასპექტებს აპროცერებს, გადააქვს საკუთარი კონფლიქტები, ღირებულებები, თუ ნიშან-თვისებები (ხეჩუაშვილი 2013). რა თქმა უნდა, პროექციული მეთოდიკების დამუშავებისას არის რამდენიმე საკითხი, რაც კითხვის ნიშანს აჩენს: სტანდარტიზირების, მიღებული მასალის ინტერპრეტირების კონკრეტული პროცედურის არ არსებობა. შესაბამისად, ეს პროცესი სრულად დამოკიდებულია მკლევარის გამოცდილებასა და პროფესიონალური მეცნიერების (ხეჩუაშვილი 2013). სირთულეს წარმოადგენს ასევე ის, რომ ნახატის ინდივიდუალური თავისებურებები შეიძლება მოიცავდეს ძალიან ფართო სპექტრს, იყოს უნიკალური თავის მხრივ ყველა მომდევნო შედეგი (Vass, Zoltan 2012).

ნახატის ინტერპრეტირება ბევრი სხვადასხვა თეორიის მიხედვით არის შესაძლებელი. იქნება ეს,

გეშტალტი, ფსიქოანალიზი, ფუნქციონალიზმი თუ სხვა. მეცნიერთა უმრავლესობა მაინც ჰოლისტურ მიდგომას ამჟამინებს. ასევე, უამრავი განსხვავებული გზა არსებობს მონაცემების ინტეგირებისა და დამუშავებისათვის. ეს დამოკიდებულია თუ რას ეყრდნობა მკლევები, იქნება ეს ნახატის დეტალებს, რომლებიც ასოციაციურად ქმნიან ერთ მთლიან ჰიპოთეზას თუ მთლიანი სურათის აღქმა (Chavez, Gladys 2017), (Vass, Zoltan 2012).

უშუალოდ შერჩევის პროცესში პროექციული მეთოდიკების გამოყენების შესახებ მწირი კვლევები არსებობს. პროექციული მეთოდი წარმატებით მუშაობს თუ კი იგი გამოცდილი მკვლევარის ხელშია. ამ დროს სუბიექტური ფაქტორისა და სხვა რისკებისგან მაქსიმალურად თავისუფალია კვლევის შედეგები და ასევე, ასრულად აღმოფხვრილია ის ფაქტორი, რაც კითხვარების შემთხვევაში არსებობს, ტესტის გაყალბება კვლევაში მონაწილე ჰირის მიერ (Janetius, Varma, Shilpa 2019).

პლევის გედეგების მიმოხილვა

ჩვენი კვლევის მიზანია შევამოწმოთ რამდენად ხდება ამ ორი მეთოდიკის ხავეზების კომპენსაცია, როდესაც ტარდება ერთდროულად. იგულისხმება, ერთის მხრივ, კითხვარში არსებული გაყალბების საშიშროება და პროექციული მეთოდის ინტერპრეტირებისას სუბიექტური, მცდარი დასკვნების გაკეთების რისკი.

კვლევის ჰიპოთეზები: კითხვარის საშუალებით მიღებული ნიშვნელოვანი ტენდენციები (პიროვნული ნიშნები) და პროექციული მეთოდით გამოკვეთილი ნიშნები თანხვედრაშია ერთმანეთთან.

კითხვარში სიცრუის მაღალი მაჩვენებლის შემთხვევაში გაყალბებული ფაქტორები წამყვან ნიშნებად გვევლინება პროექციულ მეთოდიკაში.

პროექციულ მეთოდად გამოყენებულია ავტოპორტრეტი, ხოლო კითხვარის შემთხვევაში გამოყენებულია კეტელის 16 ფაქტორიანი ტესტი, შემოკლებული ვერსია (105 კითხვა). კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ასაკის 50 ადამიანმა.

ავტორპორტრეტის დამუშავების მეთოდოლოგია: ვინაიდან კვლევა არ ჩატარებულა რამდენიმე ექსპერტის მიერ, მეტი ობიექტურობისათვის, ნახატები ინტერპრეტირებულია პროექციული ნახატების მრავალდონიანი ანალიზის მიხედვით (Hensel Owen Ward (Jr) 1990). თავდაპირველად ნახატებში მოხდა სხვადასხვა ტენდენციების კვლებით და აღნერით სტატისტიკის საშუალებით მოხდა 16 ფაქტორიანი კითხვარის შედეგებისა და ავტოპორტრეტის შედეგებს შორის იდენტური ტენდენციების დათვლა: მაგალითად, კეტელის A ფაქტორი (კონტაქტურობა - ჩავეტილობა) ავტოპორტრეტში შეესაბამებოდა გაშლილ ხელებს, გამოკვეთილ თითებს; ფაქტორი O (მაღალი ქულების შემთხვევაში - შფორთვა) - ავტორპორტრეტზე წყვეტილ შტრიხებს. დომინატურობა (E) შეესაბამებოდა დიდი ზომის ნახატს, მკვეთრ ერთიან ხაზებს. ავტოპორტრეტში გამოკვეთილი თვალები და წარბები შეესაბამებოდა კითხვარის ეჭვიანობის, სიფრთხილის და შფორთვის მაჩვენებელს; დახუჭლი, ან პატარა თალები კი ჰირიქით, ჩავეტილობა, ინტროვერტული ტენდენციების მიანიშნებდა. გამოკვეთილი წამნამები, სხვადასხვა აქსესუარი უფრო მეტად მგრძნობელობას, არტისტულობას შეესაბამებოდა კითხვარში.

16 ფაქტორიანი კითხვარით მიღებული შედეგების 56% ჰქონდა სიცრუის მაღალი მაჩვენებელი: MD – 8.7 (საშუალო). მაღალი სიცრუის შედეგების მქონე პროფილების 70% - ში, ის ფაქტორები (ნიშან-თვისებები), რომლებიც ნორმის ზღვარში ჭდებოდა, ავტოპორტრეტის შემთხვევაში ჰირიქით, წამყვან პოზიციას იკავებდა ტენდენციებში.

16 ფაქტორიანი კითხვარით მიღებული შედეგები, რომლებიც თავისუფალი იყო სოციალური გავლენებისგან და დაბალი იყო სიცრუე, ავტოპორტრეტთან შედარებისას პროფილების 85% - ში იდენტური ნიშან- თვისებები გამოვლინდა.

დასკვნა და რეპომენდაციები

ამრიგად, კონკრეტული კვლევის შედეგად შეგიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნულ შერჩევაში ნიშან-თვისებების დიდი ნაწილი ორივე მეთოდიკაში იდენტურია და რომ ხშირად ერთ მიზანზე გავყვართ. ხოლო, რაც შეეხება მაღალი სიცრუის მქონე კითხვარებისა და ავტორპორტრეტის შედარებისას, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ავტოპორტრეტი ახდენს კომპენსირებას იმ მონაცემების, რომლებიც კვლევაში მონაწილე ჰირმა ნებით თუ უნებლივებ დაამახინჯა. რაც ნიშნავს იმას, რომ ავტოპორტრეტი მეტ-ნაკლებად თავისუფალია სოციალური გავლენებისაგან, ჰიროვნების დაცვებისგან და უფრო მეტად ნათელ სურათს იძლევა.

აქედან გამომდინარე, ორივე მეთოდიკის კომპლექსურად გამოყენება იძლევა უფრო სრულყოფილი

შედეგების მიღების საშუალებას და რაც მთავარია, გაყალბებული შედეგების გადამოწმების საშუალებას. იმისათვის, რომ აღნიშნული შედეგების გადატანა შეგვეძლოს უფრო ფართო მასებზე და შევამონმოთ შედეგების სტატისტიკური მნიშვნელოვნობა, სასურველია კვლევა განხორციელდეს უფრო დიდ შერჩევაზე და ობიექტურობის გასამყარებლად კვლევაში მოანწილეობდეს რამდენიმე ექსპერტი, რომლებიც პროექციულ მეთოდიკას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ერთდროულად დაამუშავებენ.

გამოყენებული ლიტერატურა

- ხეჩუაშვილი ლილი. „პიროვნება. შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში”, თბილისი, 2013 წელი.
- Barrick, M. R., & Mount, M. K. Effects of impression management and self-deception on the predictive validity of personality constructs. *Journal of Applied Psychology*, (1996). 81(3), 261–272. <https://doi.org/10.1037/0021-9010.81.3.261>
- G. J. Boyle, G. Matthews, & D. H. Saklofske (Eds.). *The SAGE handbook of personality theory and assessment*, Vol. 2. Personality measurement and testing (p. 135–159). Sage Publications, Inc. <https://doi.org/10.4135/9781849200479.n7>
- Castille, Christopher & Castille, Ann-Marie & Smith, Rachel. Assessing Ideal Personalities at Work: Is it all Just a Little Bit of History Repeating? (2019). 10.31219/osf.io/qan42.
- Chavez de, Gladys Ann. Inter-rater Consistency of the Draw-a-Person Test's Scoring and Interpretation Processes: Evaluation of Experts' Manual Interpretation, (2017), 10.13140/RG.2.2.31854.00320.
- Furnham, A. Faking personality questionnaires: Fabricating different profiles for different purposes. *Current Psychology* 9, 46–55 (1990). <https://doi.org/10.1007/BF02686767>.
- Gibby, R. E., & Zickar, M. J. A history of the early days of personality testing in American industry: An obsession with adjustment. *History of Psychology*, (2008), 11(3), 164–184.
- Goldberg LR. An alternative “description of personality”: the big-five factor structure. *J Pers Soc Psychol*. (1990) Dec;59(6):1216-29. doi: 10.1037/0022-3514.59.6.1216. PMID: 2283588.
- Hartman, Nathan & Grubb III, Walter. Deliberate faking on personality and emotional intelligence measures. *Psychological reports*, (2011), 108. 120-38. 10.2466/03.09.28.PRO.108.1.120-138
- Hensel Owen Ward (Jr). Multilevel Analysis of Projective Drawings: A Wholistic Validation Study, Cincinnati, Union Institute, 1990.
- Janetius S.T, P Varma & Shilpa S. Projective tests in human resource management and hiring process: a challenge and a boon. *International Journal of Indian Psychology*, (2019)7(4), 258-265. DIP:18.01.027/20190704, DOI:10.25215/0704.027.
- Kumar, Riya. The Use of Personality Testing in Personnel Selection, (2019), CMC Senior Theses. 2038. https://scholarship.claremont.edu/cmc_theses/2038
- Murray R. Barrick, Michael K. Mount and Timothy A. Judge. Personality and Performance at the Beginning of the New Millennium: What Do We Know and Where Do We Go Next? (2001) <https://onlinelibrary.wiley.com/doi/pdf/10.1111/1468-2389.00160>
- Salgado JF. The Five Factor Model of personality and job performance in the European Community. (1997), *J Appl Psychol*, 82(1):30-43. doi: 10.1037/0021-9010.82.1.30. PMID: 9119797.
- Scholte, W., Tiemens, B., Verheul, R., Meerman, A., Egger, J., & Hutschemaekers, G. The RC scales predict psychotherapy outcomes: The predictive validity of the MMPI-2's restructured clinical scales for psychotherapeutic outcomes. *Personality and Mental Health*. (2012), 6(4), 292–302. <https://doi.org/10.1002/pmh.1190>
- Suzanne Daniels; Emily. Predictive Validity of MMPI-2 Content Scales for Small-Town Police Officer Performance King Journal of Police and Criminal Psychology Volume: 17 Issue: 2 Dated: Fall 2002 Pages: 54-62 <https://www.ojp.gov/ncjrs/virtual-library/abstracts/predictive-validity-mmпи-2-content-scales-small-town-police-officer>
- Vass, Zoltan. A general method of configuration analysis in projective tests. (2012), https://www.researchgate.net/publication/252325985_A_general_method_of_configuration_analysis_in_projective_tests
- Varma, Pooja & S, Shilpa & Janetius, Professor. Projective tests in human resource management and hiring process: a challenge and a boon. *The International Journal of Indian Psychology*. (2019) 7. 258-265. 10.25215/0704.027.
- Viswesvaran, Chockalingam (Vish) & Ones, Deniz. Meta-Analyses of Fakability Estimates: Implications for Personality Measurement. *Educational and Psychological Measurement - EDUC PSYCHOL MEAS*. (1999), 59. 197-210. 10.1177/00131649921969802).

სამხედრო ფსიქოლოგია და მისი მნიშვნელობა

ეპათერიზე სულუხია

სოციალური გეცნიერებების აკადემიური დოკტორი,
თბილისის ჰუნანითარული სასამართლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

პირაკონის მნიშვნელობა

შეიძლება მალები წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმს ნებისმიერი სახელმწიფოს უსაფრთხოების სფეროში. მის ეფექტურობაზე და სიძლიერეზე ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფოს უსაფრთხოება. აქედან გამომდინარე, ყველა ქვეყანა შეირაღებულ ძალებს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს ანიჭებს. ამ სტატიის მიზანია ამ დარგის მნიშვნელობის გაცნობა, თუ რამდენად აუცილებელია ამ სფეროს განვითარება ჩვენი ქვეყნისთვის, რათა ჰყავდეს ვარგად გაწროვნილი, ფსიქოლოგიურად სწორად ჩამოყალიბებული შეიძლება რამდენად გააძლიერდება ჩვენი, არამედ ყველა ქვეყნის ძირითადი ხერხემალია. მოკლედ გავეცნოთ თუ რამხელა ყურადღება ეთმობა სხვა ქვეყნებში სამხედრო ფსიქოლოგიის განვითარებას. ჩვენი ჟარი ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება, ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანია იმ ცოდნის გაზიარება, რომელიც მრავალწლიანი გამოცდილებისა და ტრადიციების მქონე სხვადასხვა ქვეყნის შეიძლებულ ძალებს გააჩნიათ, და არა მხოლოდ საბრძოლო მომზადებისა და ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით. ქვეყნის დავდაცვის უნარიანობისთვის საჭირო ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა მნიშვნელოვანად არის განვირობებული შესაბამის ქვედანაყოფთა არა მხოლოდ სამხედრო-საბრძოლო თვისებებით, რომლებიც პროფესიულ წრთვნას უკავშირდება, არამედ სოციალური, ფსიქოლოგიური და პიროვნული მახასიათებლებითაც.

საქართველოს სიმყვაბი:

სამხედრო ფსიქოლოგია, შეიძლება მალები, კარისვაცი, სამხედრო-ფსიქოლოგიური პრობლემები, მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადება.

MILITARY PSYCHOLOGY AND ITS MEANING

EKATERINE SULUKHIA
ACADEMIC DOCTOR IN SOCIAL SCIENCES.
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY
ASSOCIATED PROFESSOR

ABSTRACT

The Armed Forces is one of the key mechanisms in the security of any state. The security of the state depends a lot on its effectiveness and strength. Therefore, every country prioritizes the armed forces as one of its top priorities. The purpose of this article is to understand the importance of this field, how necessary it is for the development of this field for our country to have a well-trained, psychologically well-formed armed forces, which is the main backbone of not only us, but all countries. Let us briefly look at how much attention is paid to the development of military psychology in other countries. Our troops are in the process of formation, so it is important for them to share the knowledge of the armed forces of different countries with many years of experience and traditions. The successful solution of the tasks required for the defense capabilities of the country is significantly conditioned not only by the military-combat qualities of the relevant units, which are related to professional training, but also by the social, psychological and personal characteristics.

KEYWORDS:

Military Psychology, Armed Forces, Soldier, Military-Psychological Problems, Moral-Psychological Training.

შეიარაღებული ძალები წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმს ნებისმიერი სახელმწიფოს უსაფრთხოების სფეროში. მის ეფექტურობაზე და სიძლიერებზე ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფოს უსაფრთხოება. აქედან გამომდინარე, ყველა ქვეყანა შეირაღებულ ძალებს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს ანიჭებს.[1]

აშშ-მ სხვა მრავალ ქვეყანასთან ერთად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სამხედრო ფსიქოლოგის განვითარებაში. ქართულ არმიაში ამ მიმართულებას მხოლოდ ახლა ეყრება საფუძველი და სამწუხაროდ ჩვენში ძალიან ბევრს არა აქვს გაცნობიერებული მოცემული სფეროს მნიშვნელობა ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობასა და განვითარებაში.

ჩვენი მიზანია მოკლედ განვიხილოთ სამხედრო ფსიქოლოგის არსი და მისი დანიშნულება. განვიხილოთ ეს სფერო სხვა ქვეყნებში.

სამხედრო ფსიქოლოგია - ეს არის ფსიქოლოგიის გამოყენებითი დარგი, რომელიც შეისწავლის ადამიანის ფსიქიკის თავისებურებებს საომარი მდგომარეობის დროს, სამხედრო კოლექტივის პირობებსა და სამხედრო მომზადების დროს. სამხედრო ფსიქოლოგიის მთავარი ამოცანაა - საბრძოლო მეთოდების შემუშავება, მებრძოლების ფსიქიკის მდგრადობის გამყარება განსხვავებულ ექსტრემალურ სიტუაციებში, ჰარისკაცების მორალური მომზადება. ასევე შეისწავლება სხვადასხვა მეთოდები მებრძოლების მოსამზადებლად.[2].

რეფორმირებული არმიის ჩამოყალიბებისთვის, სამხედრო ფსიქოლოგები, რომლებიც მუშაობენ სამხედრო ბაზებზე, ცდილობენ იმუშაონ სამხედროებთან, აუცილებელია ჰარისკაცების ადაპტირების უზრუნველყოფა სამხედრო პირობებთან შესაგეებლად. სამხედრო სამსახურის დროს წარმატებულობა დამოკიდებულია ჰარისკაცის პიროვნების ადაპტაციაზე სამსახურში[3].

სამხედრო ფსიქოლოგიის მიმართულება შესაძლებელია არის ფსიქოლოგიის ყველაზე შეუსწავლელი მიმართულება, ის განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში. ეს დამოკიდებულია იმაზე, რომ სხვადასხვა ქვეყნებს განსხვავებული შეიარაღებული ძალები ჰყავთ. ამიტომ, სამხედრო ფსიქოლოგიაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი მიმართულებები: ავიაციური ფსიქოლოგია, სამხედრო-საზღვაო ძალების ფსიქოლოგია, შინაგან საქმეთა განცყოფილების ფსიქოლოგია.

სამხედრო ფსიქოლოგია ვითარდება სამხედრო მეცნიერებების ჩარჩოში, ამასთან ეყრდნობა ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებს, ძირითადად პრაქტიკულ და ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას, შრომის ფსიქოლოგიას, ფსიქოფიზიოლოგიას და ფსიქოდიაგნოსტიკას.

- ისტორიულ რაციურსში სამხედრო ფსიქოლოგია ვითარდებოდა ოთხი ძირითადი მიმართულებით. ესენია:
1. პიროვნების ფსიქოლოგია (მებრძოლი, მეთაური, ოფიცერი).
 2. ურთიერთობის ფსიქოლოგია (ქვედანაყოფის ურთიერთობები).
 3. პრაქტიკოლოგია (ქმედების ფსიქოლოგია მშვიდობიანობისა და ომის დროს).
 4. ჰარისკაცისა და ბრძოლის ფსიქოლოგია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხედრო ფსიქოლოგიის მიღწევები ძალიან გაიზარდა. განსაკუთრებით აშშ-სა და გერმანიაში, სადაც ეს სფერო საკმაოდ გასაიდუმლობებულია. კვლევები ამ სფეროში ტარდება სხვადასხვა სამხედრო ორგანიზაციების მეთვაყურეობის ქვეშ, სხვადასხვა სამხედრო და პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტების მიერ და სპეციალიზებული კორპორაციების მიერ, რომლებიც შექმნილია ამ კვლევებისთვის. აღსანიშნავია ამ საკითხთან დაკავშირებით NATO-ს სააგენტოს მუშაობა.

ამ დროისათვის სამხედრო ფსიქოლოგიის შიგნით გამოიკვეთა ისეთი თანამედროვე კვლევითი მიმართულებები, როგორიცაა: საბრძოლო მდგომარეობის ფსიქოლოგია, სამხედრო კომფლიქტოლოგია, ჰარისკაცათა ფსიქოლოგიური მომზადება, სამხედრო ფსიქოთერაპია, სამხედრო უსაფრთხოების ფსიქოლოგია და სხვა.

საბრძოლო ქმედებების დაწყება, თანამედროვე პირობებში მოითხოვს ჰარისკაცის მაღალ მორალურ-ფსიქოლოგიურ და ფსიქოფიზიოლოგიურ მდგომარეობას. გადაჭარბებული უყრადღება სამხედრო პერსონალის პროფესიული ქმედებისადმი ფსიქოფიზიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით, პირველ რიგში აისწნება თანამედროვე არმიის მოთხოვნილებებით, საჭარისო ნაწილების ფორმირებისა და სამხედროების ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით. უკანასკნელი მონაცემები მომზობენ, რომ დანაციონიზების და საჭარისო ნაწილების ბრძოლისუნარიანობა 65% განპირობებულია ფუნქციონალური მდგომარეობით და ჰარისკაცის ორგანიზმის ფსიქოფიზიოლოგიური რეზერვით და მხოლოდ 35% დამოკიდებულია სამხედროს ტექნიკურ მომზადებაზე.[4].

დასავლეთის ქვეყნებში სამხედრო ფსიქოლოგია, როგორც საკუთრივ მეცნიერება ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. და შემდგომში მიაღწია დიდ განვითარებას სხვადასხვა მიმართულებებში. სამხედრო-ფსიქოლოგიური კვლევები დაიწყო ჟარის ბრძოლის უნიტარული ამაღლებისათვის.

ფსიქოლოგიური მეცნიერებების უდიდესი პოტენციალი კონცენტრირებულია აშშ-ში, სადაც დაახლოებით 400 ათასი სპეციალისტი მუშაობს, რომლებსაც გააჩნიათ ფსიქოლოგიური განათლება. ამჟამად აშშ-ს აქვს ორგანიზაციების ფართოდ განშტოებული სისტემა და ინსტიტუტები, რომლებიც ჩართულია სამხედრო პოლიტიკურ კვლევებში. ამათგან დაახლოებით 80 ფაქტორივად შედის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. ამასთანავე, დაახლოებით 100 სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ათეულობით უნივერსიტეტები, კერძო კვლევითი ინსტიტუტები, სპეციალიზებული საავადმყოფოები და ლაბორატორიები მუშაობენ პენტაგონის კონტრაქტით. აშშ-ს სამხედრო შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედის 8000 დიპლომირებული ფსიქოლოგი (5000 სამხედრო, 3000 სამოქალაქო). ყველდღიურად სამსახურს იწყებს 800 ახალი სპეციალისტი. აშშ-ის სამხედრო ფსიქოლოგის ძირითადი მიმართულებებია თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები. რაც მდგომარეობს:

- სამხედრო პერსონალის მომზადება საბრძოლო ქმედებებისათვის. ქვედანაყოფის ფორმირება და ჩამოყალიბება.

- შემადგენლობის ქვევის მართვა მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს. ტექნიკითა და იარაღით აღჭურვა.

- სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებები საკუთარ სამხედროებზე, მეცნიერებებზე, ასე ვე შესაძლო მოწინააღმდეგებზე.

- პროფესიული, ფსიქოლოგიური შერჩევა(პიროვნული რესურსების შესწავლა, ფსიქოლოგიური ტესტები, ჰარისკაცთა სისტემური კლასიფიკაცია, საკადრო გადაადგილებები).

სამხედრო-ფსიქოლოგიური პრობლემებზე შეიარაღებული ძალებისთვის მუშაობენ შემდეგი დაწესებულებები:

შეიარაღებული ძალების კვლევის ცენტრი (შედგება 7 კვლევითი ცენტრისაგან, განთავსებულია ხუთ შტატში). დაწესებულება შედგება 275 შტატიანი თანამშრომლისაგან და 100-მდე პრაქტიკანტი სტუდენტისაგან.

სამხედრო ფსიქოლოგიური კვლევები ტარდება კვლევით ინსტიტუტებში, კვლევით და სამედიცინო ცენტრებში, სპეციალიზირებულ ლაბორატორიებში და საექსპერიმენტო ნაწილებში. ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევები ტარდება BBC-ის კვლევით ცენტრში რომელიც შედგება 8 განყოფილებისაგან და გააჩნია დაქვემდებარებული კვლევითი ცენტრები ჩიკაგოში, ბოსტონში, პასდენეში. ძირითადი კვლევითი ნაწილი სრულდება ქვეყნის უნივერსიტეტების დაკვეთით. აშშ-ის არცერთი სფერო ისე არ თანამშრომლობს ფსიქოლოგიასთან როგორც სამხედრო სფერო. შეიარაღებული ძალები ასრულებენ ლაბორატორიის როლს ფსიქოლოგის დარგში, სამხედრო დეპარტამენტები - ეს არის ძლიერი იმპულსი ფსიქოლოგიური კვლევების ჩატარებისათვის და ხელშეწყობისათვის. ამერიკელი ფსიქოლოგების აზრით სამხედრო ფსიქოლოგიის სფერო არ განისაზღვრება ჩვეულებრივი ტექნიკური საკითხებით და არც ბოგადსაკაცობრიო პრობლემატიკით.

სამხედრო ფსიქოლოგიას უკეთესია შევხედოთ, როგორც გამოყენებით მეცნიერებას, რომელიც შედის სამხედრო დეპარტამენტების ინტერესებში. არ უნდა დავივინებოთ, რომ მეთოდოლოგიური საფუძვლებით სამხედრო ფსიქოლოგიის განვითარებაში აშშ-ში ხელი შეუწყო ფილოსოფიური პრაგმატიზმის პოსტულატებმა. ამერიკელების პრაგმატულობამ ზეგავლენა მოახდინა სამხედრო-ფსიქოლოგიური კვლევების ხასიათზე და მიმართულებაზე. შეიარაღებულ ძალებში ფსიქოთერაპიული პრობლემები და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციასთან დაკავშირებული კითხვებისშირადგადაიჭრება სამოქალაქოსამედიცინო დაწესებულებებში და ფსიქოლოგიურ ცენტრებში, რომლებსაც კონტრაქტი აქვთ გაფორმებული ცენტრებისათვის. სამხედრო-ფსიქოლოგიური კვლევაში პრიორიტეტული მიმართულება არის სამხედრო დეპარტამენტების დაკვეთა. ამ სოციალური დაკვეთის პრაგმატიზმი მდგომარეობს იმაში, რომ ფინანსდება მხოლოდ ის კვლევითი პროექტები, რომლებსაც მოკლედ დროში შეუძლიათ მოიტანონ რეალური ფინანსური მოგება. საიდუსტრიაციოდ განვითარებულ სამხედრო-ფსიქოლოგიური კვლევების სამი ძირითადი მიმართულება: შერჩევა და კლასიფიკაცია, ტრენინგი და ადამიანური ფაქტორი. თუმცა ამ მიმართულებით ტარდება მნიშვნელოვანი კვლევითი სამუშაოები, მაგრამ მაინც არ შეიძლება შემოიფარგლოს სამხედრო-ფსიქოლოგიური კვლევები მხოლოდ ამ მიმართულებით, კვლევები ტარდება ფსიქიატრიასა და კლინიკური ფსიქოლოგიის კუთხითაც. ამერიკელი სპეციალისტების აზრით, განხილული მიმართულებები არ არის გარვეულნილად გამომრიცხავი, საკმაოდ პრობლემურია შერჩევისათვის ჩატარებული სამუშაოს ანალიზი, ტრენინგი ან ადამიანური ფაქტორების შესწავლა, ეს ყველა მიმართულება ემსახურება პერსონალის შესაძლებლობების ეფექტურ გამოყენებას.

როდესაც შესაძლებელია შერჩევისა და კლასიფიკაციის პროცედურების სრულყოფა, მაშინ ჭარისკაცები სწორად არიან შერჩეულნი სპეციალობების მიხედვით, სწავლობენ უფრო ეფექტურად. ტრენინგის სისტემის გაუმჯობესების დროს შესაძლებელია სწავლების კომპლექსური სისტემის გამოყენება. თუ კონსულტირების დროს პირველ რიგში ყურადღება ექცევა პიროვნების მოთხოვნილებესა და შესაძლებლობებს, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ტრენინგისა და შერჩევის ეფექტურობის ამაღლება. მაშ ასე, შეჩევა, ტრენინგი და ადამიანური ფაქტორი - ეს არის მიმართულება, რომელიც არჩეული პერსონალის ინტეგრირებული სისტემის ფორმირებას აწარმოებს. აშშ-ის არმია ყოველწლიურად ხარჯავს 2 მილიარდ დოლარს ჭარისკაცთა შერჩევასა და მომზადებაზე. ამ ხაჯების ეკონომიის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი არის საჭარისო ნაწილებში მაღალკავლიფიციური კადრის მიღება.

გერმანიაში სამხედრო ფსიქოლოგია ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისათვის ჭარში საჭირო გახდა ფსიქოლოგიური მეცნიერებისთვის უპირატესობის მინიჭება.

სამხედრო ფსიქოლოგის განვითარება პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მონაწილეობა მიიღო კურტ ლევინმა, რომელმაც ანალიზი გაუკეთა ჭარისკაცების მიერ ჩატარებულს საველე ბრძოლას, მან დაასკვნა შინაგანი სქემის გეშტალტის არსებობა, რომელსაც განაგებს ადამიანის მიერ შეძენილი შთაბეჭდილებები და გამოცდილება. 30-იან-40-იან წლებში დიდი წვლილი სახელმწიფო ნაციონალური პოლიტიკის განვითარებაში შეიტანა ვარლ იუნგმა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბუნდესვერში ჩამოყალიბდა სამხედრო ფსიქოლოგია, რომელიც ემსახურებოდა აგრესიული ჭარის მომზადებას. ამ პერიოდში დასავლეთ გერმანიის სამხედრო ფსიქოლოგები მუშაობდნენ პირადი შემადგენლობის პოლიტიკურ დამუშავებაზე, საბრძოლო მოქმედების ანალიზზე. დიდი ყურადღება ეთმობოდა საჭარისო ნაწილების მომზადებას. გამოიკვეთა ფსიქოლოგიური ზეგავლენის პრობლემა ბირთვული აფეთქების ფსიქიკაზე და ჭარისკაცთა ქცევაზე. 1965 წლიდან დაინერგა ყველა პიროვნების ტესტირება, რომლებსაც სურდათ სამხედრო სამსახურში მუშაობა. სამხედრო-ფსიქოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად ამ პერიოდში შეიქმნა ფსიქოლოგის ერთ-ერთი დარგი სამხედრო ფსიქოლოგია, რომელიც კოორდინირებას უწევდა კვლევითი ინსტიტუტის მუშაობას და რიგ ლაბორატორიებს.

ამჟამად, გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობა დიდი დროს უთმობს ადამიანური ფაქტორის გამოყენებას ჭარში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჭარისკაცების მორალურ-ფსიქოლოგიურ მზაობას და უზრუნველყოფას.

მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დავალებად განიხილება ჭარისკაცთა ერთმანეთთან ურთიერთობა, რაც ემსახურება სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ბრძანებების გაცემა ბუნდესვერში სრულიად ესადაგება პატარა დანაყოფების დაკომპლექტებას, ეს მიზანი საკმაოდ წარმატებულია დანაყოფების დაკომპლექტების პრაქტიკაში. ბუნდესვერის მორალურ-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის სხვა მიმართულება არის ე.წ. „ფსიქოლოგიური დაცვა“ დაცვალებით: საკუთარი ჭარის დაცვა მოწინააღმდეგისაგან. ბუნდესვერის აკადემიაში, ამ კურსის გავლა აუცილებელია ოფიცრებისათვის.

ჭარისკაცთა მომზადებისათვის გერმანიაში ფუნქციონირებს „ფსიქოლოგიური დაცვის“ აკადემია. ეს აკადემია განიხილება, როგორც ცერნტრალური დანესტებულება გერმანიის შეიარაღებული ძალებისათვის, სადაც ასევე ეწევიან კვლევით სამუშაოებს რათა წარმატებული იყოს ჭარისკაცთა სამსახური.

სამხედრო-პოლიტიკური ანალიზის დეპარტამენტი ეწევა სამხედრო პოლიტიკის კვლევებს, ბუნდესვერის მორალურ-ფსიქოლოგიური გარემოს შეფასებებს ქვეყანაში, სავარაუდო მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიურ ანალიზს, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს. ამ დეპარტამენტში ტარდება მრავალი შეხვედრა და ტრენინგი უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული, ამ საკითხში კომპეტენტური სამხედრო მოღვაწეებისათვის, ასევე NATO-ს მიერ ოგანიზებული სხვადასხვა სახის კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები.

ამ დეპარტამენტის თანამშრომლები საუბრობენ ანალიტიკურ და ინფორმაციულ მასალებზე. ეს მასალები გამოიყენება ბუნდესვერის პირადი შემადგენლობის იდეოლოგიური დამუშავებისათვის.

აკადემიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა თეორიული და პრაქტიკული მეცანიერებების ორგანიზება, რომელიც მიღებულია NATO-ს სტანდარტებით.

კადრის მომზადების პროცესში განიხილება ისეთი საკითხები როგორიცაა: მოლაპარაკებების დროს თავდაჭრა, უსტიკულაციებზე ყურადღების მიქცევა, გარეგნული გამომეტყველება, სხეულის მართვა.

ყოველწლიურად NATO-ს ეგიდით ტარდება სიმპოზიუმი სამხედრო ფსიქოლოგის პრობლემებზე, მორალურ-ფსიქოლოგიურ უზრუნველყოფაზე და კადრის შერჩევებზე.

საზღვარგარეთის უურნალებში დაიბეჭდა მონაცემები რომლებშიც აღნელია, რომ ბუნდესვერში იყენებენ

ფსიქოლოგიურ მეთოდებს, როგორიცაა: თვითრეგულაცია, მედიტაცია, ექტრასენსია. დღესდღეობით ბუნდესვერი კვლავ წარმატებით მუშაობს სამხედროების მორალურ-ფსიქოლოგიურ და მორალურ-პოლიტიკურ განათლებაზე, რაც უზრუნველყობს სამხედროების მაღალ პროფესიონალიზმს. [5].

ჩვენი კარი ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება, ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანია იმ ცოდნის გაზიარება, რომელიც მრავალნაირი გამოცდილებისა და ტრადიციების მქონე სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს გააჩნიათ, და არა მხოლოდ საბრძოლო მომზადებისა და ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით. ქვეყნის დავდაცვის უნარიანობისთვის საჭირო ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის განპირობებული შესაბამის ქვედანაყოფთა არა მხოლოდ სამხედრო-საბრძოლო თვისებებით, რომელიც პროფესიულ წრთვის უკავშირდება, არამედ სოციალური, ფსიქოლოგიური და პიროვნული მახასიათებლებითაც. კარგად გაწრთვნილი, ურთიერთშეთანხმებული და ერთ გუნდად შეკრული მებრძოლებისაგან შემდგარი სამხედრო ქვედანაყოფის არსებობა გულისხმობს მეომართა შესაბამის ფიზიკურ მომზადებას, მათ გონიეროვ განვითარებას, იარაღის კარგად ფლობას, კავშირგაბმულობის თანამედროვე ელექტრონულ და კომპიუტერულ საშუალებებთან თავისუფლად მუშაობის უნარებს და ა.შ. მაგრამ, ამავე დროს, არანაკლებ მნიშვნელოვანია მებრძოლების კარგი მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადება. ეს ნიშნავს, რომ ჟერ ერთი, მეომარს უნდა ჰქონდეს იდეოლოგია, მან უნდა იცოდეს, რატომ და რისთვის აკეთებს თავის სამუშაოს და მეორეც, ის ფსიქოლოგიურად უნდა იყოს მზად ბრძოლის რთულ პირობებში მოქმედებისათვის. [6]ქართული კარის განვითარებას ეხლა ეყრება საფუძველი, ეს გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომ საქართველოს ძალიან დიდ ხანს წარმოებული ჰქონდა დამოუკიდებლობა და, შესაბამისად, არ ჰყავდა დამოუკიდებელი არმია, ამდენად ამ მიმართულებით მუშაობის წარმოების აუცილებლობა ეხლა დადგა დღის წესრიგში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ჩვენს ქვეყანაშიც უფრო დიდი ყურადღება დაეთმოს სამხედრო ფსიქოლოგის განვითარებას, ჩვენი სამხედროების მორალურ-ფსიქოლოგიურ მზაობას, რათა მათი სამსახური იყოს უფრო ეფექტური.

გამოყენებული ლითერატურა

1. თ.იმაიშვილი. „შეირაღებული ძალები XXI საუკუნის მიჯნაზე“. <http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1-0-10-0-0-0>
2. АВТОРСКИЙ КОЛЛЕКТИВ Всемирная психология: методология, теория, практика Учебно-методическое пособие. Военный университет Кафедра психологии Москва 1996 г. – 230 с.
3. Анцупов А.Я., Помогайбин В.Н. Методологические проблемы военно-психологических исследований <http://www.saitar.com/publ/4-1-0-61>
4. Баразенко <http://www.pshycology.spb.ru>. <http://psy.rin.ru/cgi-bin/article.pl?id=755>
5. Абдурахманов, кандидат психологических наук, подполковник http://studentline.ru/full_text/40130/ Индивидуально – типологические особенности личности
6. ნ. ბერიძე. „სამხედრო ფსიქოლოგიის ზოგიერთი ასპექტი.“ თბილისი 2010წ.

ფსიქო-სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა დავით განეორნინების პროფესიი

ნინო ქიმიშვილი

თბილისის ლიკ უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,
პავასის და საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული
ლექტორი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის დოკორანტი,
მკათერინე ფილჩხალავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

აბსტრაქტი

ოჯახი, როგორც საზოგადოების განუყოფელი ნაწილი დიდ როლს თამაშობს ადამიანის სოციალიზაციასა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაში. განქორნინება გავლენას ახდენს ოჯახის წევრებზე და სხვადასხვანაირ ასახვას პოულობს ოჯახის თითეულ წევრზე, განსაკუთრებით ბავშვებზე. ის ოჯახის წევრების მნიშვნელოვან სტრუქტურა და ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესების რისკ-ფაქტორს წარმოადგენს.¹ განქორნინების სტრუქტის დასაძლევად, დავით განქორნინების პროცესში, შექმნილია ფსიქო-სოციალური სერვისები, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ განქორნინებით გამოწვეული სტრუქტის შემცირებაში.² საქართველოს სასამართლო სისტემაში დავით განქორნინების პროცესში მყოფი ოჯახის წევრებისათვის არსებული ფსიქო-სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ეფექტუანობის კვლევისთვის გაანალიზდა სერვისის მიმწოდებელი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია: სერვისების გამოყენების შესახებ, მათში ჩართვის წინაპირობებისა და ეფექტუანობის შესახებ. კვლევის შედეგად დაგინდა, რომ დავით განქორნინების პროცესში არსებული ფსიქო-სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა და ეფექტუანობის შესახებ, მონაცემები არ არის რეგისტრირებული, რაც კვლევის აზრით, გავლენას ახდენს სასამართლო პროცესის სიჭანსაღებე და შედეგად, ბავშვის კეთილდღეობაზე.

საბაზო სიტყვები:

დავით განქორნინება, ფსიქო-სოციალური სერვისები, ბავშვის კეთილდღეობა

1 Pruett M., K., and Barker R., Children of Divorce: New Trends and Ongoing Dilemmas, 2009, გვ. 463
2 Welsh R., Gremberg L., Graham-Howard M., Family Forensic Psychology, 2009, გვ. 709

ACCESS TO PSYCHOSOCIAL SERVICES DURING THE DIVORCE ARBITRATION PROCESS

NINO KITOSHVILI

ASSISTANT PROFESSOR AT TBILISI OPEN UNIVERSITY,
INVITED LECTURER AT CAUCASUS AND GEORGIAN UNIVERSITIES,
PHD STUDENT IN APPLIED SOCIAL PSYCHOLOGY
AT TBILISI STATE UNIVERSITY
EKATERINE PIRTSKHALAVA
ASSOCIATE PROFESSOR AT TBILISI STATE UNIVERSITY

ABSTRACT

The family are an important part of society, which plays a big role in human socialization and in becoming a full members of society. Divorce is also part of life, this process affects on the family members life, it has especially influence on the children life. Process of divorce is an important stressor, and a risk factor for the family members psychological condition and on the child's mental health. To overcome the stress of divorce, in the dispute divorce process have been developed psychosocial services, which play an important role in reducing the stress caused by divorce. The current study tried to research the availability and the effectiveness of psycho-social services for family members in the Georgian court system during the process of divorce. Based on the analyzing of the information provided by the service providers: about the using of services, the preconditions and effectiveness of their inclusion, the study found that data is not registered about the availability and effectiveness of psychosocial services in the dispute divorce process, which has effect on the health and on the well-being of the child.

KEYWORDS:

Dispute Divorce, Psycho-Social Services, Child Welbeing

შესავალი

ოჯახი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია და ასახავს კაცობრიობის ცვლილებებისა და განვითარების პროცესების ვაჭირს. ის დიდ როლს თამაშობს პიროვნების აღზრდაში, მისთვის ღირებულებების გადაცემაში, ინტერესების ჩამოყალიბებასა და სოციალიზაციაში.³ ოჯახის სტრუქტურა ისტორიულ ჭრილში მრავალჯერ შეიცვალა, რა დროსაც საზოგადოება მუდამ ცდილობდა მის დროსთან ადაპტირებასა და ამით, სრულყოფას.⁴ ოჯახს, როგორც საზოგადოების მნიშვნელოვან ინსტიტუტს გააჩნია სხვადასხვა ფუნქცია, რომელთა შესრულებითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში. მათშორისაა: რეპროდუქციული, აღზრდელობითი, ემოციური, სულიერი, მატერიალური, რეკლრეაციული, რეგულაციური, ფელიციტოლოგიური და კომუნიკაციური ფუნქციები.⁵ ის, თუ რა გარემოში, რა სისტემით, რა ფუნქციური გადანაწილებით განსხვავდებიან ოჯახები ერთმანეთისგან, შედეგად სხვადასხვანაირად ჩამოყალიბებულ საზოგადოების წევრებს გვაძლევს, რომელსაც ოჯახი სოციალიზაციის პროცესში უზიარებს თავის ჭანსაღ და არა ჭანსაღ გარემოს.⁶

ქორწინებასთან ერთად, ყოველთვის არსებობდა განქორწინებაც, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვან გავლენის ქვერება საზოგადოებაზე. ის არსებით გავლენას ახდენს ოჯახის წევრები, ქმნის უძრავ სტრესორს ოჯახის წევრებისთვის და წარმოადგენს ბავშვების ფსიქო-სოციალური ცხოვრების გაუარესების მნიშვნელოვან რისკს. ამაში იგულისხმება აკადემიური მოსწრება, ქცევითი პრობლემები, დაბალი თვითშეფასება და პიროვნული ურთიერთობების სირთულე.⁷ განქორწინების პროცესში გვხვდება უამრავი პრობლემა და მათ

3 ხოფერია მ., ოჯახის გაყრის წესები ძველი ქართული სამართლის მიხედვით, 2015, გვ.12-13

4 წივწივაძე ი., ქორწინების ინსტიტუტი ძველ ქართულ საოცახო სამართალში, 2018, გვ.4-5

5 ფირცხალავა ე., ოჯახის წევრთა ურთიერთაღემის თავისებურებაზე, 2008, გვ.46

6 Parsons T. & Bales R. Family, Socialization and Interaction Process, 1956, გვ.133-134

7 Pruett M., K., and Barker R., Children of Divorce: New Trends and Ongoing Dilemmas, 2009, გვ.463

განმუხტვაში მნიშნელოვან როლს თამაშობს განქორწინების სასამართლო დავაში ოჯახის წევრებისთვის, კანონით გათვალისწინებული ფსიქო-სოციალური სერვისების არსებობა.⁸

საქართველოს კანონმდებლობით, საოჯახო დავების განხილვის დროს, მოსამართლე, საჭიროებისამებრ, საქმეში რთავს ფსიქოლოგს, სოციალური მუშავს, მეუღლეთა დავის მოსარიგებლად საქმესამისამართებს სასამართლო მედიაციაში⁹ და/ან იღებს საქმის განხილვის გადავადების გადაწყვეტილებას მაქსიმუმ 6 თვით.¹⁰ კანონში აღნიშნული ჩანაწერი ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებასა და კეთილდღეობაზე კანონით უზრუნველყოფილი უფლებების დაცვას.¹¹

ფსიქო-სოციალური სერვისების როლი დავით მანქორწინების პროცესში

დავით განქორწინების პროცესში, ისევე, როგორც ბავშვის აღმზრდებობით სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებულ სასამართლო დავებში, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის მიერ შემუშავებულია სამუშაო სახელმძღვანელო ფსიქოლოგებისთვის, რომელიც ემყარება ფსიქოლოგების ასოციაციის ქცევის კოდექსს და ისახავს მიზნად განქორწინების პროცესში ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ექსპერტიზას და მის საფუძველზე დასკვნის გამოტანას. ეს გულისხმობს, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მშობლების უფლებებისა და პასიურულებების განხილვასა და შესაბამისი სერვისების მიწოდებას. სწორედ ფსიქოლოგების მიერ მოპოვებული, გაანალიზებული ინფორმაცია და მიწოდებული სერვისები წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესების იდენტიფირების ყველაზე ეფექტურ გზას, რომელიც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს.¹²

ნებისმიერ სასამართლო პროცესში, რომელშიც ჩართულია არასრულწლოვანი, მშობლები ვალდებული არიან გაიარონ კონსულტაცია სპეციალისტთან, რომელიც მათ დაეხმარებათ მიაღწიონ შეთანხმებას ბავშვის აღზრდის გეგმაზე. ასევე, საქმისსირთულიდან და მოსამართლის შეხდულებისამებრ, შესაძლებელია დაინიშნოს ფსიქოლოგიური კონსულტაცია, რომელიც დაეხმარება მოსამართლეს შეიქმნას წარმოადგენა ოჯახზე და ამაზე დაფუძნებით მიიღოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილება.¹³ სასამართლო, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებისა და დაკმაყოფილებისთვის, ითვალისწინებს თითოეული საქმის გარემოებებს და იღებს ვალდებულებების განაწილების შესახებ, გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება არ ნაწილდებოდეს მშობლებზე თანაბრად. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს: მშბლების ფიზიკურ და ემოციური მდგომარეობაზე, ქორნინების ხანგრძლივობაზე, ეკონომიკური მდგომარეობაზე, ბავშვზე ზრუნვისთვის აუცილებელი სერვისების ხელმისაწვდომობაზე, ზრუნვის გამოცდილებაზე, ზრუნვის გეგმებზე და სხვ. სასამართლო პროცესში ერთვება სასამართლო მედიაცია და ფსიქო-სოციალური სერვისები, რომელიც ეხმარებათ მშობლებს მიიღონ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება, რომელიც ხელს შეუწობს ბავშვის განვითარებას და გულისხმობს ამისათვის საჭირო მხარდაჭერის აღმოჩენას როგორც ბავშვისთვის, ისე მშობლებისთვის.¹⁴

დავით განქორწინების პროცესში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებისას სასამართლო, ეყრდნობა ფსიქო-სოციალური სერვისების საქმიანობას და მხარს უჭერს მათ ხელმისაწვდომობას.

მეთოდოლოგია და შედეგების ანალიზი

ამ ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა საოჯახო დავაში მყოფი წყვილებისთვის, დავით განქორწინების პროცესში არსებული სერვისების ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის კვლევა. კვლევის ჰირველ ეგერთონდებული - სამაგიდო კვლევის ეტაპზე, სერვისის მიმწოდებელ უწყებებისგან გამოთხვილ იქნასაჭარო ინფორმაცია დავით განქორწინებაში აღნიშნული სერვისების ჩართვის რაოდენობის, წინაპირობების, ხასიათისა და ეფექტურობის შესახებ. კვრძოდ, ბოლო ხეთი წლის განმავლობაში აღნიშნულ საკითხებზე არსებული საჭარო მონაცემები თბილისის საქალაქო სასამართლოდან, მედიაციორთა ასოციაციიდან და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიცინგის მსხვერპლთა, დაბარალებულთა დაბმარების სააგენტოდან.

8 Welsh R., Gremberg L., Graham-Howard M., Family Forensic Psychology, 2009, გვ.709

9 საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, 1997, მუხლი 1128(2)

10 საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, 1997, მუხ. 1127(2)-1130

11 ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019, მუხლ.5

12 American Psychological Association (APA) Guidelines for Child Custody Evaluations in Divorce Proceedings, 1994, გვ.1-2

13 The Stat bar of California, What Should I Know About Divorce and Custody?, 2011, გვ.9-10

14 Iowa Commission on the Status of Women, Divorce: Things to Consider, 2012, გვ.3-5

ბოლო 5 წლის განმავლობაში განქორწინების ზოგადი და მათგან შეწყვეტილ დავებზე მონაცემების შესახებ დოკუმენტებში პასუხი გაეცა შემდეგ კითხვებს: რა იყო საოჯახო დავის შეწყვეტის მიზეზი; რა შემთხვევაში იქნა მიღებული სერვისების გამოყენების გადაწყვეტილება (განქორწინების მსურველი წყვილისთვის დროის მიცემა მოსარიგებლად, მედიაციაში და სხვა ფსიქო-სოციალური სერვისებში ჩართვა) და შეწყდა თუ არა მსგავსი დავები.

სასამართლო სისტემაში, განქორწინების დავაში მყოფი წყვილებისათვის არსებული ფსიქო-სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის შესასწავლადსერვისის მიმწოდებელი უწყებებისგან შევაგროვეთ სტატისტიკა: დავით განქორწინების პროცესში სასამართლო რა სიხშირით რთავს: სასამართლო მედიაციას, სოციალურ მუშავს და ფსიქოლოგს; რა შემთხვევებში ხდება აღნიშნული სერვისების ჩართვა და რამდენად ეფექტურია აღნიშნული სერვისები.

მიღებული დოკუმენტაციის ანალიზით, დადგინდა, რომ:

მედიატორთა ასოციაციაარ ამუშავებს სასამართლოდან მედიაციისთვის გადმოცემული საქმეების სტატისტიკას და გადაგვამისამართეს თბილისისაქალაქოსასამართლოს მედიაციის ცენტრის ხელმძღვანელთან. მისგან ინფორმაციის მოსაპოველბლად მივწერეთ ოფიციალური წერილი თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოკლე ვადებში მივიღეთ პასუხი, რომ:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის რეკომენდაციით მედიაციის ცენტრისათვის საოჯახო დავების მედიაციაში გადაეცა:

სასამართლო მედიაციაში გადაცემული საქმეების რაოდენობა წლების მიხედვით

2013წ	2014წ	2015წ	2016წ	2017წ	2018წ	2019წ	2020წ	2021წ
1	2	8	7	10	14	4	3	0

2. „თუ რა კრიტერიუმების თანახმად არჩევენ მოსამართლეები მედიაციისთვის შესაფერის დავებს, ჰერქერობით არ არსებობს“ და „ძირითადად, სასამართლო მედიაციას გადმოცემა საოჯახო კატეგორიის ის საქმეები, რომლებიც ... ეხება ონების გაყოფას, ბავშვის ქონების განვარგვას“. ასევე ბავშვის საცხოვრებელი აღილის და ალიმენტის განსაზღვრას.¹⁵

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაბარალებულთა დახმარების სააგენტომ ჩვენს მოთხოვნაზე, მოენოდებინა საჭარო ინფორმაცია სასამართლო დავებში ფსიქოლოგისა და სოც მუშავის ჩართვის წინაპირობების, ხასიათისა და ეფექტიანობის შესახებ, გვიპასუხა, რომ სააგენტო არ ერთვება განქორწინების დავებში, სადაც სასამართლებრივი დავა არ ეხება ბავშვს. ის ერთვება ისეთ საოჯახო დავებში, სადაც დავა ეხებაბავშვს, მას შემდეგ, რაც მოსამართლე გადაწყვეტს ფსიქოლოგისა და სოციალური მუშავის ჩართვის საჭიროებას და განუსაზღვრავს სააგენტოს კონკრეტულ დავალებას.¹⁶

სასამართლოსგან გამოთხვილი ინფორმაცია, შეწყვეტილი დავების სტატისტიკასა და მათში ფსიქო-სოციალური სერვისების გამოყენებაზე, მოგვწერეს მხოლოდ განქორწინების რეგისტრირებული და შეწყვეტილი დავების სტატისტიკა, ხოლო მორიგების შედეგად შეწყვეტილი დავებში სასამართლოს ჩართულობასა და სერვისების გამოყენებაზე კი პასუხი ვერ მივიღეთ.

პერიოდი	შემოვიდა	შეცვლა	მ.შ. მორიგების მარო
2016	863	67	48
2017	816	103	72
2018	750	48	31
2019	665	44	30
2020	413	9	8

სასამართლოში ასევე, არ არის განერილი სერვისების ჩართვის წინაპირობები; არ იწარმოება სერვისების გამოყენების, სერვისების საჭიროებისა დაწყვილისთვის მოსარიგებლად მიცემული ვადის შესახებ სტატისტიკა.¹⁷

დოკუმენტების გაანალიზებით, ჩანს, რომ სასამართლო განქორწინების პროცესში, საჭიროებისამებრ, რთავს ფსიქო-სოციალურ სერვისებს, თუმცა, არ ანარმოებს ფსიქო-სოციალური სერვისების გამოყენების სტატისტიკას, არ აქვს განერილი მათში ჩართვის წინაპირობები და არ ფლობს ინფორმაციას მათ

15 თბილისის საქალაქო სასამართლო - წერილზე პასუხი N2-0424/4499161, 30.03.2021

16 სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაბარალებულტა დახმარების სააგენტო, წერილზე პასუხი N07/3215, 16.04.2021

17 თბილისის საქალაქო სასამართლო - წერილზე პასუხი N2-0424/4499161, 30.03.2021; N2-0431/4528544, 08.04.2021; N2-0430/4520619, 06.04.2021

ეფექტურიანობაზე.

კვლევის მეორე ეტაპი თვისებრივი კვლევის მეთოდით, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით ჩატარდა, მიღებული ნარატივი დამუშავდა თვისებრივი კონტენტანალიზის საშუალებით. აღნიშნული სფეროს 17 ექსპერტთან სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ: სერვისების რაოდენობა და მასშტაბები საკმაოდ მცირეა, უმეტესობა არ არის ორიენტირებული საოჯახო დავით დაზიანებული ბავშვის ფსიქო-სოციალური პრობლემების პრევენციაზე და მათ აქვთ მხოლოდ ინტერვენციული ხასიათი. კერძოდ, არსებობს მხოლოდ: სასამართლო მედიაცია, რომელსაც სამართავად სასამართლო უგზავნის გამწვავებულ საქმეებს; არსებობს სოციალური მუშავის სერვისი, რომელსაც მიმართავს სასამართლო მეურვეობის დავაში ე.წ. დასკვნის დასაწერად და ფსიქოლოგიური სერვისი, რომელიც მიუწვდომელია, რადგან მთელს რეგიონზე მხოლოდ ერთი კადრია და სხვა, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებადი ფსიქოლოგიური სერვისები, არ არიან ყოველთვის ხელმისაწვდომი. ინტერვიუებით, აღმოჩნდა, რომ ფსიქო-სოციალური სერვისების გამოყენება ხდება ძალზე იშვიათად, არ არსებობს მათში ჩართვის გაწერილი წინაპირობები, კრიტერიუმები და მათ მნიშვნელოვნობაზე სასამართლო სფეროს წარმომადგენლებისა და დავაში მყოფი წყვილების ინფორმირებულობა არის დაბალი. ეს კი მნიშვნელოვნად ამცირებს მათ ხელმისაწვდომობას და შედეგად, ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვის საკითხებს.

დასკვნა

შედეგების ანალიზი გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ:

- დღეისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ დავით განქორწინების პროცესში არსებული ფსიქო-სოციალური სერვისებისგამოყენების წინაპირობების არ არსებობა მნიშვნელოვნად ათვერებს ოჯახის წევრებისათვის მათ ხელმისაწვდომობას, რამეთუ, ეყრდნობა მხოლოდ მოსამართლის (სუბიექტურ) შეხედულებით განსაზღვრულ საჭიროებას;
- ასევე, სასამართლოს მიერ სერვისების გამოყენებაზე, მათში ჩართვასა და ეფექტურიანობაზე მონაცემების არ დამუშავება ეჭვევეშ აყენებს მათ ეფექტიანობას. რადგან, სწორედ სერვისის კვლევა, კონკრეტული ინდიკატორების განხრა, საჭიროებების გამოკვეთა და მათი გათვალისწინება წარმოადგენს ეფექტური მომსახურების წინაპირობას.¹⁸

დავით განქორწინების პროცესში არსებული პროგრამების ხელმისაწვდომობისა და ეფექტურიანობის შესწავლის საფუძველზე, კვლევა დასაბუთებულად ვარაუდობს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის შესაძლებლობა მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ დგას. ეს გავლენას ახდენს სასამართლო პროცესის სიჭანსაღებები და შედეგად, ბავშვის კეთილდღეობას უქმნის საფრთხეს.

კვლევას მნიშვნელოვან რეკომენდაციად მიაჩნია დავით განქორწინების პროცესში არსებული სერვისების გამოყენების სტატისტიკის წარმოება. სერვისების ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის დადგენით შესაძლებელი იქნება საქართველოში ამ სერვისების სარგებლიანობის შესწავლა, ამის საფუძველზე კი მათი დახვეწა და განვითარება. ეს მნიშვნელოვანია ბავშვის ფსიქიკური ჭანმრთელობის და კეთილდღეობის კანონით გათვალისწინებული გარანტიების უზრუნველსაყოფად.

მართვენიბული ლითერატურა

1. ფირცხალავა ე., ოჯახის წევრთა ურთიერთაღემის თავისებურებანი, დისერტაცია ფსიქოლოგიაში ფილოსოფიის მეცნიერებაზე დოტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოველობლად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008
2. წივწივაძე ი., ქორწინების ინსტიტუტი ძველ ქართულ საოჯახო სამართალში, მესამე კოლოქვიუმი სამართალმცოდნების სადოქტორო პროგრამა, კავკასიის უნივერსიტეტი, 2018
3. ხოფერია მ., ოჯახის გაყრის წესები ძველი ქართული სამართლის მიხედვით, დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015
4. American Psychological Association (APA) Guidelines for Child Custody Evaluations in Divorce Proceedings, American Psychologist, July 1994 Vol. 49, No. 7, 677-680, 1994
5. Iowa Commission on the Status of Women, Divorce: Things to Consider, Making a difference in the lives of Iowa women Iowa Department of Human Rights Lucas State Office Building Des Moines, 2012
6. Morgan S., Rees Sh., An evaluation of recovery in a forensic mental health service , Mental Health Practice, Published online 26.10.2018, available at: <https://journals.rcni.com/mental-health-practice/evidence-and-practice/an-evaluation-of-recovery-in-a-forensic-mental-health-service-mhp.2018.e1316/abs>
7. Parsons T.& .Bales R. Family, Socialization and InteractionProcess (Ch. III), Routledge 2 Park Square, Milton Park, Abingdon, Oxon, 1956
8. Pruitt M., K., and Barker R., Children of Divorce:New Trends and Ongoing Dilemmas, Wiley-Blackwell Handbook of Family Psychology, ed. By Bray, J., H., and Stanton, M., Wiley-Blackwell, (Chapter 31) A John Wiley & Sons, Ltd.Publications, 2009
9. The Stat bar of California, What Should I Know About Divorce and Custody?, Office of Media and Information Services 180 Howard Street,

18 Morgan S., Rees Sh., An evaluation of recovery in a forensic mental health service, 2018

San Francisco, CA 94105-1639, 2011

10. Welsh R., Gremberg L., Graham-Howard M., Family Forensic Psychology, Wiley-Blackwell Handbook of Family Psychology, ed. By Bray, J., H., and Stanton, M., Wiley-Blackwell, (Chapter 50) A John Wiley & Sons, Ltd. Publications, 2009
11. საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019
12. საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ 2019;
13. სსპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპთა, დაზარალებულტა დახმარების სააგენტო, წერილზე პასუხი N 07/3215, 16.04.2021;
14. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი 1997;
15. თბილისის საქალაქო სასამართლო - წერილზე პასუხი N2-0424/4499161, 30.03.2021
16. თბილისის საქალაქო სასამართლო - წერილზე პასუხი N2-0430/4520619, 06.04.2021
17. თბილისის საქალაქო სასამართლო - წერილზე პასუხი N2-0431/4528544, 08.04.2021

REFERENCES

1. Pirtskhalava E., Peculiarities of Mutual Perception of Family Members, Dissertation for the Academic Degree in Psychology Philosophy Science, Tbilisi State University, 2008
2. Tsivtsivadze I., Institute of Marriage in Old Georgian Family Law, Third Colloquium Doctoral Program in Law, Caucasus University, 2018
3. Khoperia M., Divorce Rules According to the Old Georgian Law, Dissertation for the Academic Degree of Doctor of Law, Tbilisi State University, 2015
4. American Psychological Association (APA) Guidelines for Child Custody Evaluations in Divorce Proceedings, American Psychologist, July 1994 Vol. 49, No. 7, 677-680, 1994
5. Iowa Commission on the Status of Women, Divorce: Things to Consider, Making a difference in the lives of Iowa women Iowa Department of Human Rights Lucas State Office Building Des Moines, 2012
6. Morgan S., Rees Sh., An evaluation of recovery in a forensic mental health service , Mental Health Practice, Published online 26.10.2018, available at: <https://journals.rcni.com/mental-health-practice/evidence-and-practice/an-evaluation-of-recovery-in-a-forensic-mental-health-service-mhp.2018.e1316/abs>
7. Parsons T. & Bales R. Family, Socialization and InteractionProcess (Ch. III), Routledge 2 Park Square, Milton Park, Abingdon, Oxon, 1956
8. Pruitt M., K., and Barker R., Children of Divorce: New Trends and Ongoing Dilemmas, Wiley-Blackwell Handbook of Family Psychology, ed. By Bray, J., H., and Stanton, M., Wiley-Blackwell, (Chapter 31) A John Wiley & Sons, Ltd. Publications, 2009
9. The Stat bar of California, What Should I Know About Divorce and Custody?, Office of Media and Information Services 180 Howard Street, San Francisco, CA 94105-1639, 2011
10. Welsh R., Gremberg L., Graham-Howard M., Family Forensic Psychology, Wiley-Blackwell Handbook of Family Psychology, ed. By Bray, J., H., and Stanton, M., Wiley-Blackwell, (Chapter 50) A John Wiley & Sons, Ltd. Publications, 2009
11. Law of Georgia Code of the Rights of the Child, 2019
12. Law of Georgia on Mediation 2019;
13. LEPL State Care and Trafficking Victims, Victim Assistance Agency, reply to letter N 07/3215, 16.04.2021;
14. Code of Civil Law of Georgia 1997;
15. Tbilisi City Court - Reply to the letter N2-0424 / 4499161, 30.03.2021
16. Tbilisi City Court - Reply to the letter N2-0430 / 4520619, 06.04.2021
17. Tbilisi City Court - Reply to the letter N2-0431 / 4528544, 08.04.2021

პიროვნების ქადაგის თვითეფექტურობის განსაზღვრა კოვიდ-პანდემიის პირობებში

ნანა მომიჩენილი
ფსიქოლოგის დოკორი, ასოც. პროფესორი
გურამ თავართეილაძის სახელმიწის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია კოვიდ-პანდემიის გავლენა ადამიანის ფსიქიკის სიკანსაღის ხარისხზე. კერძოდ, ცხოვრების ჩვეული სტილის შეცვლა, კარანტინი, სოციალური დისტანცირება, სახლიდან მუშაობა, სამსახურის დაკარგვის შიში, ქუჩაში თუ სუპერმარკეტში ნიღბით სიარული, სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციები Zooom-ისა თუ სხვა ტიპის ონლაინ-პლატფორმაზე დასხვ. რა გავლენას ახდენს ადამიანებზე ფსიქო-ემოციური და პიროვნული თვითრეალიზაციის თვალსაზრისით. კვლევების თანახმად დადასტურებულია, რომ კორონავირუსის მიერ ცენტრალური ნერვული სისტემის ყველაზე ხშირ დაზინდებებს შორის, რომლებიც აღნერილია უცხოურ პუბლიკაციებში, არის ცნობიერების დაქვეითება, ნერვოზული ფონის მატება, ეპილეფსიური გულყრა, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, დეპრესია, შფოთვა, ყნოსვის, გემოს, განწყობისა და მეხსიერების დარღვევები, სწრაფი დაღლილობა, კონცენტრაციის შეუძლებლობა, ხანგრძლივი დაღლილობა და სხვ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანების გარკვეული ნაწილი, კოვიდ-პანდემიის საყოველთაო და მასობრივი გავრცელების მიუხედავად, ინარჩუნებს პრობლემურ და გაურკვევლობის შემცველ სიტუაციასთან ჯანსაღი და ადაპტური დამოკიდებულების უნარს და ახერხებს გარკვეული ეფექტურობით მართოს როგორც საკუთარი, ისე მისი სოციუმის წევრთა ქცევა. ბუნებრივად გაჩნდა კითხვა: როგორია ქართულ პოპულაციაში (ვგულისხმობთ მცირემასშტაბიან საპილოო კვლევას) ადამიანების თვითეფექტურობის ხარისხი კოვიდ-პანდემიის პირობებში.

თვითეფექტურობის კონცეფცია პირველად შემოგვთავაზა ალბერტ ბანდურამ და იგი ნარმოადგენს მისი სოციალურ-კოგნიტური თეორიის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს. ავტორის განსაზღვრებით, თვითეფექტურობა არის რწმენებისა და მოსაზრებების ერთობლიობა იმის შესახებ, რომ ინდივიდს შეუძლია კონკრეტულ სიტუაციაში ადეკვატურად მოქცევა და პრობლემებთან ეფექტური გამკლავება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდის აღქმაზე, მოტივაციასა და ქცევაზე.

ნაშრომის ექსპერიმენტულ ნაწილში განხილულია კოვიდ-პანდემიის პირობებში ადამიანების თვითეფექტურობის ხარისხის კვლევა, რომლის საკვლევ ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა რ. შვარცის და მ. ერუსალემის ზოგადი თვითეფექტურობის შკალა-კითხვარი (Generalized self-efficacy scale – GSES; ადაპტირებული ვ.რომელის მიერ), რომლის საშუალებითაც მოხდა პირადი ეფექტურობის სუბიექტურ განცდის გაზომვა. კვლევა ჩატარდა სოციალურ ქსელ facebook-ში და მასში მონაწილეობა მიიღო 235-ადამიანმა, რომელთა ასაკი, სქესი და პროფესია დამატებით იყო განსაზღვრული.

საკვანძო სიტყვები:

კოვიდ-პანდემია; ფსიქიკის სიკანსაღე; თვითეფექტურობა; თვითეფექტურობის კვლევა.

DETERMINING THE DEGREE OF SELF-EFFICIENCY OF INDIVIDUAL BEHAVIOR IN THE CONTEXT OF THE COVID-PANDEMIC CONDITIONS

NANA GOGICHAŠVILI
DOCTOR OF PSYCHOLOGY, ASSOCIATE PROFESSOR OF GURAM TAV-
ARTKILADZE TBILISI TEACHING UNIVERSITY

ABSTRACT

The paper discusses the impact of the Covid-Pandemic on the quality of human psyche. In particular, changing your usual lifestyle, quarantine, social distance, working from home, fear of losing your job, walking on the street or in a supermarket with a mask, different types of communications on Zoom or other types of online platforms, etc. What influences people in terms of psycho-emotional and personal self-realization. Studies have shown that coronavirus is one of the most common central nervous system disorders described in foreign publications, including loss of consciousness, increased nervous background, epileptic seizures, headache, dizziness, depression, anxiety, olfactory, taste, memory Fatigue, inability to concentrate, prolonged fatigue, etc. However, it should be noted that a certain proportion of people, despite the widespread of the pawn pandemic, maintain a healthy and adaptable ability to deal with problematic and uncertain situations and are able to manage effectively the behavior of both themselves and members of society. The question naturally arose: what is the degree of self- efficiency of the Georgian population. In the Georgian population (we mean a small-scale pilot study) in the conditions of the Covid-Pandemic.

The concept of self-efficiency first was proposed by Albert Bandura and is one of the main components of his socio-cognitive theory. According to the author, self-efficiency is a combination of beliefs and opinions that an individual can adequately respond to a particular situation and deal with problems effectively, which has a significant impact on an individual's perception, motivation and behavior.

The experimental part of the paper discusses the study of the degree of self-efficiency of people in the conditions of the Povid-pandemic, which was used as a research tool by R. Schwartz et al. Jerusalem Generalized self-efficacy scale (GSES; adapted by V. Romek), which measured the subjective feeling of personal effectiveness. The survey was conducted on the social network Facebook and involved 235 people, whose age, gender and profession were additionally defined.

KEYWORDS:

Covid-pandemic; Mental health; Self-efficacy research.

კოვიდპანდემია, მსოფლიო მასშტაბით ყველა სფეროში გახდა მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი, რაც გულისხმობს სხვადასხვა ქცევითი აქტივობების ან სრულ ბლოკირებას, ან კონკრეტულ აქტივობებთან მიმართებაში ღირებულებების გადაფასებას, რამაც თავის მხრივ, გამოიწვია მოსახლეობის ცხოვრების წესის არსებითი ცვლილება. ბუნებრივია, ცხოვრების ჩვეული სტილის და რეტინის დარღვევამ, მეგობრებისგან, კოლეგებისგან და ნათესავებისგან იძულებითმა დისტანცირებამ, განსხვავებულმა ვალდებულებებმა და ცხოვრების ონლაინ-რეჟიმმა, სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა წებისმიერი ასაკის ადამიანი, რამაც არსებითი საფრთხე შეუქმნა ადამიანების ფსიქიკის სიჯანსაღის ხარისხს და თუ დამატებით, ამ ყოველივეს თან დაერთო დადგებითი პასუხი კოვიდინფიცირების განმსაზღვრელ ტესტზე, რომელსაც მოჰყვება კლინიკაში თუ კოვიდ-სასტუმროში ყოფნა/იზოლაცია, შიში გაურკვევლობის წინაშე და ა.შ. უკვე ძალიან მარტივდება სერიოზული სტრესის მიღება, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია გახდეს შფოთვის და დეპრესიის წინაპირობა. შესაბამისად, პანდემიის უარყოფითი გავლენებიდან, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არის ადამიანების ფსიქიკურ კოვიდ-პანდემიის ბემოქმედების ფსიქოლოგიური შედეგი. აღნიშნულში მოიაზრება ადამიანის მიერ სამყაროს სტაბილურობის რწმენის დაკარგვისა და საკუთარი დაუცველობის გაცნობიერების საფუძველზე ფუნდამენტური ეგზისტენციალური ღირებულებების გადაფასება, რაც მოითხოვს პიროვნების რესოციალიზაციას ანუ სამყაროსთან ურთიერთობის და საკუთარი ცხოვრების წესის ტრანსფორმაციას[6].

ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, კველევის შედეგების საფუძველზე (კვლევა გამოქვეყნდა The Lancet Psychiatry-ში) დაადგინეს, რომ ყოველ მეხუთე ადამიანს, ვისაც დაუდასტურდა COVID-19, აღნიშნება ემოციური სფეროს გარკვეული პრობლემები, რომლებიც შესაძლებელია განპირობებული იყოს როგორც პაციენტების ემოციური სფეროს რეაქციებით პანდემიითა და ცხოვრების შეცვლილი სტილით გამოწვეულ სტრესულ გარემოზე, ასევე ვირუსის პირდაპირი გავლენით ნერვულ სისტემაზე. კემბრიჯის უნივერსიტეტის კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის პროფესორი ბარბარა უაკლინ საავანი და იმავე უნივერსიტეტის კოგნიტური ნეირობიოლოგიის დარგის მკვლევარები, კრისტელ ლენგლი და დენიზ ვატანსევერი კი პირდაპირ ამბობენ, რომ თავად კოვიდპანდემიამ და იძულებითმა თვითიზოლაციამ, თავისთავად ძალზე სერიოზული გავლენა იქონია ჩვენს ფსიქიკაზე [10].

რა არის აღნიშნული გავლენის წინაპირობა? ეს არის მწუხარება ახლობლების დაკარგვის გამო, სამსახურის დაკარგვის შოვი ან შიში, ფინანსური არასტაბილურობა ან დეფიციტი, იმოლაცია და კომუნიკაციის შეზღუდვები, ოჯახური ურთიერთობების როველი დინამიკა, მომავლის შიში, გაურკვევლობა და ა.შ.

კარანტინი, სოციალური დისტანცირება, სახლიდან მუშაობა, ქუჩაში თუ სუპერმარკეტში ნიღბით სიარული, სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციები Zooom-ისა თუ სხვა ტიპის ონლაინ-პლატფორმაზე - ამ ყველაფერმა ნამდვილად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური რიტმი და ეს სავარუდოდ, მხოლოდ დიდი ცვლილებების დასაწყისია, რაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და ყველა საზოგადოებაში მოხდა. საინტერესოა, რა კონკრეტული ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს ადამიანის ფსიქიკის სიკანსაღის თვალსაზრისით? არაერთი მეცნიერი და მედიცინის სფეროს წარმომადგენელი, უკვე პირდაპირ აღნიშნავს, რომ კორონავირუსულმა ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს ან გააქტიუროს ესა თუ ის ფსიქიკური აშლილობა და რეალური გავლენა მოახდინოს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ასე მაგალითად, ოქსფორდის უნივერსიტეტის კეთილდღეობის შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელი უან ემანუილ დე ნევ (Jan-Emmanuel De Neve), ამბობს, ცხოვრების ჩვეული წესის შეცვლამ არამარტო ფინანსური წყაროს დაკარგვა გამოიწვია, არამედ ადამიანებს დაუკარგა უსაფრთხოების, სტაბილურობისა და დაცულობის განცდა, რაც თავის მხრივ, უკვე ითვლება სტრესის, შფოთვის, დეპრესიის და სხვადასხვა სახის ნევროზული აშლილობების წინაპირობად [2].

აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს მედიკამენტების შემსწავლელი სამეცნიერო ჰაგუფის (GIS-Epi-Phare) მოხსენებაც, რომლის თანახმადაც, მედიცინის უსაფრთხოების ეროვნულ სააგენტოში (Agence nationale de sécurité du médicament, ANSM), ამ გაზაფხულზე ექიმებმა გამოწერეს 1,1 მილიონით მეტი რეცეპტი, ისეთი ფსიქოტროპული მედიკამენტებისათვის, როგორიცაა ქსანაქსი, ლექსომილი ან ვალიუმი (Xanax, Lexomil ან Valium), რომლებიც ამცირებენ შფოთვას და ამავე დროს, იმავე პროფილის ექიმების მიერ გამოიწერა 187,000-ით მეტი ანტიდეპრესანტული დანიშნულება წინა წელთან შედარებით. ოჯახის ექიმებმა კი, წლის ამ პერიოდში (იგულისხმევა პირველი ტალღა), ჩვეულებრივზე 480 ათასი აბით მეტი დამამშვიდებელი პრეპარატი დანიშნეს. შესაბამისად, გაიზარდა პაციენტებზე გაცემული ანტიდეპრესანტების, ანქსიოლიტური და საძილე აბების რაოდენობაც [14].

კორონავირუსის მიერ ცენტრალური ნერვული სისტემის ყველაზე ხშირ დაბიანებებს შორის, რომლებიც აღწერილია უცხოურ ჰემილიკაციებში, არის ცნობიერების დაკვეთება, ნერვობული ფონის მატება, ეპილეფსიური გულყრა, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, დეპრესია, შფოთვა, ყნოსვის, გემოს, განწყობისა და მებსიერების დარღვევები, სწრაფი დაღლილობა, კონცენტრაციის შეუძლებლობა, ქრონიკული დაღლილობა და სხვ. გარდა ამისა, კორონავირუსის მექონე პაციენტებს ხშირად აქვთ ფილტვის უკმარისობა, რაც უვითარებს უანგბადოვან შიმშილს და ამ ფონზე შეიძლება სხვადასხვა სახის ნევროზული და ფსიქიკური აშლილობები განვითარდეს. ამასთანავე, შესაძლებელია ითქვას, რომ ყველა ზემოთაღნიშნული ცვლილება ფსიქიკის სფეროში, შეიძლება სხვა ფაქტორებითაც იყოს გამოწვეული - პანდემიასთან დაკავშირებული ზოგადი სტრესული გარემოდან, პაციენტების სოციალურ-კონომიკური მდგომარეობითა და მათი ცხოვრების წესში იძულებითი არსებითი ცვლილებებით. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვითიზოლაციაში თუ კარანტინის რეაქტიული ყოფნამ, ჟანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში გაზარდა ოჯახური ძალადობის სტატისტიკური მაჩვენებელი(მაგალითად, საფრანგეთში ოჯახური ძალადობის შესახებ შეტყობინების რიცხვი კარანტინის გამოცხადების შემდეგ 30%-ით გაიზარდა, არგენტინაში - 25%-ით, კვიპროსში - 30%-ით, სინგაპურში - 33%-ით [11]. გარდა ამისა, ოჯახური ძალადობის შემთხვევების ზრდა დაფიქსირდა კანადაში, გერმანიაში, ესპანეთში, გერმანიანებულ სამეფოში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებშიც). საინტერესოა ისიც, რომ ე.წ. „დეპრესიის ბარომეტრმა“ ასევე აჩვენა, რომ გამოვითხულთა უმეტესობა ხშირად ატარებდა დროს საწოლში და სახლში ხშირად ექმნებოდათ კონფლიქტური სიტუაციები ოჯახის ნევრებთან.

არაერთი ფსიქოლოგი აღნიშნავს, რომ პანდემიის დროს, ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, გრძნობდნენ იზოლაციის შიშს, რაშიც იგულისხმება ის, რომ ინფიცირების შემთხვევაში, ადგილი აქვს იძულებით იზოლაციას, რასაც თავის მხრივ, ახლავს ახლობლებთან კომუნიკაციის შიშიმათვის ინფექციის გადადების თვალსაზრისით. აქ ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საზოგადოების ნაწილი ინფიცირებულ ადამიანებთან მიმართებაში აფიქსირებს სტიგმატიზაციის გარკვეულ ხარისხს, რაც ასევე ართულებს ინფიცირებული ადამიანის ემოციურ მდგომარეობას. მსგავს სიტუაციაში, მოწყვლადი და მგრძნობიარე ფსიქიკის ადამიანი ადვილად შეიძლება ჩავარდეს პანიკაში და ორიენტირებული გახდეს არა გამოკანმრთელების პროცესზე, არამედ პირიქით - დანებდეს დაავადებას და ამოენუროს სასიცოცხლო ენერგია და გამოკანმრთელების სურვილი. ბუნებრივია, ეს ცალსახად არის არასწორი და მცდარი პოზიცია და თუკი, დაავადებული ადამიანი თავად ვერ მართავს ემოციებს, მან აუცილებლად უნდა მიმართოს სპეციალისტს ანუ ჰაციენტმა კი არ უნდა წარმოიდგინოს მოვლენების განვითარების ყველაზე საშინელი სცენარი, არამედ უნდა შეცვალოს დამოკიდებულება დაავადების მიმართ. თუ ადამიანს აქვს შინაგანი დამოკიდებულება, რომ „მე ამას ვერ გადავურჩები, მე ამას ვერ მოვერევი და ა.შ.“, მაშინ ნებისმიერი ინფორმაციული ხელმისაწვდება ამ სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებს და თუკი ადამიანი ამ პრობლემას განიხილავს როგორც დაავადებას და მოცემულობას - „მე ავად ვარ, მაგრამ ვიმკურნალებ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ გამოკანმრთელდე“, მაგრამ ვიმკურნალობის პროცესი სულ სხვაგვარად, დადებითი მოლოდინებით წარიმართება. თითოეულ ადამიანს აქვს საკუთარი დაავადების განვითარების ისტორია და თუ ვინმე მძიმედ იყო ავად, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენც იგივე გზას გავივლით. ამავე მოსაზრებას ადასტურებს გაერთიანებული სამეფოს შფოთვითი ასოციაციის AnxietyUK – ს წარმომადგენელი ნიკი ლიდბერგი, რომელიც ამბობს: „მსგავს სიტუაციაში, შფოთვის მთავარი მიზეზი ხდება სიტუაციის კონტროლის დაკარგვისა და მასთან გამკლავების შიში“. იგივე პოზიციას იზიარებს საქველმოქმედო ორგანიზაცია Mind-ის ექსპერტი როზი უიტერლი: „შფოთვა იწყება მაშინ, როდესაც ადამიანმა არ იცის რას ელოდება, ღელავს მომავალზე და ფიქრობს, რომ რაღაც მოხდება. ეს ზუსტად ის გრძნობაა, რაც კორონავირუსთან დაკავშირებით ვითარდება“ [11].

როგორც ვხედავთ, პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, ადამიანებს მსოფლიო მასშტაბით უჭირთ იმის წარმოდგენა თუ რა იქნება მათ ცხოვრებაში უახლოეს მომავალში. სიტუაცია რთულდება სანდო ინფორმაციის, მკურნალობის ეფექტური მეთოდების დეფიციტის და მასმედიასა და სოციალურ ქსელებში არსებული სხვადასხვა არასაჭირო და არასანდო ინფორმაციის გამოც, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო ართულებს ადამიანების ფსიქოემოციურ მდგომარეობას. შედეგად, ბევრი ადამიანის ცხოვრებაში თავს იჩენს გაურკვევლობის შიში, დაბნეულობა, ქვეითდება პროდუქტული ქცევის ხარისხი, ფიქსირდება სხვადასხვა სახის ნევრობული და ფსიქოზური გამოვლინები და ა.შ. ანუ შეიძლება ითქვას, რომ კოვიდ-პანდემიამ არსებითად შეცვალა არა მხოლოდ ადამიანების ფსიქოემოციური მდგომარეობა, არამედ მათი პროდუქტული და ეფექტური ქცევის ხარისხი, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს ადამიანის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხარისხს.

ყოველივე ხელმოთქმების შეკერების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კოვიდ-პანდემიამ სერიოზული გავლენა მოახდინა მსოფლიოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის თვითრეალიზაციის და ფსიქიკის სიკანსაღის ხარისხზე. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანების გარკვეული ნაწილი, კოვიდ-პანდემიის საყოველთაო და მასობრივი გავრცელების მიუხედავად, ინარჩუნებს პრობლემურ და გაურკვევლობის შემცველ სიტუაციასთან ჯანსაღი და ადაპტური დამოკიდებულების უნარს და ახერხებს გარკვეული ეფექტურობით მართოს როგორც საკუთარი, ისე მისი სოციუმის წევრთა ქცევა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა განსაზღვრავს ადამიანების ქცევის ეფექტურობას და ზოგადად, რა შინარსს შეიცავს და რას გულისხმობს თვითეფექტურობა.

თვითეფექტურობის კონცეფცია პირველად შემოგვთავაზა ალბერტ ბანდურამ და იგი წარმოადგენს მისი სოციალურ-კოგნიტური თეორიის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს [8]. ავტორის განსაზღვრებით, თვითეფექტურობა არის რჩმენებისა და მოსაზრებების ერთობლიობა იმის შესახებ, რომ ინდივიდს შეუძლია კონკრეტულ სიტუაციაში ადეკვატურად მოქცევა და პრობლემებთან ეფექტური გამკლავება. თავის მხრივ, ეს რჩმენა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდის აღქმაზე, მოტივაციასა და ქცევაზე [5]. შესაბამისად, თვითეფექტურობა არის სუბიექტური რჩმენა, როდესაც გვჰერა იმის, რომ ჩვენ შევძლებთ კონკრეტულ სიტუაციასთან გამკლავებას და კონკრეტული ამოცანის გადაჭრას, თუმცა ამავე დროს, ეს არ ნიშნავს, რომ შენ ყველაფერი შეგიძლია. თვითეფექტურობა ნიშნავს, რომ ადამიანმა ზუსტად იცის რისი გაკეთება შეუძლია და რისი გაკეთება არ შეუძლია, რა რესურსი გააჩნია არსებული პრობლემის გადასაჭრელად. მას აქვს რჩმენა იმისი, რომ შეძლებს რაღაცების დაძლევას დამოუკიდებლად, ხოლო რაღაცებზე კი დასჭირდება სხვისი დახმარება. თვითეფექტურობა ზუსტად ის არის, როცა ადამიანს, ერთის მხრივ, სკერა იმისი, რომ მოახერხებს კონკრეტულ სიტუაციასთან გამკლავებას, გამოიყენებს საკუთარ კომპეტენციებს და გადაჭრის ამ

Argentina, found itself in dire economic conditions in 1983. This was the year when military junta transferred power to the democratic elected government. Alfonsin's government facing hyper-inflation, huge interest rates on foreign debt and importantly \$2 Billion annual losses to state-owned enterprises resigned in 1989. At one point Alfonsin's government considered the privatization of state-owned enterprises but it backed off. Understanding the public uproar, it would have caused and realizing that it was the only solution to keep the economy afloat, Alfonsin resigned and his government fell.

When President Carlos Menem took office on July 8, 1989, the economy of the country was in shambles: Argentina had amassed US\$ 65 billion external debt; domestic credit and the monetary base were practically non-existent. Inflation, which had averaged over 220% a year during the 1975-88 period, reached 5000% in 1989. GDP per capita had fallen from its 1974 peak by nearly a fourth and real median wages by around half (World Bank databank). Given the criticality of the situation the President had to embark on a path of trade liberalization, deregulation, and privatization.¹⁵

Peru, a thriving economy in 1948, was ravished by import substitution policies of military dictators in 50s, 60s, and 70s. However, the situation did not change much when the democratic government of Fernando Belaúnde Terry was elected president. He instituted lukewarm liberalization efforts but these were not enough to resuscitate the economy from bouts of hyper-inflation, humongous public deficit and fleet of foreign investment from the country. Similar to the case of Argentina, the democratic governments of Peru did little to reform the economy until it was too late. In 1990, Alberto Fujimori ran on the platform of implementing structural economic changes. Fujimori undertook a process of economic liberalization which put an end to price controls, discarded protectionism, eliminated restrictions on foreign direct investment and privatized most state companies.¹⁶

CONCLUSION

While the nature of this study is in no way conclusive, it seems from this preliminary study that there is a common theme running in all of these cases. Iberian and South American countries picked in this study started out with similar economic indicators, had contemporaneously experienced democratic transition, yet, at the close of the 20th century they ended up with vastly disparate economic indicators. As this study tried to demonstrate the difference in economic growth stemmed from the rational vote-maximizing behavior of the governments. Governments would not engage in painful reforms not to antagonize their electorate. As a consequence no structural economic reforms would be implemented, until the country finds itself plunged in the economic precipice. This study also suggested that the only way out from the rationality induced logic of responsibility is economic incentives provided by foreign actors. Governments can justify their harsh economic policies to their electorate with future economic gains from them. However, conclusions of this research can be challenged on different grounds. Below are few methodological suggestions on how to make this study more empirically valid:

a) It can be criticized for the fact that the hypothesized relationship between economic incentives and reforms is valid only in countries in democratic transition from military dictatorship. However to remedy the selection bias, the applicability of the theory to countries in transition from other regimes can be tested in com-

14 "Portugal and the IMF," IMF, <https://www.imf.org/en/Countries/PRT>, 10.12.2019

15 "Argentina and the IMF," IMF, <https://www.imf.org/en/Countries/> (12.12.2019)

16 "Peru and the IMF," IMF, <https://www.imf.org/en/Countries/> (10.12.2019)

plementary studies.

b) One of the great weaknesses of the study is that the dependent and independent variables barely vary in the case of South American countries. These countries were given no or almost no incentive, and they produced no or almost no reform. However, this weakness can be remedied by employing Mill's method of difference and agreement. Given that *ceteris paribus* condition holds the difference in the value of dependent variable should normally be caused by the difference in explanatory variable. But this method does not reveal the nature of relationship between explanatory and dependent variable, whether it is linear, curvilinear or etc. It might quite be that the effect of the explanatory variable kicks in after a certain threshold. For all these reasons it is important that a number of case studies be conducted and the exact nature of relationship between independent and dependent variable be discovered.

c) This study assumes that political changes in the above-mentioned countries – transition from military regime to democracy - took place for political reasons. The validity of the study will be undermined if it is proven that regime change in any of these countries was economically motivated. If this is so than an incumbent party has a mandate to produce economic reforms regardless of foreign incentives. This problem is commonly known as the omitted variable bias. It is crucial to supplement this study with single case studies of Spain and Portugal to account for the sources of the regime change in these countries. However, even if the economic effects are discovered to be important, they can be controlled, which will allow the estimation of the impact of incentives. As long as these two variables are not correlated they will not bias the estimates of the effects of each one of them on the dependent variable.

d) And finally, it might be objected that the study suffers from the endogeneity problem. That, economic reforms might actually prompt foreign actors to give reformist governments more incentives. For this purpose a small operational trick can be performed to dissect the explanatory variable – economic incentives – into two separate variables. One variable would represent incentives provided for performed economic reforms, and second variable will be incentives for future economic reforms. In this case it is crucial to employ the method of process tracing, and single out government expenditures conducted without conditionality clause from foreign actors from government expenditures stipulated by foreign actors. Such process-tracing involves careful analysis of the briefs of economic department and parliament bureaus, and scrupulous analysis of archived documents. Unfortunately material and temporal scarcities at the moment do not allow for a more comprehensive analysis.

REFERENCES:

- Downs, Anthony (1985). An economic Theory of Democracy, Addison Wesley Publishing Company
- Eckstein, H. (1989). Comparative politics: a reader. Surjeet Pub.
- Huggard, Stephan (1995). Political Economy of Democratic Transitions, Princeton Academic Press
- Landman, Todd (2008). Issues and Methods in Comparative Politics, Routledge
- Linz Juan and Alfred Stepan (1996), Problems of Democratic Transition and Consolidation, Baltimore: The John Hopkins University
- So, Alvin (1990). Social Change and Development, Sage Publications
- <https://www.imf.org/en/Countries/ARG> (10.12.2019).
- <https://www.imf.org/en/Countries/ESP>(10.12.2019).
- <https://www.imf.org/en/Countries/PER>(10.12.2019).
- <https://www.imf.org/en/Countries/PRT>(10.12.2019).

თავისუფლების რისკები

სალომე ხიზანიშვილი

საქართველოს მენიკური უნივერსიტეტის სამართლისა და
საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
პროფესორი

აბსტრაქტი

ადამიანის თავისუფლების საკითხი არსებობს საზრისის ძიების თემატიკიდან ერთ-ერთი ძირითადია. ცნობილია აზრი იმის შესახებ, რომ თავისუფალ ნებას ადამიანის არსება ერთგვარად მძევლად ჰყავს აყვანილი და გონიერი საკუთარი მოქმედების გეგმას სთავაზობს - ზოგჯერ საზრისსდებულს და ზოგჯერ უსაზრისოს. განსაკუთრებით აძლიერებს უღმერთო გონიერას, რომელსაც მხოლოდ ძალაუფლება და ძალადობა სწადია. ბუნებრივია, ამ სიბრტყეზე ზნეობრივი სიცოცხლე მაღლსა და ღირსებას კარგავს და უკიდურეს შემთხვევაში, ადამიანს ისლა დარჩენია, საკუთარი თავისგან დახსნა და გადარჩენა ითხოვოს. უდავოდ! ისტორიული ხდომილებები ათვალისაჩინოებს, თუ რამდენად ძვირი ფასის გადახდა უწევს „ყოფნის ნაკლებობით“ ტანკვაში, სასონარკვეთილებასა და სინანულში ჩავარდნილ ისტორიულ ადამიანს.

ახალი და უახლესი ისტორია (XVIII საუკუნიდან დღემდე), დიდი რყევების სპექტრით გამოირჩევა. პროცესი, ძირითადად, ორი უმთავრესი ცვლილების ფონზე მიმდინარეობს. პირველი, თავისუფლების ცნობიერება, როგორც ცივილიზებული ადამიანის მორალის საფუძველი და მეორე, სამეცნიერო-ტექნიკური ცივილიზაციის დინამიურობა. ტექნიკური გონის მიღწევები საბუნებისმეტყველო აზროვნების შედეგია, რომელიც სარგებლიანობის პრინციპებით ხსნის ჭეშამარიტების საკითხს და სულიერი იდეალების გვერდის ავლით, ცოდნის გავლენებს აღიარებს; ხოლო თავისუფლების ცნობიერება, როგორც ისტორია ადასტურებს, უარეს შემთვევაში, „უფერესობის დომინაცია“ განზე ტოვებს და უფრო მეტიც, მას მკვდრად აცხადებს. ორივე შემთხვევაში ადამიანის თავისუფლების მიზანსწრაფვა ვლინდება და რაც მთავრია, ორივე შემთხვევაში „გვინდა თუ არა, ვმოქმედებთ და ამ დროს ჩვენი სახიფათო თავისუფლებით ვსარგებლობთ“. პრობლემებიც აქ ჩნდება. წარმოდგენილ ნაშრომში სწორედ სახიფათო თავისუფლების რისკებზე ვაკეთებთ აქცენტებს.

საპარაგო სითყვება:

ისტორია, თავისუფლების რისკი, „დმერთის სიკვდილი“, სამყაროს დამორჩილება, სამყაროს ნდობა.

RISKS OF FREEDOM

SALOME KHIZANISHVILI

PROFESSOR OF THE FACULTY OF LAW AND INTERNATIONAL RELATIONS OF GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ABSTRACT

A question of Human Freedom is general one from the existance notion matters. There's a claimed viewpoint about the free will which has taken hostages and offers an action plan to mind – sometimes notional or genuine. It strengthens godless mind which only intends authority and violence. Typically in this field moral life doesn't lose its grace and dignity and there is only one way left for human to make himself free from himself. Without a doubt! Historical probabilities make everything crystal clear what being in misery of „lack of existence“, compunction and disperity requires from historical human .

A new and the newest history (from XVIII century) consists of untold timeline. However, modern times are also focused on many other discoveries. We mention two of them: the first one, consciousness of freedom

as a foundation of civilized human being and the second one scienticial-technological dynamics. The achievements of technical intellect are the result of natural mentality, which shows the truth and by circumventing recognises only the influences of knowledgement; Besides, at worst, as history's shown, consciousness of freedom not only circumvents „usefulness god“ but annoumces as dead. In both ways intention of human's freedom is showm and it's relevant that in both ways . „If we want it or not, we act and at this time we take advantages of our risky freedom“. And that's where the problems come out. We're telling you about the risks of the dangerous freedom in this worksheet.

KEYWORDS:

history, Risk of freedom, „death of god“, obeying the world, world trust.

პირითადი თექსტი

ჩნდება ბუნებრივი კითხვა: რამ გაპირობებს ადამიანის სახითათო, „დამაბნეველ თავისუფლებას“? პასუხი, ძირითადად, ორგვარია: ეგზისტენციალური სასოწარკვეთილება ან ადამიანური გონიერი ვნებები, პოზიტიურიც და ნეგატიურიც.

ქრისტიანული სახლის დიდი ბინადარი, წეტარი ავგუსტინე, პირველის თაობაზე ღვთაებრივი წესრიგისა და მისი შემოქმედისადმი, საკუთარ განცდებს შემდეგნაირად გადმოგვცემს: „და ახლა ჩვენში იღვიძებს სიკეთის ქმნის სურვილი, მას შემდეგ, რაც ჩვენს გულში შენი შეგონებით აღიძრა იგი. მანამდე ვი ჩვენ, შენგან განშორებული, ბოროტებისათვის თუ აღვიძროდით. შენ ვი, ღმერთო ერთო და ყოვლად კეთილო, არასოდეს შეგინყვებია სიკეთის ქმნა. შენი წყალობით ჩვენც მოგვევებენება თითო-ოროლა კეთილი საქმე, მაგრამ წარუვალნი როდი არიან ისინი, თუმცა იმედი გვაქვს, რომ მათი დასრულების შემდეგ განვისვენებთ შენს სიწმინდესა და სიდიადები“. [1.308] მკაფიოა, დიდი აღმსარებლის აზრით, „ადამიანი ღმერთთან, როგორც მარადიულობასთან, კავშირით საკუთარი არსებობის საზრისს პოულობს და ეს ხდება მისი თავისუფალი ნების საფუძველზე“. [5.101] მაგრამ მედლას ორი მხარე აქვს! წეტარს კარგად მოეხსენება „ზეციურ“ და „მინიერ“ ქალაქებს შორის დიდი უფსკრულის არსებობა და ცხოვრებისული უსამართლობანი. მსგავსი ფაქტები საიმისოდ ღრმა და რეალური მიზებია, რომ ცხოვრებისეულ სიძნელეებთან პირისპირ მდგომ თეოლოგის, რელიგიური ეპოქისათვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულების გარდა, ადამიანურ ისტორიაში ამქვეყნიური სა-მართლიანობის მოპოვების ნაკლები იმედი ჰქონდეს. მაგრამ მისი გადასახედიდან, სამყაროსთან ადამიანური კავშირი იმ სიკეთებით იყვება და მყარდება, რომლებიც ადამიანის სულის, მისი გენის სადიდებელი და ამდენად, მისი არსებობის გადამრჩენია. დიდი თეოლოგი ამ იდეალებით თანაბიარობს კაცობრიობასთან.

ადამიანის საბედისწეროდ არსებობს სხვა მიღვიმაც! „... არსებობს ცივი, თეორიული პასუხი კითხვაზე სამყაროს სიკეთის შესახებ“. [4.259] ამ გზაგასაყართან მეოცე საუკუნის დასაწყისში ფრიდრიხ ნიცშე დგას, სიცოცხლის ფილოსოფიის მგრძნობიარე წარმომადგენელი. მოაზროვნე, რომელიც ადამიანური სიკეთების სამსახურისთვის სამყაროს მამოძრავებელ ღმერთს ვი არა, ძალაუფლების ნებით შეპყრობილ, საკუთარი შემოქმედებითი პათოსით აღსავს ისტორიულ ადამიანს უხდის დიდების ხარვს.

ფრიდრიხ ნიცშეს შეფასებით, ადამიანი საკუთარი ინსტინქტების „სახითათო უარმყოფელი“, უიღბლო არსებაა, მაგრამ საინტერესო. საკითხის მისეული განმარტება ასეთია: ადამიანის უიღბლობის მიზები სიცოცხლის არსობრივი პრინციპების ღალატი, ანუ ბუნებრივი ინსტინქტების უარყოფა და სიყალებები აშენებული მორალისადმი მისი ერთგულებაა; მაშინ, როდესაც ადამიანს ხიბლს აძლევს და საინტერესოს ხდის მისი მაძიებელი ბუნება, შემოქმედითობა და სიცოცხლის ძალებთან მისი დიონისური შერკინება, რაც იგივეა, რისკის უნარი, აღსავს ადამიანური პასუხისმგებლობის ღრმა განცდებით. ნიცშეს შემოქმედებაში, ამ საარაკო სიმამაცის მატარებელი ზევაცია აზროვნებასა და ისტორიაში ახალი ღირებულებებისა, ახლი მორალის მაცნე და დამფუძნებელი. მისი მოვალეობა-ვალდებულებები მიზანმიმართული და მიზანშეწონილია; მას, როგორც ისტორიის განმახლებელს, რეალობა, ცხოვრება წვრთნის და აყალიბებს, წინააღმდეგობებითა და პარადოქსებით, რომელთა დაძლევა მისი სულიერი სიძლიერის წინაპირობაცაა; ამ გზების გავლით ის საკუთარ არსებას უღრმავდება, ანუ საკუთარ მისიას შეიგრძნობს, რაც იმის გარანტია, რომ ის სწვდება და ეუფლება სიცოცხლის არსება, მის მუნიკოფნას. ხოლო სიცოცხლის არსება ძალაუფლების ნებაა, როგორც მისი უპირობო მამოძრავებელი, როგორც სამყაროს მარადიული არსებობისა და მარადიული დაბრუნების არსობრივი საფუძველი. ამ ასპექტით იკვეთება ზევაცის საბოლოო მიზანიც სიცოცხლის განახლება-გაუკვდავება და ადამიანის (უპირველესად და უმთავრესად, ისტორიული ადამიანის!) „ძლევა“.

ნიცშე საკუთარ ფილოსოფიურ შემოქმედებაში ამკვიდრებს და იცავს შემდეგ პრინციპებს: სიცოცხლე-ძალაუფლების ნება-ზეკაცი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცნობილი ხდება და იკვეთება მისი მოძღვრების ღრმა პოლიტიკური ელექტრონი. ძალაუფლების ნება, როგორც ექსპლოატაცია, ამ სიტყვის აბსოლუტური და ყველაზე მწვავე გაგებით, ცხადდება ისტორიის მამოძრავებელ ძალად და ამ პოზიციით უპირატეს ღირებულებად; ის გადაგვარებული, პრიმიტიული ან სულაც არასრულყოფილი საზოგადოების ნიშანი კი არაა, პირიქით, სიცოცხლის არსში დევს. მისი ძირეული ფუნქცია და შინაგანი ლტოლვაა, ისაა ყოველგვარი და ნებისმიერი ისტორიის სფეროებთა საფუძველი. ამ არგუმენტით ფილოსოფოსი ძლიერი სიცოცხლის, ძლიერი ადამიანის, ანუ სულით ბატონის მხარებეა, მათი ინტერესების გამტარებელია და რაც კიდევ უფრო საგონებელში გვაგდებს, ნებისმიერი რისკის ფასად! ადამიანური ყოფის განახლების მოთხოვნით იგი კიდევ ერთხელ უცხადებს დაუნდობელ ბრძოლას ქრისტიანულ მორალს, როგორც დევადენტურს, როგორც ყოველგვარი სულიერი წარმატების მონინააღმდეგეს, ბოროტისადმი შემგუებელსა და ძალადაკარგულს; და ამავე მოტივით უარს აცხადებს დამონებული, გადაგვარებული, აფაღმყოფური, დაჩაგრული, ღირსებააყრილი, ტანკული სიცოცხლის დაცვაზე; ხოლო სიცოცხლესთან ახალი, ჭანსაღი კავშირების აღსადგენად, თანახმობას უცხადებს მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სარისკო საქმიანობას, როგორებიცაა: ომი, მკვლელობა, სისასტიკე, სადაც შესაძლებელი და დასაშვებია სუსტა, უღონოთა, დამცირებულთა, სულითა და სხეულით ავადმყოფთა მოსპობა.

უდავოა, ყოფიერების საფუძვლად ძლაუფლების ნების, როგორც მკაცრი ექსპლოატაციის გამოცხადება, ან ზეკაცის მიერ მონიშნული რისკიანი გზა, ადამიანურ რეალობაში მკაცრ, დაუნდობელ ნესებს ამკვიდრებს. ამ რეალობას შესანიშნავად უღებს აღლოს გერმანელი გენიოსი. მაგრამ ეს ფაქტი, დროდადრო მაინც, მის წუხილსა და უიმედობას არ იწვევს. პირიქით! სიცოცხლის ფილოსოფოსის ჩანაფიქრი მიმართულია სიცოცხლის ძლიერი საწყისების ჩამოყალიბების აუცილებლობასა და მათ დაცვაზე, მათ გადარჩენაზე, რომელიც ხელვიფება მხოლოდ შემოქმედებითად დაჲკილდოებულ, გამარჯვების უინით შეჰქორბილ, განვითარება-აღმავლობის პათოსით შთაგონებულ, სულიერად და ფიზიკურად ძლიერ სუბიექტებს. ამ როლში შესაძლებელია ვივარაუდოთ ისტორია, ქვეყანა, ერი, ცალკეული ინდივიდი.

ბუნებრივია, ეპოქალური გენიოსის მიმართ მძაფრი, ტკივილიანი საყვედურის გრძნობა გვიჩნდება, მაგრამ ამავდროულად მივყვებით რა მის გულისთქმას, ერთგვარად თანავუგრძნობთ კიდეც. თანავუგრძნობთ იმ აზრით, რომ საკუთარი წარმოსახვებით შთაგონებულ დიდ მოაგროვნეს, საბოლოოდ, ნიჟილიზმის სენისაგან თანადროული ადამიანის დაძლევა და გადარჩენა სურს. ანუ, რაც იგივეა, მას სურს ადამიანი აბობოქრებული თავისუფალი ნების ხითათებისაგან დაიხსნას. მაგრამ სავითხავია, სიცოცხლის ფილოსოფოსის იდეური ჩანაფიქრი მოდის შესატყვისობაში მის ჰუმანურ განგრძნებითან?! არა და არა! საკუთარი ხილვების სავარაუდო შედეგებზე მან თავადაც კარგდ უწყის. აი, რას წერს იგი: „სისხლი ჭეშმარიტების უხამსი მონამეა; სისხლი სწამლავს უწმინდეს მოძღვრებას და ქმნის მას შეძლილობად და გულთა მძულვარებად“. [3.93]

სიცოცხლის ფილსოფოსის ჭანსაღ მსოფლმხედველობრივ შეხედულებებთან თანაზიარობით, რიუდიგერ საფრანსკი სამართლიანად წერს: „იყო წამები, როცა ნიცშეს სურდა სინამდვილეს დაემარცხებინა, მაგრამ სინამდვილემ ის არ დაამარცხა. მართლაც ისე მოხდა, როგორც ნიცშემ იწინასწარმეტყველა. მისი „ჭეშმარიტები“ სინამდვილედ იქცა და რადგან ეს ერთხელ მოხდა, შეიძლება, კვლავ მოხდეს. ჰიტლერმა კარი შეამტკრია და ზღურბლს გადააბიჭა. რაღაც გამოუსწორებელი მოხდა, მას მერე ადამიანის ხატი შეიცვალა. ამიტომ აუშვიცი რჩება წარსულად, რომელიც არასოდეს ჩაივლის - აწყვეტილი თანამედროვეობის ნიშანსვეტად“. [4.227]

მკაფიოდ დაუდავოა, ჩვენი თანამედროვეობამრავალი წარმატების მომსწრეა. თავისუფლების ცნობიერებამ ბევრი რამ შემატა ადამიანის ბუნებრივ ყოფას, მის ცივილურ ცხოვრებას, (დღესდღეობით, მაგალითის სახით, აღნიშნულზე მსოფლიო პანდემიასთან ბრძოლის არსებული შედეგებიც იძლევა ცნობებს). ართერს ვამბობთ ადამიანის სასიკეთოდ მიმართულ სხვადასხვა სახის ტექნოლოგიურ მიღწევებზე, პოლიტიკურ-სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში არსებულ სასიკეთო სიახლეებზე. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კაცობრიობას სხვა მრავალი გასაჭირი აქვს, მას კვლავ ბევრი აქვს გადასალახი.

მეოცე საუკუნის დიდი ფსიქოანალიტიკოსი, ზიგმუნდ ფროიდი ადამიანური სამყაროს, მისი ბენების უმთავრეს სიძნელეებზე აკეთებს აქცენტებს. ნაშრომში „კულტურით უკმაყოფილება“, იგი წერს: „ჩემი აზრით, კაცობრიობისათვის საბედისწერო მნიშვნელობა აქვს საკითხს იმის შესახებ, მოახერხებს თუ არა - და თუ მოახერხებს რამდენად - კულტურული განვითარების გზაზე დაიმორჩილოს აგრესისა და თვითგანადგურებისავენ ლტოლვა, რომელიც შეუძლებელს ხდის ადამიანების თანაცხოვრებას. ამ თვალსაზრისით ჩვენი დრო აღბათ განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს“. [6.97]

დიდი მოახროვნე მტკივნეულ დიაგნოზს სვამს, მაგრამ იმის ვალდებულებასაც აკისრებს ისტორიულ

ადამიანს, რომ „მაინც ღირს“ და უნდა ჩავეჭიდოთ კულტურის (მიუხედავად ადამიანზე „აუტანელი ზენოლისა“!) განვითარების მიზანს, რომელიც შესამჩნევ პროგრესსა და შვებას გვპირდება.

სამართლიანად შენიშნავს ჰანს-მარტინ ლომანი, კულტურა „ფრონტის გვიანდელ ნაშრომში მოულოდნელად მაშველ რგოლად გვევლინება. კულტურა, როგორც მუდამ არსებული საფრთხის გზაზე ბარბაროსობაში დაბრუნების ბასტიონი...“ [6.179]

„ისლა დაგვრჩენია, აგრძელებს „დიდი გამოცანების შემქმნელი და ასევე დიდი გამოცანების ამომცნობი“, იმედი ვიქტორიოთ, რომ მეორე „ზეციური ეროსი“ - მარადიული ეროსი, - ყველა ღონეს იხმარს საკუთარი უფლებების დასაცავად თავის უკვდავ მოწინააღმდეგესთან ორთაბრძოლაში. მაგრამ ვინ იცის, ვის დარჩება გამარჯვება, ვინ შეძლებს ბრძოლის ბედ-ილბლის განტვრეტას?!“, [2.97] საბოლოოდ ორჭოფულ კითხვასთან გვტოვებს დიდი მოაზროვნე.

XX საუკუნეში, სიკვდილისა და სიცოცხლის ორთაბრძოლაში ეროსმა გაიმარჯვა. მაგრამ ღრმად დამაფიქრებელი და საგანგაშოა ისიც, რომ „დამაბნეველი თავისუფლების“ რისკიანი და საბედისწერო გზა მიღიონობით ადამიანის მსხვერპლით დაიფარა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ XX საუკუნეში, მოსალოდნელი უკიდურესი გამოწვევების არსებობის წინასწარმეტყველებით, ნიცხემ უთუოდ დაასწრო ფრონტის, მაგრამ ის, რომ მმართველი ადამიანის რასის გაჩენას „არ შეიძლება ეკუთვნოდეს უკანასკნელი სიტყვა“, ფრონტის ეკუთვნის.

ჩვენი მხრივ ვადასტურებთ, გარდაუვალი აუცილებლობაა ისტორიულმა ადამიანმა მძიმე წარსულიდან, საღი ამონვნებით, გონივრული დასკვნები გააკეთოს და ისტორიის მსვლელობა ჰუმანიზმისაკენ მიმართოს. სხვა შემთხვევაში ბირთვული შეიარაღების ეპოქაში მისი „დამაბნეველი თავისუფლება“ კვლავაც დიდ რისკებსა და სახითაო ადგილებსაჩენს.

დასკვნა

ადამიანის თავისუფლების საკითხი არსებობის საზრისის ძიების თემატიკიდან ერთ-ერთი ძირითადია.

ერთი თვალსაზრისით, ადამიანი თავისუფალი ნების საფუძველზე, ღმერთთან კავშირით, საკუთარი არსებობის საზრისს პოულობს.

მეორე თვალსაზრისით, თავისუფლების ცნობიერებით, ადამიანი სუსტი მორალისგან თავისუფლდება და ისტორიის მსვლელობას ძლიერ საწყისებზე აფეხდებს.

მესამე თვალსაზრისით, ადამიანის თავისუფლებას თან სდევს თვითგადაცდომის საფრთხე, რაც უკავშირდება აგრესისა და თვითგანადგურებისაკენ ბუნებრივ ადამიანურ ლტოლვებს.

საბოლოო სიტყვა თავისუფლების დრამაში ეკუთვნის ადამიანურ კულტურას, როგორც „ბასტიონს ბარბაროსობაში“.

REFERENCES

1. The Confessions of St. Augustine . Publish house of Tbilisi Independent University, “NEKERI”, TBILISI, 1996.
2. SIGMUND REUD, Dissatisfied By Culture. ILIA STATE UNIVERSITY PRESS, TBILISI, 0162, GEORGIA, 2012.
3. Nietzsche Friedrich, Thus Spoke Zarathustra. TBILISI, 1993.
4. Rudiger Safranski, DAS BOSE ODER DAS DRAMA DER FREIHEIT. Carl Hanser Verlag Munchen 1997. ILIA STATE UNIVERSITY PRESS, TBILISI, 0162, GEORGIA, 2015.
5. Khizanishvili S., Gabisonia I., Taliashvili A., “Justice - Philosophical-Legal Aspects”. Universal Publishing House, Tbilisi, 2019.
6. Nans-Martin Lohmann, SIGMUND REUD. gamomcemloba “PEGASUS”, 2008.

შურისძიებით ჩადენილი მკვლელობის სისხლისსამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები

რამაზ კვარაცხელია

**დავით აღმაშენებლის სახელობის სამართლებრივი მროველი
თავდაცვის აკადემიის მამისთრაურის უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების პროფესორი, სამართლის დოკტორი.**

პრესტიჟი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია შურისძიებით ჩადენილი განმრავ მკვლელობის სისხლისსამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები. მასში დეტლურად არის გადმოცემული განმრავ მკვლელობის სუბიექტური შემადგელობის ნიშნები. განმარტებულია პირდაპირი განმრავის და არაპირდაპირი განმრავის ცნებები. ასევე მნიშვნელოვანია სტატიაში მოყვანილი სუბიექტური შემადგენლობის ისეთი ნიშნების კვლევა, როგორიცაა დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი. აღნიშნული საკითხების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩადენილი ქმედების მკვლელობად დაკვალიფიცირებისათვის. გარდა ამისა, განმრავის, მოტივისა და მიზნის გარკვევას აქვს მნიშვნელობა სასჭელის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას, რადგან დანაშაულის მოტივი, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება იყოს, როგორ დამამძიმებელი, ასევე შემამსუბუქებელი გარემოება.

ნაშრომში განხილულია შურისძიების ცნება, რომელიც, სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, არის დანაშაულის (მკვლელობის) მოტივი; ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ შურისძიება არის დანაშაულის ჩადენის მიზანი და არა - მოტივი.

საკვანძო სიტყვები:

სისხლის სამართალი, განმრავ მკვლელობა, შურისძიება, მოტივი, მიზანი, დანაშაული.

CRIMINAL AND PSYCHOLOGICAL ASPECTS OF REVENGE MURDER

RAMAZ KVARATSKHELIA

PROFESSOR OF DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENSE ACADEMY OF GEORGIA, MA PROGRAM OF SECURITY STUDIES (J. D)

ABSTRACT

The paper discusses the criminal and psychological aspects of premeditated murder committed for revenge. The paper presents in detail the signs of the subjective composition of premeditated murder. The concepts of direct intent (dolus directus) and indirect intent are explained. It is also important to study the signs of subjective composition in the article, such as the motive and purpose of committing the crime. The study of these issues is of great importance for qualifying an act committed as murder. Also, clarifying the intent, motive, and purpose of the sentence is important in deciding whether to impose a sentence, as the motive for the crime may in some cases be both aggravating and mitigating circumstances.

The paper discusses the concept of revenge, which, according to the prevailing opinion in the criminal literature, is the motive for crime (murder). As a result of the research made by us, we came to the conclusion that revenge is the purpose and not the motive for committing a crime.

KEYWORDS:

criminal law, premeditated murder, revenge, motive, purpose, crime.

შესავალი

სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულთა შორის ერთ-ერთი უმძიმესია განჩრას მკვლელობა. იმისათვის, რომ ქმედებას მიეცეს სწორი შეფასება და დადგინდეს მკვლელის პიროვნება, აუცილებელია ჩატარდეს სრული საგამოძიებო მოქმედება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ირღვევა სისხლის სამართლის მატერიალური და პროცესუალური ნორმების მოთხოვნები. დეტალურად არ არის შესწავლილი მკვლელობის შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური მხარის ყველა ელემენტი. თუ არ გაირკვა საქმის ვითარება, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს თვითმკვლელობას, არანაძალადევ სიკვდილს, უბედურ შემთხვევას და ა. შ.

მრავალ მეცნიერებას შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანატოლოგიას, რომელიც შეისწავლის კვდომის პროცესს, სიკვდილს, მის მიზეზებს და პოსტმორტულ ცვლილებებს. მაგრამ უშეალოდ იმ საკითხებით, რითაც დაინტერესებულია სამართალდამცავი, მართლმსაჭულების და ფანდაცვის ორგანოები, შეისწავლის სასამართლო-სამედიცინო თანატოლოგიას.

მკვლელობის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, სუბიექტური მხარის ფაკულტატიური ელემენტების გარკვევას, როგორიცაა დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი.

იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის ქცევის შეფასება, ამ ქცევის მოტივისა და მიზნის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია, შესწავლილ უნდა იქნას თითეული მათგანის მნიშვნელობა. მოტივი და მიზანი ფსიქოლოგიური კატეგორია და ფსიქოლოგიის შესაწავლის სფეროს განეკუთნება. სისხლის სამართლის ლიტერატურაშიცნობილია, რომ დანაშაულის ჩადენის მოტივი არის პირის შინაგანი მდგომარეობა, რაც მას უბიძებს და რომლითაც ის ხელმძღვანელობს კონკრეტული დანაშაულის ჩადენის დროს.

შესაბამისად, ამ საკითხის კვლევას აქვს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნამრობის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი ეყრდნობა ფუნდამენტური დებულების შესწავლას, რომლებიც გზებდება თეორიულ შრომებში (სისხლის სამართალი, ფსიქოლოგია და კრიმინოლოგია). კვლევის პროცესში, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის, სპეციალური ლიტერატურის შესწავლისას, კომპლექსურად გამოიყენებოდა ფორმალურ-იურიდიული, შედარებით-სამართლებრივი, სისტემურ-ლოგიკური მეთოდები.

მკვლელობა არის ადამიანის სიცოცხლის არასამართლებრივი ანუ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოსპობა (შეწყვეტა).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განჩრას მკვლელობისათვის. მკვლელობის ეს სახე იმდენად გასაგები და ცნობილია, რომ კანონმდებლებმა მისი ცნება მოათავსა მარტივ დისპოზიციაში, რითაც გამორიცხა საკანონმდებლო წესით მისი განმარტება. მკვლელობის ეს სახე გულისხმობს ადამიანის სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგოდ განჩრას მოსპობას. ასეთ მკვლელობას ადგილი აქვს შურისძიების ან ეჭვიანობის ნიადაგზე, ასევე ჩხების დროს, ურთიერთშელაპარაკების დროს.

სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე, 111-ე, და 113-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების შემადგენლობას, კერძოდ, ხსნებული მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებულ ნიშნებს.

მკვლელობის გვარეობით ობიექტს წარმოადგენს ადამიანი, ხოლო უშეალო აბიექტი არის ადამიანის სიცოცხლე. ობიექტური მხარე გამოიხატება დამნაშავის ქმედებაში. ამ დროს აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა დამნაშავის ქმედებასა (მოქმედება და უმოქმედობა) და სიკვდილს შორის, ე. ი. უნდა გაირკვეს, იყო თუ არა ქმედება სასიცოცხლო შედეგის აუცილებელი პირის, რის გარეშეც იგი ვერ დადგებოდა.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლში განმარტებულია მიზეზობრივი კავშირის ცნება.

1. თუ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია, ან ასეთი შედეგის განხორციელების

კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის; ამდენად, მკვლელობა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი - სიკვდილი გამოიწვია, ხოლო მკვლელობის მცდელობას მაშინ აქვს ადგილი, როცა ქმედებამ სასიკვდილო შედეგის დადგომის კონკრეტული საფრთხე შექმნა.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კოდექსმა ქმედება არამარტო მაშინ ჩათვალა მიზეზობრივ კავშირში შედეგთან, როცა ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო და ხელს უწყობს დანაშაულებრივი შედეგის დადგომას, არამედ მაშინაც, როცა შექმნა ასეთი შედეგის დადგომის საფრთხე.

ზემოთ თქმულიდან ნათელია ის, რომ მიზეზობრივი კავშირის დადგენა საჭიროა, მხოლოდ მატერიალური (შედეგიან) ან რეალური საფრთხის შექმნები დალიქტებში.¹

2. მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჟერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.

მკვლელობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია მიზეზობრივი კავშირის არსებობა დამნაშავის ქმედებასა და ამ ქმედებით გამოწვეულ შედეგს შორის. ამდენად, აუცილებელია დადგენა იმისა, რომ ადამიანს სიცოცხლე მოესპონ სწორედ ამ პირის მიერ ჩადენილი ქმედების გამო. ამ ქმედებით არის გამოწვეული სიკვდილი, როგორც მისი აუცილებელი შედეგი და არა სხვა, შემთხვევითი ხასიათის მქონე გარემოებებით.

სუბიექტი დანაშაულისა არის ადამიანი. პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის, ერთ-ერთი საფუძველი არის მისი შერაცხადობა.

სუბიექტური მხარის დადგენის დროს ყურადღება უნდა მიექცეს განზრახვის სახეს და მის შინაარსს, რადგან ყოველ საქმეზე აუცილებელია დადგინდეს მკვლელი პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა, თუ არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით.

მაგალითად, თუ პირი არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდა, ე. ი. უშვებდა სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ სასიკვდილო შედეგი არ დადგა, ქმედება დაკალიფირდება ფაქტობრივად განხორციელებული შედეგის მიხედვით. ხოლო, თუ ქმედებას არანაირი შედეგი არ მოჰყვა, ასეთი ქმედება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევს სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლით.

განზრახვა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა პირმა მიიღო ნებელობითი გადაწყვეტილება, იმოქმედოს. სისხლისამართლებრივ მნიშვნელობას იგი იძენს მხოლოდ მაშინ, როცა პირი შეუდგება მის განხორციელებას. განზრახს მოქმედებად ითვლება ისეთი შეგნებული და მიზანდასახული მოქმედება, რომელიც მიმართულია სისხლის სამართლის ვანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიღწევისაკვენ. განზრახვის დროს გადაწყვეტილება ყოველთვის წინ უსწრებს მოქმედებას, იგი მომავლისკვენაა მიმართული.

მკვლელობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია განზრახვის დადგენა, რაც შესაძლებელია არამარტო ბრალდებულის ჩვენებით, არამედ - მის მიერ განხორციელებული ქმედებით. მკვლელობის ან მკვლელობის მცდელობის ჩამდენ პირს და მათ დამცველს ყოველთვის რჩებათ შესაძლებლობა უარყონ მკვლელობის განზრახვის არსებობა, მაგრამ, როდესაც პირი შეგნებულად ურტყამს დანას სიცოცხლისათვის საშიშ ისეთ ადგილზე, როგორიცაა მარკავნა გვერდი, მუცლის და პლევრის ღრუ, რის შედეგადაც ზიანდება სიცოცხლისათვის აუცილებელი ორგანოები, მაშინ უსაგნოა საუბარი მკვლელობის განზრახვის არარსებობაზე.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად:

1. განზრახს დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით.

2. ქმედება პირდაპირი განზრახვითა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ან/და ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

როგორც პირდაპირი განზრახვის განმარტებიდან ჩანს, არსებობს ორი ვარიანტი პირდაპირი განზრახვით ქმედების ჩადენის.

1. ვარიანტი: ქმედება პირდაპირი განზრახვითა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი.

2. ვარიანტი: ქმედება პირდაპირი განზრახვითა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის

¹ ტურავა მ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2006 წ. გვ. 42. გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ. გვ. 90. ფანჯივიძე თ. სისხლის სამართალი. (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა.) თბ. 2003 წ. გვ. 31

შესაძლებლობას და ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

3. ქმედება არაპირდაპირი განზრახვითა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

თუ სხეულის მძიმე დაზიანებამ გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი, მაშინ ქმედების კვალითივაცია განზრახვის შინაარსის დადგენის გარეშე შეუძლებელია; ანუ უნდა დადგინდეს: პირი სხეულის დაზიანების განზრახვით მოქმედებდა თუ - მოკვლის. ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია სუბიექტური და ობიექტური გარემოებების ერთობლიობაში განხილვითა და შეფასებით.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მხოლოდ სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ორგანოების დაზიანების ფაქტი არ არის საკმარისი მკვლელობის განზრახვის დადასტურებისათვის. აქ ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის ქცევას მკვლელობის ჩადენამდე და მის შემდეგ; ასევე, მის ემოციურ დამოკიდებულებას დამდგარი შედეგისადმი.

დანაშაულისჩადენისშემთხვევაში, მთავარიადგილიუჭირავსადამიანისქცევას, რომელიცდაკავშირებულია მართლსაწინააღმდეგო შედეგთან ან ასეთის სათრთხის შექმნასთან. ვინაიდან მართლსაწინააღმდეგო რეზულტატი ე. ი. დანაშაული დაკავშირებულია დამნაშავის გადაწყვეტილების ფსიქოლოგიურ მექანიზმთან, შეუძლებელია ასეთი შედეგის დადგომა სუბიექტის შინაგანი აქტისაგან მოწყვეტით.

ამდენად, მოტივი არის ის ფსიქიკური საზრისი, რის გამოც გადაწყვდა ამა თუ იმ ქმედების ჩადენა ე. ი. ისმის კითხვა: რატომ უნდა სუბიექტს? რა საზრისი დევს ამ მიზანში?

იურიდიულ ლიტერატურაში აკრიტიკები იმ ავტორებს, რომლებიც მოტივს მოთხოვნილებასთან აიგივებენ და დანაშაულებრივი ქცევის აღმძვრელი მოთხოვნილება ამ დანაშაულის მოტივად მიაჩნიათ.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგო აღ. უღენტი აღნიშნავს, რომ ასეთი მოსაზრება მცდარია, რადგან მოთხოვნილება პირველადია, მოტივი - წარმოებული მეორადი. მოთხოვნილება არის სუბიექტის რაიმე საჭიროების განცდის მდგომარეობა, ხოლო მოტივი არის ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ან არდაკვაყმაყოფილების შესატყვისი მოქმედების დასაბუთება-გამართლება.³

აღ. უღენტი ასევე აღნიშნავს, რომ მოტივი გვიჩვენებს, თუ რატომ მოიქცა პიროვნება ასე და არა - სხვანაირად; რითი ხელმძღვანელობდა ამ დროს, ხოლო მიზანია ის, რისვენაც ის მისწრაფვის. აღ. უღენტი უდავოდ მართალია იმაში, რომ მოტივი და მოთხოვნილება არ არის იგივეობრივი.

დანაშაულის ჩადენის საფუძველი, ჩვენი აზრით, არის მოტივი და არა - მოთხოვნილება. მოთხოვნილება - ეს ინდივიდის სოციალური დამოკიდებულებაა მისი დაკმაყოფილების საგნებისადმი; ის ყოველთვის არსებობს და ყოველ ადამიანს აქვს გარკვეული ხასიათის მიხედვით, მაგრამ ყოველი ადამიანი როდი სჩადის დანაშაულს. ამიტომ დანაშაულის ჩადენის მთავარი, ანუ პირველადი საფუძველი არის მოტივი.

ახლა დავუძრუნდეთ იმ საკითხს, თუ რა არის დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ მოტივი არის ის საფუძველი, რამაც აიძულა პიროვნება ჩაედინა ესა თუ ის ქმედება.

აღ. უღენტი აღნიშნავს, რომ მიზანი წარმოიშობა მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა გაცნობიერების ბაზაზე. ადამიანი გეგმავს იმ შესაძლებელ მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს, რომლებიც მან უნდა დაიკმაყოფილოს მომავალში; ამასთან, იგი ანგარიშს უწევს იმ ობიექტურ გარემოებასაც, რომელშიც უნდა განხორციელდეს ეს მიზნები. ქმნის რა მიზანთა სისტემას, ადამიანი ამასთანავე თავის პირად მოთხოვნილებებს უკავშირებს სოციალურ ღირებულებათა შექმნის საქმიანობას.

მიზნებში, რომელთა მიღწევასაც ადამიანი ცდილობს, იგულისხმება მათი დამაკმაყოფილებელი საგნები და მოვლენები არა მარტო ობიექტურად, არამედ - სუბიექტურადაც, ცოდნის სახით.⁴

მიზნისა და მოტივის ცნების განმარტების მიზნით საჭიროდ მიმაჩნია მოვიყანო რამოდენიმე ავტორის მოსაზრება. მაგალითად, ი. ლევაშავის აზრით, დანაშაულებრივი ქცევის მოტივი საერთოდ განსაზღვრავს დამნაშავის ნება-სურვილის მიმართულებასა და შინაარსს.

რ. ნათაძის აზრით, მოტივი - ეს არის რეალური საფუძველი, რომლის ნიადაგზე ადამიანი იდენს ნებელობით მოქმედებას.⁵

მოტივისა და მიზნის ცნებას ასვე ეხება 8. ხარაზიშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ მოტივი არის პირის ემოციური მდგომარეობა, გამოხატული ნების გამოვლენაში, რაც დაკავშირებულია მოცემული ქცევის აუცილებლობის შეგნებასთან და მისი განხორციელების სურვილთან. „, მოტივი არის ქცევის საზრისი... მიზანი

2 ანდოულაძე თ. - დანაშაულებრივი ქცევა და პოლიმორტივაცია. „საბჭოთა სამართალი“ 1984 წ. #1. გვ. 11.

3 უღენტი აღ. - განწყობა დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში. „საბჭოთა სამართალი“ 1980 წ. #1 გვ. 42.

4 უღენტი აღ. - განწყობა დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში. „საბჭოთა სამართალი“ 1980 წ. #1 გვ. 42.

5 ნათაძე რ., ზოგადი ფსიქოლოგია. თბ. 1956 წ. გვ. 475.

არის საზრისიანი ქცევის უზრუნველყოფის ფინალი.⁶

აღ. ვაჩეოშვილის აზრით, „ადამიანის ცნობიერი ნებისყოფითი აქტის დაწყებითი მომენტი, სწორედ მოტივია, როგორც ის ფსიქიკური აქტი, რომელიც განაპირობებს ნებისყოფის პროცესს, მოჰყავს უკანასკნელი მოძრაობაში.“⁷

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მოტივი - ეს არის ფსიქიკური საფუძველი, რომელიც ასაბუთებს პირის მოქმედების ან უმოქმედობის აუცილებლობას და მის დასაბუთება - გამართლებას. მოტივი ხსნის, თუ რატომ მოიქცა, ან რამ აიძულა პირი მოქცეულიყო ასე და არა - სხვანაირად.

მიზანი არის ის, რისი მიღწევაც მას უნდა. აქ იგულისხმება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მოთხოვნების დაკმაყოფილება.

პროფ. პ. დაუთაშვილი აღნიშნავს, რომ „დანაშაულის მიზანია ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევასაც სუბიექტი წინასწარ განსაზღვრავს, ხოლო აღნევს მას საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შედეგად.“⁸

აქედან ნათელია, რომ მიზანი არ არის მართლსაწინააღმდეგო და საზოგადოებისათვის საშიში ქმედება და არც ასეთი შედეგია. გარდა ამისა, მოტივი და მიზანი არ არის იდენტური ცნებები. მოტივი უნდა გავიგოთ პირის ნებელობითი არეალი; მიზანი პირის ინტელექტუალური არის დაკავშირებული. ამასთან, მოტივი და მიზანი ერთად ქმნიან ისეთ შინაგან ვითარებას, რომლის საფუძველზეც აღმოცენდება განზრახვა. მსჯელობიდან ნათელია, რომ მოტივი არის სხვა ცნება, ხოლო მიზანი კი - სხვა, ორივე ერთად ქმნის განზრახვას.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც დანაშაულის მოტივად თვლიან შურისძიებას. მიუხედავად იმისა, რომ ავტორთა ჭვეფი საკმაოდ სწორად განმარტავს მოტივისა და მიზნის ცნებას, ისინი მაინც ცდებიან იმ საკითხში, თუ რომელი განცდა მიაკუთვნონ თითოეულ მათგანს.

ახლა განვიხილავთ მკვლელობას, რომელიც ჩადენილია შურისძიების მიზნით და არა - მოტივით.

იაშვილმა კალოევის ქორწილში შეაგინა წულაძეს. ამ უკანასკნელმა იგრძნო რა თავი შეურაცხყოლებად, შურისძიების მიზნით მეორე დღეს მას ესროლა ტყვია ისე, რომ ჰქონდა განზრახვა მისი მოკვლის. ტყვიით მიყენებული ჭრილობის შედეგად იაშვილი გარდაიცვალა.

ახლა ისმის კითხვა: რა იყო ამ დანაშაულის (მკვლელობის) ჩადენის მიზანი და მოტივი?

ამ მაგალითში შურისძიება არ შეიძლება იყოს მოტივი, ხოლო მკვლელობა - მიზანი შემდეგ გარემოებათა გამო:

1. სიტყვა „შურისძიება“ გულისხმობს ქმედების ჩადენის შემდეგ, მომავალში, რაღაცის მიღწევას, განხორციელებას (შინაგანი მოთხოვნილების დაკამაყოფილებას). ე. ი. წულაძეს უნდოდა შური ეძია მომავალში და არა - წარსულში, ხოლო მოტივი არ შეიძლება იყოს მომავალში. ის ყოველთვის წარსულშია; ყოველ შემთხვევაში, წინ უსწრებს დანაშაულს და ამ დანაშაულის ჩადენის მიზანსაც. ის საფუძველია დანაშაულის ჩადენის.

2. მკვლელობა არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მიზნად, რადგან თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ მკვლელობის მიზანი მკვლელობაა (სიცოცხლის მოსპობა).

მაგალითად, საუბარია დანაშაულის ჩადენის მიზანზე. ა-მ ესროლა ბ-ს მოკვლის განზრახვით და მოკლა. აქ დანაშაულია, როგორც ტყვიის სროლა, ასევე - მკვლელობაც. გამოდის, რომ ტყვიის სროლის, დანაშაულის მიზანი ყოფილა მკვლელობა, რაც არასწორია, რადგან ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ მიზანი არ შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება და არც ასეთი შედეგი, რადგან, როგორც ცნობილია, მოტივისა და მიზნის ერთობლიობით აღმოცენდება განზრახვა. ამიტომ წულაძეს ჰქონდა იაშვილის მოკვლის განზრახვა, ე. ი. გაცნობიერებული ჰქონდა ქმედების მართლინიანაღმდეგობა და სურდა მისი სიკვდილი. ამდენად, განზრახვა ვერ იქნებოდა მიზანი, ვინაიდან „განზრახვა“ და „მიზანი“ სხვადასხვა ცნებებია. მართალია, განზრახვა მოიცავს მიზანს, მაგრამ მიზანი არ მოიცავს განზრახვას. ამდენად, წულაძის მიზანი იყო შურისძიება, ხოლო მკვლელობა ამ მიზნის მიღწევის საშუალება. რაც შეეხება მოტივს, ეს არის შეურაცხყოფა, რომელიც იაშვილმა მიაყენა წულაძეს, რამაც საბოლოოდ უბიძგა ამ უკანასკნელს მკვლელობისაკენ.

უნდა აღინიშნოს ის, რომ პირდაპირი განზრახვით ჩადენილი მკვლელობის დროს დანაშაულის მიზანი მკვლელობა ვერ იქნება, რადგან განზრახვა უკვე მოიცავს შედეგის დადგომის სურვილს, აქედან გამომდინარე მკვლელობის მიზნის დადგენა აუცილებელია. მაგალითად, მკვლელობა ნივთის დაუფლების მიზნით. აქ ნივთის დაუფლება არის მიზანი და ის დანაშაული ვერ იქნება. ამ შემთხვევაში დანაშაულია მხოლოდ მკვლელობა.

გამომდინარე აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ წულაძე შურისძიებამ კი არ აიძულა მოეკლა იაშვილი, ე. ი. მიეღო მისი მოკვლის განზრახვა, არამედ, შეურაცხყოფამ აიძულა შური ეძია და შურისძიების საშუალებად

6 ხარაზიშვილი ბ. ვ. - სიცორის ფსიქოლოგია. თბ. 1974 წ. გვ. 54.

7 ვაჩეოშვილი აღ.- დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში. თბ. 1957 წ. გვ. 7.

8 დაუთაშვილი პ. - სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) თბ. 2003 წ. გვ. 69.

აირჩია მკვლელობა. ამასთან, მას ჰქონდა შესაძლებლობა შურისძიების საშუალებად აერჩია სხვა ქმედება, მაგალითად - ცემა, ან იგივე გინება და ა. შ., მაგრამ, როგორც მკვლელობის, ცემის, ისე გინების მიზანი შურისძიება იქნებოდა და არა - სხვა. აյ შეიძლება დავამატოთ ისიც, რომ მკვლელობა ამ შემთხვევაში არ იყო პირის მიზანი, ის იყო მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალება. აქედან გამომდინარე, როცა ადამიანი მეორე ადამიანს ესვრის ტყვიას, მაშინ ჩვენ უნდა გავიგოთ, რატომ ესვრის? შური რომ იძიოს, თუ - რომ მოკლას? ჩვენი აზრით, ესვრის იმიტომ, რომ მოკლას, მაგრამ, ამასთან, კლავს იმიტომ, რომ შური იძიოს.

ამდენად, კითხვაზე, რატომ ესვრის? შეიძლება ვუპასუხოთ, იმიტომ რომ შური იძიოს.

მიზანი ვი არ არის დანაშაული, არამედ ამ მიზნის მიღწევის საშუალება და მის მიერ გამოწვეული მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

შეიძლება შემოგვედავონ და თქვან, რომ შურისძიება მოიცავს მკვლელობასაც, მაგრამ ამის ზინასწარ ფორმულირება არასწორია, რადგან ყველა ადამიანს გააჩნია საკითხის გადაწყვეტის ინდივიდუალური მეთოდი. მაგალითად, ის, რაც ერთისთვის საკმარისია შურის საძიებლად, მეორისათვის შეიძლება - არ აღმოჩნდეს.

ვთქვათ, ერთმა შური იძია მკვლელობით; მეორემ ვი - წყევლით. ამიტომ შურისძიება არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად, ის მიზანია. ამდენად, დანაშაულის ჩადენის საფუძვლად შეიძლება დაედოს მოტივი და არა - მიზანი.

აქედან გამომდინარე, შურისძიება არ არის მოტივი.

ოპონენტები, შეიძლება, შემოგვედავონ და გვითხრან, რომ, თუ ტყვიის სროლა დანაშაულია, მაშინ ტყვიის სროლის (დანაშაულის ჩადენის) მიზანი მკვლელობა ყოფილა.

ასეთი მოსაზრება არაობიექტურია, რადგან ამ შემთხვევაში განზრახვა ტყვიის სროლისა იაშვილის მიმართ მოიცავდა ამ უკანასკნელის მკვლელობას, ამდენად, ტყვიის სროლა და მკვლელობა ცალ-ცალკე დანაშაულად ვერ განიხილება. ამიტომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიზანი გახლავთ შურისძიება.

INTRODUCTION

